ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ. სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ქაჯები რომ არ დაეპატრონონ. და კიდევ ერთი, შესაწირავის მიტანა ვერავინ ვერ უნდა მოასწროს ამ ტაძართან.

**ნოდარ დუმბაძე**


# მონატრებული მამული

N14

ქართველთა პატრიოტული გამოცემა ამერიკაში


„მამული" დღევანდელი ნომრიდან გამოდის სურვილით, რომ დაიწყოს გასული საუკუნის ისტორიის აღნუსხვა და შეფასება. ამის გამოა, რომ ამ ნომერშივე ვიწყებთ ორ საგაზეთო სერიალის ბეჭდვას.

„თბილისი 1937" და „სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით" მე-20 საუკუნის უკვე ისტორიის აღნუსხვის მცდელობაა.

შეფასება კი თქვენზეა!

# უკვე ალაპარაკდნენ!

## ზურაბ ქვანიას დაცვის წევრის გამაოგნებელი აღიარება




გიორგი აბდალაძის ფოტო

სენსაციური ვიდეოჩანაწერის სრული ტექსტი

**გაზეთ „მამულში"**

სურათზე: მიხეილ სააკაშვილი, მიხეილ ქაქამია, ზურაბ ქვანია






**ტყვია კეფაში**



რასპუტინის ქუთაისელი სასიძო






# ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრის

***ზურაბ ჟვანიას იდუმალი გარდაცვალების საქმე გახსნილია! ეს საქმე მაშინ გაიხსნა, როდესაც ხალხმა პრემიერ-მინისტრის გაზით გაგუდვის საგანგებოდ შეთხზული ოფიციალური ვერსია არ ირწმუნა და უმალ ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი აზრი, რომ საქმე არა უბედურ შემთხვევასთან, არამედ შეკვეთილ და კარგად ორგანიზებულ მკვლელობასთან გვაქვს. მსგავს მკვლელობათა გახსნა კი მხოლოდ დროის საკითხია ხოლმე... ჩვენი გაზეთი ,,ასავალ-დასავალთან" ერთობლივი პროექტის ფარგლებში ექსკლუზიურად გთავაზობთ ზურაბ ჟვანიას ძმის გიორგი ჟვანიას, ჟვანიების ოჯახთან დაახლოებული კიდევ ორი პიროვნების*** *(მათი ვინაობის დაკონკრეტებას ჯერჯერობით საჭიროდ არ მივიჩნევთ)* ***და პრემიერ-მინისტრის დაცვის წევრის მიშა ძაძამიას საიდუმლო საუბრის სრულ ფარულ ჩანაწერს, რომელიც უამრავ კითხვას გასცემს პასუხს და, ალბათ, საბოლოოდ მოჰფენს ნათელს ქვეყნის მეორე პირის მკვლელობის დეტალებს %საუბრის დაწყებამდე მობილურ ტელეფონებს გამორთავენ და ოთახიდან გააქვთ. ამის შემდეგ გიორგი ჟვანია მიმართავს მიშა ძაძამიას):***

**— ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოყევი...**

— დილიდან როგორც იყო ყველაფერი, ხო? ჩვეულებრივად, გამოვედი სახლიდან. ავედი მეგობართან, გოგონასთან სახლში. ვიყავი იქ, მერე იქიდან წავედი ბასეინზე. ბასეინზე ვიყავი, მერე იქიდან...

**— შენ მორიგე იყავი იმ დღეს?**

— არა, მორიგე არ ვიყავი, მაგრამ ისეთი ის გვაქვს, სამ დღეში ერთხელ ვმუშაობთ, ჰოდა, ერთი დღე, როცა ვისვენებთ, არ დავდივართ. მეორე დღეს რომ ვისვენებთ, მთელი დღე აუცილებელი ვარჯიში გვაქვს. მერე იქიდან წავედით ჩვეულებრივად. კობა დავტოვე ბაზრობაზე, რაღაცის ყიდვა უნდოდა, მერე იქიდან კობა კანცელარიაში მივიყვანე. იქიდან გავედი ისევ ჩემ მეგობართან, იქ ვიყავი, ჩემი მეუღლე დავტოვე თავის მეგობართან, იქვე დიღომში, მე რომ განახეთ, ის ადგილი, ჰოდა მერე იქიდან გავედით პეროვსკაიაზე.

**- როდის გაიგე, რომ შეხვედრა უნდა ჰქონოდა?**

— ვის? ზურას? დამირეკა... როცა დამირეკა, მაშინ გავიგე.

**- მანამდე არ იცოდი?**

- მანამდე არ ვიცოდი არაფერი...

***- რა დრო იყო, მიშა, თუ გახსოვს? (საუბარში ჟვანიების ოჯახთან დაახლოებული ერთ-ერთი პირი ერთვება)***

- ეს იყო დაახლოებით *(ფიქრობს)*... თერთმეტს აკლდა რაღაც წუთები...

**- ღამე ხომ?**

- ხო. დამირეკა თვითონ, თავისი ტელეფონით, ხუთასი რომ ჰქონდა, იმით.

**- მერე?**

- ვიყავი პეროვსკაიაზე. ის, თანამშრომელი გოგოები არიან, კანცელარიაში მუშაობენ. იქ მოვრჩით. როცა მოვრჩით, დაახლოებით, ცხრა საათი იქნებოდა, ათის წუთები. წავედით იქიდან, რა ჰქვია... ეს გოგოები დავტოვე სახლში. ეს გოგო დავტოვე მე სახლში. ორი გოგო და ორი ბიჭი ვიყავით. ეს გოგო დავტოვე სახლში. მერე ჩემმა ძმაკაცმა დამირეკა, რომ რესტორან ,,მოსკოვში" ვქეიფობთ და მოდითო. წავედი რესტორან ,,მოსკოვში" და იქ რომ ვიჯექი. მაშინ დამირეკა ზურამ პირველად და მერე დაცვამ დამირეკა, რომ დღეს მუშაობო. მერე მე ვუთხარი, ისეთ შუალედში დამირეკე, რომ მოსვლა მოვასწრო-მეთქი. 15 წუთი მაინც რომ მქონდეს-მეთქი საშუალება. დამირეკეს, საბურთალოსკენ მივდივართო. მერე მე წამოვედი. იქ ველოდე დაახლოებით ხუთი-ათი წუთი. მერე ალეკომ დამირეკა, მე მომყავსო.

**- ალეკომ რა მომენტში დაგირეკა?**

- გამოსვლის მომენტში. რაღაც ორ-სამ წუთში ალეკომ მითხრა, მოვდივართო... მე მზად ვიყავი, იქ ვიდექი, მერე იქიდან მოვტრიალდით. სუპერმარკეტში შევედი. ის ,,პახოდუ" ტელეფონზე ლაპარაკობდა. რაც მითხრა, ის ავიღე.

**- სანამ შეხვედი, შენ დაურეკე იუსუფოვს?**

- სანამ შევედი, არა. რომ მივედით, სუპერმარკეტთან რომ გავჩერდით, მაშინ მითხრა, რომ დაურეკეო იუსუფოვს.

**- დაურეკე?**

- კი, დავურეკე.

**- სანამ სუპერმარკეტში შეხვედი?**

- კი. მანქანაში ვერ დავრეკავდი, იმიტომ, რომ ზურა ლაპარაკობდა და ჩემი ლაპარაკი ტელეფონში, ისე გამოვიდოდა...

**- რომ გადახვედი, სანამ შეხვედი სუპერმარკეტში, მანამდე დაურეკე?**

- კი. ამ სუპერმარკეტში, ყველაფერი რომ ვიყიდე...

**- რა იყიდე, მიშა?**

- კონიაკი ვიყიდე, სიგარეტი ავიღე ჩემთვის, რაღაც ,,კალბასი" ავიღე, ,,ვიჩინა", პური და წვენი. მერე ჩვეულებრივად გამოვედი, დავჯექი და წავედით. იქ რომ მივედით, კუთხეში, რომ მივუახლოვდი, ნელ-ნელა მივდიოდი, იმიტომ, რომ ტელეფონზე ლაპარაკობდა და მითხრა: ნელა იარეო. ნელ-ნელა რომ წავედი, კუთხეში რომ გავჩერდი, მითხრა, რომ გადაურეკე კიდევ ერთხელ, ნახე, სად არისო. გადავურეკე და მითხრა, მოვდივარო.

**- ესე იგი, სახლის კუთხეში იდექით და დაურეკე ამ დროს იუსუფოვს?**

- კი, იქვე შესახვევი რომ არის, იქ გავჩერდით. იმან მითხრა, მალე მოვალო. მე ისა, რა ჰქვია *%აყოვნებს),* რომ შევუხვიე და შევედი, გადმოვედი. ეს საჭმელი ავიღე. მე ავიღე...

**- ეს მაშინ, როცა იუსუფოვი მოვიდა?**

- ხო. თავიდან რომ ,,მოგვადგა", მე შევედი, მერე ის შემომყვა. მე წინ გავაჩერე მანქანა, მაგან უკან გააჩერა. მე ავიღე საჭმელები, ეს, რაც იყო, რაც ავიღე და პორთფელი და წავედი, რომ გამეღო ის სახლი. მე გავაღე ის სახლი, მე შევედი, მერე ზურა შემომყვა. ამ მომენტისთვის დავინახე, რომ იუსუფოვი მანქანიდან გადმოვიდა და კეტავდა, სიგნალიზაცია თუ რაღაც იყო. რომ შევედი შიგნით, მე ავანთე შუქები, მე ჩავრთე ,,პლიტები" და ის გაზის გამათ-



გიორგი აბდალაძის ფოტო

# ,,FBI"-ს დასკვნის მიჩქმალული დეტალები ადასტურებს,

***,,ვარდების რევოლუციის" ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირი ზურაბ ჟვანია ,,მოულოდნელად" გაზით გაიგუდა... სამართალდამცველები დღემდე ჯიუტად იმეორებენ პირველად ოფიციალურ ვერსიას და არც საქმის გამოძიებით იწუხებენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ უბედური შემთხვევა დაუჯერებელია როგორც საზოგადოებისთვის, ისე ჟვანიასა და იუსუფოვის ოჯახის წევრებისთვის! პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების მიზეზების დასადგენად ხელისუფლებამ ამერიკიდან გამოძიების ფედერალური ბიუროს ოფიციალური წარმომადგენლები მოიწვია. ამერიკელმა ექსპერტებმა ექსპერიმენტი ჩატარეს და დასკვნაც დაწერეს, რომელმაც კიდევ უფრო დააეჭვა საზოგადოება და სწორედ ამ დოკუმენტის გამომზეურების შემდეგ დაარღვიეს დუმილი ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებმა. ,,მამული" გთავაზობთ ამონარიდებს ,,ეფ-ბი-აი"-ს დასკვნიდან, რომელიც მრავალ კითხვის ნიშანს აჩენს და რომელიც ხელისუფლების ოფიციალურ ვერსიას გარკვეულწილად ეწინააღმდეგება, თუმცა, სამართალდამცველები ამ შემთხვევაშიც ჯიუტად აცხადებენ, რომ ამერიკელი ექსპერტები არ უარყოფენ მერაბიშვილ-ადეიშვილის მიერ გაჟღერებულ პირველად ინფორმაციას... გამოძიების ფედერალური ბიუროს დასკვნაში ვკითხულობთ:***

,,საქართველოს მთავრობის ანგარიშის შესაბამისად, გაზის გამათბობელი ჩართული იყო იმ პერიოდში, როდესაც დაფიქსირდა ბატონების ჟვანიასა და იუსუფოვის გარდაცვალება. საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა, ასევე, შეატყობინეს გამოძიების ფედერალურ ბიუროს, რომ არსებობს ანგარიში გაზის წნევის უჩვეულო მომატების შესახებ იმ უბანზე, რომელიც ემსახურება საბურთალოს ქუჩას. 00. 15 საათზე გაზი გაუშვეს რაიონის მოსახლეობისთვის, რომელიც მოიცავს საბურთალოს ქუჩას. 02.00 საათზე წნევამ მოიმატა (შენიშვნა: მომატების დონე ცნობილი არ არის, ისევე, როგორც მომატების მიზეზი). 02.30 საათზე იყო შეტყობინება საბურთალოს ქუჩა 63-ის (რომელიც საბურთალოს ქ. 53-ა-ს მახლობლად მდებარეობს) მაცხოვრებლისგან ადგილობრივი გაზის სამმართველოს საავარიო სამსახურში. 02.50 საათზე საავარიო სამსახურმა მოახდინა რეაგირება ადგილზე, საიდანაც იყო გამოძახება (№63). 03.00 საათზე საავარიო სამსახურმა დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა გაზის წნევის მკვეთრ მომატებას და გაზი გამოერთო უბნის ყველა მაცხოვრებელს, მათ შორის საბურთალოს ქ. № 53ა-საც. (საქართვლოს ხელისუფლება აცხადებდა, რომ ზურაბ ჟვანიას და რაულ იუსუფოვის სიკვდილი სამიდან ხუთ საათამდე დადგა. ეს მაშინ, როცა ამ უბანზე სამ საათზე საერთოდ გამოირთო გაზი და, შესაბამისად, სამი საათის შემდეგ ბინაში ჟანგბადის ნორმალური დონე აღდგებოდა. თანაც მიშა ძაძამია აცხადებს, რომ ოთხის რაღაც წუთებზე მან ფანჯარა ჩაამტვრია, რაც ასევე ხელს შეუწყობდა ბინაში ჰაერის გაწმენდას!) დასკვნაში ცალსახად წერია, რომ ექსპერიმენტის დროს ბინაში გამათბობლის გამორთვის შემდეგ ჟანგბადის დონემ მკვეთრად მოიმატა საწყის მაჩვენებლამდე. (საინტერესოა, რატომ არ მოიმატა ჟანგბადის დონემ 3 თებერვალს, მაშინ, როდესაც საბურთალოს ქუჩაზე გაზი გადაიკეტა და თან, ძაძამიამ, როგორც თავად აცხადებს, ფანჯარაც ჩაამტვრია)?!

,,FBI" აცხადებს, რომ მათ შეამოწმეს გამათბობელი ,,ნიკალა": ,,ჩვენი შემოწმება განხორციელდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ბიუროს დირექტორის ბატონ ლევან სამხარაულისა და მათი უწყების თანამშრომლების თანდასწრებით (უნდა აღინიშნოს, რომ ლევან სამხარაულის მკვლელობა მავანმა სწორედ ჟვანიას ბუროუსით მოცულ გარადაცვალებს დაუკავშირა. ამბობენ იმასაც, რომ სამხარაულის გარდა ,,ნიკალას" შემოწმებას თუ, ზოგადად, ექსპერტიზას ესწრებოდნენ ირაკლი ოქრუაშვილის მამა და მისი ახლო მეგობარი. როგორც ამბობენ, ლევან სამხარაული იყო ერთ-ერთი მთავარი მოწმე, რომელიც არც თუ დაახლოებული პირი აღმოჩნდა ხელისუფლებასთან...). შემოწმება შემოიფარგლა ვიზუალური დათვალიერებით, რამაც მოიცვა გამათბობლის გარეგანი და შიდა კონსტრუქციის დათვალიერება. დათვალირების შედეგად გამათბობელზე არ იქნა აღმოჩენილი მურის ან ნახშირბადის კვალი, რომელიც მოწმობს არასრულ წვას გამათბობლის მუშაობისას. გარდა ამისა, ვიზუალური დათვალიერების შედეგად არ იქნა აღმოჩენილი მტკიცებულება იმისა, რომ თვით გამათბობელს გააჩნდა რაიმე სახის ფიზიკური დაზიანება ან წუნი"

(,,FBI"-ს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ეს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო დეტალი გვაფიქრებინებს, რომ ჟვანიასა და იუსუფოვის მოწამვლის და გარდაცვალების მიზეზი გამათბობელი არ უნდა ყოფილიყო...) ამერიკელი ექსპერტები იქვე აცხადებენ, რომ: ,,ბინას ჰქონდა ხვრელი, რომელიც გაყვანილი იყო ბინის შიგნიდან კედელში. მსგავსი ხვრელები შეიძლება ნახოთ სხვა ბინების გარე კედლებზეც და, როგორც ჩანს, ისინი წარმოადგენს ტიპურ საშუალებას გაზის გამათბობლების მიერ გამოყოფილი აირის გასაწოვად. ეს ხვრელი ბინის შიგნით დაკავშირებული იყო სავენტილაციო მილთან, რომელიც გამოდიოდა გამათბობლის უკანა მხრიდან. ეს შეერთება სწორია და იგულისხმება, რომ იგი ნორმალურად უნდა ფუნქციონირებდეს". ,,გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმომადგენლების დასკვნის თანახმად, გამათბობლის მიერ გამონაბოლქვი აირების არასაკმარისმა ვენტილირებამ, შესაძ-


U.S. Department of Justice

Federal Bureau of Investigation

March 14, 2005

REPORT ON FBI TESTING IN TBILISI, REPUBLIC OF GEORGIA

OVERVIEW

ლოა (დასკვნაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ სწორედ ეს გამათბობელი გახდა ჟვანიასა და იუსუფოვის გარდაცვალების მიზეზი, როგორც ამას ცალსახად ადასტურებს საქართველოს ხელისუფლება), დიდი როლი შეასრულა 2005 წლის 3 თებერვლის მოვლენების განვითარებაში.

ამერიკელი ექსპერტების დასკვნაში განმარტებულია ისიც, თუ რა შემთხვევაში იწვევს ჟანგბადის ნაკლებობა ადამიანის სიკვდილს: ,,ბინაში და გარეთ ჟანგბადის დონეების განხილვისას და ბატონების ჟვანიასა და იუსუფოვის გარდაცვალებაში ამ დონეების ცვლილებების როლის გათვალისწინებისას სასარგებლო იქნებოდა იმის განმარტება, თუ როგორი დონე ითვლება ნორმალურად, უსაფრთხოდ და სახიფათოდ. **20, 9%- ითვლება ნორმალურ მდგომარეობად. 19 %-ზე გარკვეული, თუმცა, შეუმჩნეველი არასასურველი ფიზიო-**

# გამაოგნებელი აღიარება

ბოზილი სახლში. დავალაგე ის საჭმელები, რაც იყო. ამ დროს კარებზე დააკაკუნა, რა ჰქვია, იუსუფოვმა და ზურამ გაუღო კარები. მერე მითხრა, წადი და დაგირეკავ, როცა საჭირო იქნები.

**- რამდენ ხანში მოდიო, არ უთქვამს?**

- ამას არ ამბობდა-ხოლმე არასდროს. დაგირეკავ და მოდიო. მერე მე წავედი. დავბრუნდი ისევ იმ რესტორანში, სადაც ვიჯექით. მერე იქიდან წამოვედი. შევედი საბილიარდოში. იქ, საბილიარდოში, სამ საათამდე ვიყავით, ვთამაშობდით. მერე იქიდან ერთი ჩემი მეგობარი დავტოვე საირმეზე, იქ ცხოვრობს და მეორე წავიყვანე დიღომში. მერე მოვტრიალდი, მანქანით მოვედი ზუსტად იმ ადგილას. იუსუფოვის მანქანის უკან გავაჩერე. შუქები ანთებული მქონდა. ფეხით გადმოვედი, გავიარე, „პადიეზდის" კიბეს შევხედე, ტელევიზორის ანარეკლი ჩანდა, ჩანდა, რომ ტელევიზორი მუშაობდა. მერე გამოვედი, დავჯექი მანქანაში და დავურეკე იუსუფოვს, რომელიც ტელეფონს არ პასუხობდა, გამორთული ჰქონდა. მერე დავურეკე ზურას ერთ ტელეფონზეც და მეორეზეც, იმიტომ, რომ ჩემი ტელეფონი ჯდებოდა და რო რამე ის ყოფილიყო, სატენიც არ მქონდა მანქანაში. წავედი მერე მე და იქვე ვტრიალებდი.

**- თუ გიპასუხა?**

- არ მიპასუხა. გავიდა ზარი ორივე ტელეფონზე, მაგრამ არ მიპასუხა. მერე გავედი და იქ ვტრიალებდი ახლომახლოს. იქ არ მაჩერებდა ხოლმე. არ გაჩერდეო.

**- მანქანაც გაიყვანე, ხომ?**

- ხო, ჩემი მანქანა. იქვე ვტრიალებდი. მერე კიდე მოვედი. კიდე ვურეკავდი. მე ვრეკავდი... *(აყოვნებს)* იმიტომ ვრეკავდი, რომ ტელეფონი მიჯდებოდა... მერე სამი საათი რომ გახდა, კიდე რომ ვრეკავდი, ჩემი ტელეფონი საერთოდ გაითიშა. მერე წავედი სახლში და ავიღე სატენი. სახლში ტელეფონი რომ ჩავრთე, ეგრევე გადავრეკე, რომ გამორთვის პერიოდში ხომ არ დარეკა-მეთქი. მაინც არ აიღო არცერთი ტელეფონი. იუსუფოვს გამორთული ჰქონდა ტელეფონი. მერე წამოვედი მე ჩვეულებრივად, ჩამოვედი...

**- მანამდე რომ ურეკავდი იუსუფოვს, ჩართული ჰქონდა ტელეფონი?**

- არა, ბინაში რომ შევიდა, უკვე გამორთული ჰქონდა. მე იუსუფოვს, რომ დავურეკე, რომ მივედი, ესე იგი, რომელი საათი იყო, რაღაც სამის წუთები იქნებოდა.

**- არა, რატომ გეუბნები იცი, წეღან რომ თქვი, ვურეკავდი და არ იღებდაო ყურმილს...**

- არა, ეს ზურას ტელეფონზე ვთქვი. მერე, რომ ჩამოვედი სახლიდან, ტელეფონი ხომ მქონდა ცოტა ხანი ჩართული, „ზარიადკა" ხომ აიღო ამ ტელეფონმა... მერე, ესე იგი, ოთხის წუთები იყო... მივედი კარებთან და გავუშვი ზარი. მე მესმოდა ტელეფონის ზარის ხმა, მაგრამ არავინ არ აიღო ტელეფონი. მერე დავაკაკუნე კარებზე და ზარიც დავრეკე. კარები არავინ არ გამიღო. მერე ავძვერი ფანჯრიდან და შევამტვრიე აქეთა კუთხის ფანჯარა. ფანჯარა რომ შევამტვრიე და ფარდა გავწიე, დავინახე, რომ ზურა „კრესლოში" იყო და ის „კუხნისკენ" იყო. ჯერ ზურას ვეძახდი, ის არ რეაგირებდა, მერე ეგრევე დავურეკე კობას და ვუთხარი, არ რეაგირებს არაფერზე-მეთქი. მერე მე... ჰო, ეს ხომ ჩავამტვრიე ერთი შუშა, მერე განაყოფები რომაა შუშის, ის ხომ იცით, იმას მივარტყი ხელი და ფანჯარა თავისით გაიღო. არანაირი ძალა არ მიხმარია. შეიღო ფანჯრები. მერე მეორე მხარეს ავედი მე, იქაც ჟალუზებია რკინის, იქაც მივარტყი ხელი, იქაც გაიღო ფანჯარა. ჩვეულებრივად გავაღე, არ ჩამტვრეულა არაფერი. ამასობაში კიდე დავურეკე კობას, სად ხარ-მეთქი. კობამ მითხრა, მოვდივარო. ამასობაში ჩემი ტელეფონი დაჯდა.

**- რა დაინახე, კარი საძინებელსა და „ზალას" შორის ღია იყო?**

- არ მახსოვს, ვერ გეტყვი.

**- მერე?**

- მერე ავედი და იქ არის, რაღაც „სტაიანკა", ტელეფონი რომ მიჯდებოდა, შევაერთე, რომ კიდე დამერეკა კობასთან, სად ხარ-მეთქი? კობამ მითხრა: მოვედი, აქ ვდგევარ და შენ სად ხარო? ჩამოვირბინე... რომ მივედით, გამოვწიე ჟალუზები და კობა შეძვრა. მე გარეთ ველოდებოდი... თან დაყვირება და ისიც არ მინდოდა, თან ისეთი მომენტი გვქონდა, რომ... დაახლოებით ოთხი-ხუთი წუთის შემდეგ კობამ კარები გამიღო და შევედი შიგნით. ზურა იწვა. მერე კობამ მითხრა, რომ ხელოვნურ სუნთქვას უტარებდა. უსუფოვი „კუხნაში" იყო, იქით.

**- იუსუფოვს არ მიკარებიხართ?**

- ამის მერე მივეკარეთ, ვნახეთ, რომ ისიც მკვდარი იყო. ნალებინები იყო „რაკოვინაში", თვითონ იქ იყო ჩაჩოქილი მკვდარი. თვალები ღია ჰქონდა, ჩასისხლიანებული, ნარწყვის კვალიც ემჩნეოდა.

**- გაზი ენთო, მიშა?**

- რო შევედით, ფშიტინის ხმა იყო. ფშიტინის ხმა იყო. მე ვერ დავინახე, გაზი ენთო თუ არა. ვერ ვიტყვი ამას.

**- ხმა ხომ ჰქონდა?**

- ხმა ჰქონდა და კობამ მითხრა: გამორთე ამის დედა მ...ნო და გადავკეტე. ახლა, რაღაც ისეთი მომენტი იყო, რომ მართლა არ შემიხედია.

**- არა, ან სითბო ხომ უნდა გეგრძნო, მიშა, რომ მიხვედი?.. თან ისეთ ადგილას არის ის „ფეჩი"...**

- ხმა იგრძნობოდა...

**- რაღა მაინცადამაინც გაზთან გაგიჩნდა ასოციაცია?**

- მე?

**- ხო, ან შენ, ან კობას?**

- იცი რა, ერთი ეჭვი ამის რაც იყო, რაც გაფუჭდა იმ წუთში, იყო გაზი.

**- რატომ?**

- იმიტომ, რომ მე რომ ჩავამტვრიე ფანჯარა, რაღაცნაირი, რაღაცნაირი... თვალებიდან საშინელი ცრემლი წამომივიდა. სუნი და რაღაც ისეთი, არაფერი არ მიგრძნია. რაღაცნაირი, რაღაცნაირი, როგორ გითხრა, ისეთი მჟავე... თვალებში რომ მეცა, თვალები იმას მექნა...

**- შენ კი, მაგრამ კობა რომ მოვიდა, განიავებული უნდა ყოფილიყო ოთახი...**

- კი, კი... განიავებული იყო. კობამ მითხრა, გამორთე ამის დედა მ...ნო. მეც ავდექი და გამოვრთე...

**- იუსუფოვი ლოგინზე დააწვინეთ?**

- კი.

**- ნაჭამი ჰქონდათ?**

- კი. რაც მივიტანე, ნახევარზე მეტი ნაჭამი იყო. იყო რაღაც დარჩენილი. კონიაკი იყო დალეული. სოსისი იყო ნაჭამი.

**- წვენი?**

- წვენიც იყო დალეული.

**- კარგი, „დალშე"?**

- „დალშე" მერე მე... თან იქიდან ჩამოვვარდი, ფანჯარას რომ ვამტვრევდი და ფეხი მტკიოდა და დავჯექი დივანზე. მერე კობამ ტელეფონი დაამტვრია, რაღაც, ნერვები მოეშალა. კობამ აიღო ზურას ტელეფონი და იმით დაიწყო რეკვა.

**- შენ გირეკავდა?**

- მე კი არ მირეკავდა, რეკავდა.

**- რა მაინტერესებს, იცი, ზურა თავის ტელეფონს დაცვას ათხოვებდა ხოლმე? დაცვა ხმარობდა ზურას ტელეფონს?**

- არასდროს.

**- შენც არ გიხმარია ზურას ტელეფონი?**

- ყოფილა ასეთი მომენტი, ხანდახან, იშვიათად, ტელეფონი თუ დამიჯდებოდა ან რაღაც მოუვიდოდა ტელეფონს, მაშინ თუ მათხოვებდა-ხოლმე, რომ დამერეკა, გაემზადეთ, ან ის დაალაპარაკეთ-მეთქი. ასეთი რაღაცისთვის, თორემ ისე ზურა თავის ტელეფონს არავის არ აძლევდა. ერთი პორთფელში ედო და მე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# დაცვა ალაპარაკდა!

# რომ ზურაბ ქვანია „ნიკალათი" არ გაგუდულა!



Report on FBI Testing
Tbilisi, Republic of Georgia

In order to do this re-creation, the Georgian Government took several important, preparatory steps:

- The furnishings in the apartment were repositioned to reproduce their arrangement at the time the apartment was entered through a window and the bodies of Messrs Zhvania and Yusupov were discovered. An example of this re-creation of the scene of death is given in Figure 12, which shows the living room-area where Messrs Zhvania and Yusupov are believed to have been sitting at the time of their deaths. This area includes the gas heater discussed in Section 1.

Figure 12 Interior view of Apartment 3, showing the living room area where Messrs Zhvania and Yusupov are believed to have been sitting at the time of their deaths. The location where one body was found is indicated. The second body was to the far right, beyond the view given in this photograph. (FBI Laboratory photo)

- A window, noted in both Figure 1 (exterior view) and Figure 12 (interior view), had been broken to effect entry in Apartment 3 around 4:30 a.m., February 3, 2005. The broken pane of glass was replaced, and the window frame was repaired.
- Personnel entering the apartment attempting to rescue Messrs Zhvania and Yusupov reported that two electric heaters were in operation at the time they entered. These electric heaters were arranged to recreate their original position and were turned on for the duration of the test.
- The pressure of the natural gas flowing into Apartment 3 and neighboring residences was reported to have surged around 2:00 a.m., February 3, leading to the cut-off of gas service around 3:00 a.m. (as noted previously in Table 1). In order to recreate the gas pressure associated with the time of death for Messrs Zhvania and Yusupov, the Georgian Government arranged to have gas pressure turned on, then increased after approximately two hours, and, finally, turned off. The increase in gas pressure was done by personnel from the Gas Management Company approximately two hours into the test and was

**ლოგიური ზეგავლენა შეინიშნება. 16% იწვევს შენელებულ აზროვნებას, მოდუნებულია ყურადღება და გართულებულია აზროვნება. 12, 5% - ძალზე გართულებულია აზროვნება და კოორდინაცია, გაძნელებულია სუნთქვა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გულის პერმანენტული დაზიანება, გულისრევა და პირღებინება (ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის ეს სიმპტომები შესამჩნევია. ნათელია, რომ ზურაბ ჟვანია კონსპირაციულ ბინებში გამოსაძინებლად არ მიდიოდა და შეუძლებელია, ფხიზელ მდგომარეობაში მყოფი ორი პიროვნებიდან ვერცერთი ვერ მიმხვდარიყო იმას, რომ გაზით გაგუდვის საფრთხე ემუქრებოდათ?!). 10 %-ზე აქტიური მოძრაობა შეუძლებლია. ხდება გონების დაკარგვა, კონვულსიები და სიკვდილი. გამოძიების ფედერალური ბიუროს ლაბორატორიის წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ ატმოსფეროს ბინაში არ მიუღწევია 16%-ი დონისთვის (ზღვის დონეზე), რომელიც განაპირობებს შეზღუდულ აზროვნებას (შეგახსენებთ: 16% იწვევს შენელებულ აზროვნებას, მოდუნებულია ყურადღება და გართულებულია აზროვნება, რაც სიკვდილით ნამდვილად არ სრულდება...). ბინაში ყველაზე დაბალი დონის მაჩვენებელი იყო 18,0 %ის ტოლი, რომელიც დააფიქსირა საკონტროლო დანადგარმა მას შემდეგ, რაც იგი შემოიტანეს კიბის უჯრედიდან ბინაში და ექსპერტიზის დასრულების ბოლო წუთამდე არ შეცვლილა.** ალბათ, უპრიანი იქნებოდა „ეფ-ბი-აი"-ს დასკვნაზე საუბარი აქვე შეგვეწყვიტა, რადგან ნათელია, რომ ბინაში ჟანგბადი არ შემცირებულა იმ დონემდე, რომ ჟვანია და იუსუფოვი გარდაცვლილიყვნენ, მაგრამ დასკვნით ნაწილში არსებობს კიდევ სხვა მრავალი „საჩოთირო" დეტალი, რაც კიდევ უფრო ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს, ვიდრე ჟვანიას გარდაცვალების პირველ დღეებში არსებობდა.

„ჟანგბადის კონცენტრაცია ბინაში შემცირდა იმ დონემდე, რომელსაც ეწოდება სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ამერიკის შეერთებული შტატების ხარისხის სტანდარტების შესაბამისად. ჟანგბადის კონცენტრაციის შემცირების ზემოქმედება გაძლიერდა ნახშირბადის მონოქსიდის მომატებული კონცენტრაციით, როგორც ეს აღნიშნულია შემდგომი განხილვისას. გარდა ამისა, ჟანგბადის კონცენტრაციის ნებისმიერი შემცირება იწვევს სისხლში ნახშირბადის მონოქსიდის პროპორციულ მატებას, როგორც ეს მითითებულია მსჯელობაში ჰალდეინის განტოლების შესახებ.

ჰაერის ხარისხის დანარჩენი სამი ინდიკატორის მაჩვენებელი, რომელიც დაფიქსირდა ექსპერტიზის განმავლობაში, ნორმის ფარგლებში იყო. ეს სამი მაჩვენებელია (1) გამა რადიაცია; (2) აქროლადი ორგანული ქიმიური ნივთიერებები, ანუ VOC და (3) ფეთქებადობის ქვედა ზღვარი, ანუ LEL. VOC_ისა და LEL_ის მაჩვენებლები უმნიშვნელო იყო, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბინაში ან ბინის მიმდებარე ტერიტორიაზე (ანუ, კიბის უჯრედში, რომლის მონიტორინგი განხორციელდა საკონტროლო დანადგარით) ატმოსფეროში რაიმე სხვა მავნე რესპირაციული აირი არ ყოფილა ამ ექსპერტიზის ჩატარების პირობებში.

მართალია, ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ბინაში არ ყოფილა ნახშირბადის მონოქსიდის მნიშვნელოვანი მატება, მაგრამ ამავე ექსპერტიზამ უჩვენა, თუ რამდენად შეიძლება ბინის გარეშე ფაქტორებმა გამოიწვიოს ნახშირბადის მონოქსიდის უჩვეულოდ მაღალი დონე (თუმცა ამ შემთხვევაში გარეშე ფაქტორებს, ალბათ, არ უნდა ემოქმედა, რადგან ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ბინა ჰერმეტულად იყო დახურული...)

საგულისხმოა, ისიც, რომ „ეფ-ბი-აი"-ს დასკვნაში არის დეტალები, რომელთა თარგმნა სამართალდამცავმა ორგანოებმა, როგორც ჩანს, საჭიროდ არ ჩათვალეს... „ასავალ-დასავალი" გთავაზობთ ამ მცირედი მონაკვეთების თარგმანს: „კარბონ მონოქსიდის დონის გაზრდა ბინაში დაფიქსირდა მონიტორით, რომელიც დამონტაჟებული იყო კიბის უჯრედში, ბინის გარეთ. დაზვერვის სამმართველო თვლის, რომ კონცენტრაციის გაზრდა უნდა შეესაბამებოდეს ტესტირებას, როდესაც დონე გაიზარდა, დაზვერვის სამმართველომ გადაწყვიტა, რომ ეს გამოწვეული იყო ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების მუშაობით ბინასთან ახლოს. **ფედერალური ბიუროს ლაბორატორია აღნიშნავს, რომ კარბონ დიოქსიდის დონე ბინაში იყო უცვლელი და ბინა იყო ჰერმეტულად დახურული"...**

გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტზე და შემდეგ მათ მიერ დაწერილ დასკვნაზე თავისი მოსაზრება აქვს პრემიერ-მინისტრის ძმას, გიორგი ჟვანიას: „ეფ-ბი-აი"-ს ექსპერიმენტების შედეგები აჩვენებს, რომ გამათბობელი ნორმალურად მუშაობდა და არავითარ მავნე ნივთიერებებს არ გამოყოფდა. დოკუმენტში ნათქვამია, რომ ჟანგბადის რაოდენობა ცოტათი შემცირდა, რაც სიკვდილის მიზეზი არ შეიძლება გამხდარიყო. ყველაფერი, რაც ამერიკელი ექსპერტების დასკვნაში წერია, რადიკალურად ეწინააღმდეგება მათ მიერვე ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებს. ეს ძალიან საინტერესოა... ამერიკელმა სპეციალისტებმა ექსპერიმენტით დახატეს რეალური სურათი, უბრალოდ, ცდილობენ, დასკვნაში ჩვენი ხელისუფლების ოფიციალური ვერსია რაღაცნაირად გაამყარონ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დასკვნაში მტკიცების ფორმით უბედურ შემთხვევაზე, როგორც ჩანს, არაფერია ნათქვამი, აცხადებენ, რომ არ უარყოფენ საქართველოს ხელისუფლების მიერ გაკეთებულ წინასწარ დასკვნას. გამოძიების თავისებურებიდან გამომდინარე, ბევრ შეკითხვას ბადებს ზურაბ ადეიშვილის ქმედება და ამიტომ არ ვენდობით გენერალურ პროკურატურას. არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა ვანო მერაბიშვილიც, რომელსაც თავისი პირველადი განცხადებების ახსნა მოუწევს... სამწუხაროდ, „ეფ-ბი-აი"-მ ანგარიში გაუწია ჩვენს ხელისუფლებას და სიმართლე ბოლომდე მაინც არ ითქვა..

# დაცვა

## ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრის



ორე, სამსახურებრივი ტელეფონი სულ თან ჰქონდა.

**- კარგი, ტელეფონის საკითხამდე მივალთ. ახლა არ მაინტერესებს. თუ პირდაპირ ამით დავიწყოთ... ესე იგი, ეს ,,სამსუნგი" ზურას ერთი ტელეფონი, იქ ნახეთ. ზურას თან ჰქონდა ეს ტელეფონი? სად იდო?**

- იქ რაღაც დასადგამია და ორივე ტელეფონი იქ იდო. იუსუფოვის ტელეფონი მაგიდაზე იდო, სადაც საჭმელი იყო გაშლილი.

**- ზურას ტელეფონი შენ წინა დღეებში არ გიხმარია?**

- აი, რასაც გეუბნები, რაა, ასეთ შემთხვევაში თუ მაძლევდა ხოლმე, რომ დამერეკა, ან რაღაც... თუ ანგარიშზე არ მქონდა, ან რაღაც...

**- იცი, რაშია საქმე, მე მაქვს ყველა ტელეფონის დეტალური ამონაბეჭდი...**

- ვიცი...

**- 27 იანვარს, 28 რომ დაიწყო, ამ ტელეფონით, ზურას ტელეფონით, ზურასი არ არის, მაგრამ ასე ვთქვათ, ზურას მაგთის ნომრიდან, იმ ხუთასიდან დარეკილია ამერიკაში ვიღაც გოგოსთან, იმ გოგომ თქვა, რომ შენ დაურეკე...**

- კი. მე დავრეკე, იყო ასეთი შემთხვევა...

**- როგორ მოხდა ეს?**

- ხომ გითხარით, ხანდახან, როცა მე ანგარიში არ მქონდა...

**- ღამის სამ საათზე შენ ზურას გვერდით იყავი 28 იანვარს?**

- მე?

**- რას აკეთებდი?**

- ისე ვმუშაობდი, როგორც მაშინ.

**- ტელეფონი დაგიტოვა?**

- არ დაუტოვებია, მანქანაში ვიჯექით.

**- ზურასთან ერთად დაურეკე იმ გოგოს?**

გიორგი ჟვანია იღებს სატელეფონო საუბრების დეტალურ ამონაბეჭდს და ძაძამიას აჩვენებს. მიშა არ იხედება დოკუმენტში და ამბობს:

- კი, ვიცი. 28 იანვარს მე დავრეკე. ერთი გოგო მყავს მეგობარი ამერიკაში. ზურამაც იცოდა ეს და ჩემმა ბიჭებმაც. ვრეკავდი ხოლმე ამერიკაში ამ ნომერზე, სამსახურიდანაც. 28-ში რომ მივაკითხე წამოსაყვანად, მაშინ გამოვართვი ეს ტელეფონი და დავრეკე იმ გოგოსთან.

**- ტელეფონი შენ აიღე, მიშა?**

- კი.

**- ესე იგი, ამ გოგოსთან დარეკილია ოთხის თხუთმეტ წუთზე. ამის მერე შენ, შენი ტელეფონით მთელი ღამე რეკავდი. დანარეკია ოთხზე, ხუთის ნახევარზე, ექვსზე, შვიდზე, ცხრაზე...**

ძაძამია სთხოვს გიორგი ჟვანიას, აჩვენოს სატელეფონო საუბრების დეტალური ამონაბეჭდი და ათვალიერებს...

**- შენ თუ ანგარიშზე აღარ გქონდა და ზურამ სამ საათზე გათხოვა თავისი ტელეფონი, ოთხ საათზე როგორ დარეკე შენი ტელეფონით?**

- არა, ანგარიში როგორ არ მქონდა, მაგრამ ამერიკაში რომ დამერეკა, მაგის ის... იმიტომ ვთხოვე, ამერიკაში დავრეკავმეთქი. ადრეც მაქვს ზურას ტელეფონით დარეკილი ამერიკაში, იგივე ნომერზე. ასე ვრეკავდი ხოლმე, რა არის ახლა ამაში... აბა, სად არის?

**- ეს ერთი საკითხი.**

*(გიორგი ჟვანია დეტალურ ამონაბეჭდს გვერდზე გადადებს).*

- ამერიკაში რომ დავრეკე, მერე დავურეკე ჩემ თანამშრომელს...

**- მაგრამ, ძირითადად, კობასთან არის დარეკილი.**

ძაძამია თავს უქნევს...

**- კობა სად იყო ამ დროს?**

- კობა მე მელოდებოდა.

**- სად?**

- ბაგებში.

**- რატომ?**

- იქ უნდა გადამესვა ზურა.

**- შენ გინდა, თქვა, რომ ამდენი საუბარი იყო საჭირო იმისთვის, რომ ზურა გადაგესვა?** *(გიორგი ჟვანია ისევ იღებს სატელეფონო საუბრების დეტალურ ამონაბეჭდს)* **რომელ საათზე გადაჯდა, საერთოდ, ზურა?**

- ახლა აღარ მახსოვს, მაგრამ ბევრჯერ ვრეკავდით ხოლმე. გამოვდივარ... მიხვდით? ხანდახან ადგილსაც ვცვლიდით ხოლმე.

*გიორგი ჟვანია ითვლის, რამდენჯერ აქვს დანარეკი ძაძამიას კობასთან. (საუბარია კობა ხარშილაძეზე, რომელიც დაახლოებით, 15 წელიწადი მუშაობდა ზურაბ ჟვანიასთან და მის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ მეგობრად მოიაზრებოდა).*

**- ხუთჯერ გაქვს დანარეკი კობასთან...**

- ჰოდა, იყო ხოლმე ასეთი მომენტები. ხანდახან სხვა ადგილას მივდიოდით. ხან კობა მირეკავდა, სადმე გავჩერდეთ, სად მიხვედიო?..

**- ამას თავი დავანებოთ, ეს ჯერჯერობით... შენ როდესაც იუსუფოვს დაურეკე სახლის კუთხიდან, შენი ტელეფონი ამ დროს ფიქსირდება დიდუბეში, რით შეგიძლია ეს ახსნა?**

- ეს მეორედ რომ დავურეკე?

**- კი...**

- *(იბნევა)* ეგ არ ვიცი. ერთხელ დავურეკე, რომ მოვდივარმეთქი და... არა, იქიდან დავურეკე, სად ხარ-მეთქი.

**- ჰოდა, როგორ შეიძლება, რომ თან საბურთალოდან დაურეკო ვინმეს და თან შენი ტელეფონი დიდუბეში იყოს?**

- არ ვიცი, არ ვიცი, ვერ გეტყვი...

*(გიორგი ჟვანია ისევ სატელეფონო საუბრების დეტალურ ამონაბეჭდს იღებს).*

**- თან მანდ ერთი ზარი კი არაა დაფიქსირებული. მანამდე, შუალედში არის კიდევ ერთი ზარი და ისიც დიდუბეში ფიქსირდება.**

- მე დავურეკე იუსუფოვს? სამი ზარი?

**- არა, იუსუფოვს არა. აი, ეს არის 23 საათზე და 52 წუთზე დაურეკე იუსუფოვს. სანამ შეხვედი მაღაზიაში. აი, ეს ზარია შენთან შემოსული, თუ არ ვიცი, შენ დაურეკე...** *ძაძამია იყურება სატელეფონო საუბრების დეტალურ ამონაბეჭდში და ერთ-ერთ ნომერზე კითხულობს:*

- ეს ვისი რა არის?

**- ვისი ნომერია?** *(კითხვას უბრუნებს გიორგი ჟვანია)*

- ჩემი მეგობრის ნომერია.

**- აი, ეს ზარი როცა შემოვიდა, თუ შენ დაურეკე, არ ვიცი, ჯერ კიდევ ხარ საბურთალოზე და საბურთალოს ანძა გაფიქსირებს, მერე 23 საათსა და 57 წუთზე, ეს შენი ცოლის ტელეფონია, ხომ?**

- კი.

**- დაგირეკა მან და ეს ზარი უკვე დიდუბეში ფიქსირდება. უკვე დიდუბეში ხარ, ხოლო ამის შემდეგ კიდევ ურეკავ იუსუფოვს 23 საათსა და 59 წუთზე, 2 წუთში...**

- ხო, ალბათ, არ მახსოვს. იქიდან დავურეკე რაა... არა, გოგლა, ესეთი რაღაც, მე ხომ ვიცი არაა... მე რაც მახსოვდა, რაც იყო, იმას ვამბობ რა... რომ მივდი, დავურეკე, ერთხელ დავურეკე და კიდევ, ნომერიც არ ვიცოდი მე მაგისი, ზურამ მითხრა, რომ გადაურეკეო... იმიტომ, რომ ახალი ტელეფონი მქონდა აღებული მე და შიგნით ბევრი ნომერი მქონდა გამორჩენილი. ეს ტელეფონი მქონდა ახალი აღებული და... დიდუბეში მივდიოდი, გამოფენა დიდუბეში მივდიოდი, იმიტომ, რომ რესტორანი „მოსკოვი" იქითკენ არის.

**- ნამდვილად მიდიოდი რესტორან ,,მოსკოვში", მაგრამ ზურა სად დატოვე, ეს არის საინტერესო...**

- ზურა დავტოვე მანდ...

**- მე ვიყავი ექსპერტიზაში, სადაც ექსპერტები ამბობენ, რომ მაგ ბინაში ზურას ანაბეჭდი არ არის...**

- გამორიცხულია. *(თითქმის ჩურჩულით ამბობს ძაძამია)*

**- ადამიანმა, რომელმაც დალია კონიაკი, წვენი, თან უჭამია კიდეც, თან დიეტაზე იყო ,,პახოდუ" და არ ჭამდა არაფერს, ნუ მაგას თავი დავანებოთ, ვთქვათ, ჭამა, გაგიჟდა, ყველაფერ ამასთან ერთად არ დატოვა ბინაში ანაბეჭდები?**

- ორი თვის განმავლობაში დაგვყავდა ამ ბინაში, ორი თვის განმავლობაში...

**- რატომ მატყუებ განუწყვეტლივ?**

- აუ...

**- პირველად შენ მომიყვი, სულ პირველად რომ გნახე, გახსოვს? მაშინ მითხარი, იმ ბინაში ნამყოფი არ იყოო, გახსოვს ეს?**

- ეს, ასე ჩათვალეს საჭიროდ, თორემ მე ჩემი სურვილის მიხედვით არ მითქვია. კობამ მითხრა, ასე ვთქვათო და...

**- მერე კობამ თუ შენ, არ ვიცი, ნინოს უთხარით, რომ დეკემბერში იყო იმ ბინაში ნამყოფი...**

- დეკემბერში კი არა, კვირაში ორჯერ მიგვყავდა ხოლმე...

**- დღეს ამბობ, რომ კვირაში ორჯერ მიგყავდათ იმ ბინაში?**

- ეს ჩემი ის არ არის, რაა, *(პასუხს ვერ პოულობს)* ეს ჩემი ის არ არის, რაა... მე როგორც... ასე თქვეს და ასე ჩათვალეს საჭიროდ, რომ ასე ვთქვათო და... მე ხომ გეუბნები, ახლა, ასე იყო ნამდვილად... მე მიმყავდა კვირაში ორჯერ, ხან იყო შემთხვევა, კვირაში სამჯერაც...

**- კობამ რატომ ჩათვალა საჭიროდ, რომ ასე გეთქვათ?**

- არ ვიცი, ასეთნაირად... პროკურატურაში ასე ვთქვით, რომ პირველად იყო იმ ბინაში და მანამდე საერთოდ არ იყო ნამყოფი.

**- შენ პროკურატურაში მიეცი ჩვენება, ახლა რაც მოგვიყევი, ამ ფორმით გაქვს მიცემული ჩვენება, თუ კიდე გადაკეთებული გაქვს?**

- არა, არა. ამ ფორმით მაქვს მიცემული. არაფერი გადაკეთებული არ მაქვს, რაც ახლა მოვყევი, ზუსტად იგივე ფორმით მაქვს ჩვენება მიცემული.

**- ოღონდ, ნათქვამი გაქვს, რომ ზურა პირველად იყო იმ ბინაში?**

- ხო, მე ამას...

**- შენ, მიშა, ძალაუნებურად ჩნდება ეჭვი. თუ ასეთი „პონტი" იყო, რაღა მაინცდამაინც იმ დღეს გაფუჭდა „ფეჩი"? ხომ ჩაგირთავს მანამდე ის ,,ფეჩი"?**

- კი, როგორ არა, წინა ღამე იმ ბინაში გავათენე.

**- ,,ტრუბა" ეყენა გარეთ?**

- არა, აი, ის რაღაც, რაც ,,ყლინჯი" იყო, ის იყო, რა.

**- რა მაინტერესებს, შენ ბინა იქირავე კონფიდენციალურად ზურასთვის?**

- ხო რა, ასეთი ბინა აიღეო...

**- გითხრა, რომ თავისი საიდუმლო შეხვედრებისთვის უნდოდა, ხო?**

- კი.

**- როდესაც ასე ქირაობ ბინას, ,,ბაზრობ", რომ ზურას დაცვის უფროსი ხარ?**

- არა, არაფერს არ ,,ვბაზრობ" საერთოდ *(ხმადაბლა იწყებს საუბარს).*

**- აბა, რატომ ლაპარაკობენ ასეთ რამეს?**

- არა, ეს არ მითქვამს, მაგრამ არის ახლა ისეთი მომენტი... დაცვის უფროსი და რაღაც არ დამიწყია, მაგრამ ტელევიზორში ჩნდები ძალაუნებურად, ხო? ამას ვერ დამალავ. მე ეს არავისთვის არ მითქვამს, რაა. ტელევიზორში ჩანხარ, რაღაც და... მე მაგ ბინას რომ ვიღებდი ხოლმე, სპეციალურად ვთამაშობდი ისეთ სცენას, რომ თითქოს, საყვარელი გოგოსთვის ვიღებდი, ან რაღაც და კიდევაც მიმყავდა ხოლმე, რომ დაენახათ იქ, რომ მე ეს ბინა იმიტომ ავიღე, რომ ვიღაც გოგო მიმყავს იქ. არავისთან არ მითქვამს ეს, არც ბინის მეპატრონესთან და არც არავისთან.

**- ნუ, ყველა გაგიჟებულა, მათ შორის სატელეფონო საუბრების ეს დეტალური ამონაბეჭდიც...** *(გიორგი ჟვანია)*

- ეს არ ვიცი ახლა, ეს ერთი ზარი დიდუბის ანძიდან გავაკეთე თუ...

**- ერთი არა, ორი! სხვადასხვა ანძებია, მაგრამ ორივე დიდუბეშია.**

- არ ვიცი, მართლა გეუბნები...

**- როგორ შეიძლება ადამიანი იყოს თან საბურთალოზე და თან დიდუბეში, ასეთი რამ არ ხდება...**

- არ ვიცი, შეიძლება, ისეთი მომენტია...

**- არ შეიძლება, რომ ზურას ტელეფონით, რომელიც, ვითომ, ზურასი იყო, შენ რეკავდი ამერიკაში და იმ ტელეფონიდან რამდენჯერმე დანარეკია დაცვის ისეთ წევრებთან, რომლებსაც დავურეკე და ვკითხე: ზურას თქვენთვის თუ დაურეკია-მეთქი? მითხრეს: ზურას ჩვენთვის ცხოვრებაში არ დაურეკიაო.**

- ნუ, არ ვიცი, მე არ დამირეკია იმ ტელეფონით სხვასთან, სადაც დავრეკე, ის გითხარით.

**- საერთოდ, ამ ტელეფონში** *(საუბარია ,,სამსუნგზე")* **იყო სხვა ნომერი და ეს ნომერიც ვიცი, ეს ნომერი ადამიანების ძალიან ვიწრო წრემ იცოდა...**

- არ ვიცი, ეს არის...

**- ეს ნომერი იცოდა სულ რამდენიმე ადამიანმა და ზურას ეს ტელეფონი ჰქონდა სათამაშოდ და ხმარობდა მხოლოდ როუმინგზე, როცა საზღვარგარეთ მიდიოდა...**

- არ ვიცი, მე გეუბნებით...

**- და ეს მაგთის ნომერი იყო გაუქმებული, გადაგდებული ნომერია. რატომ მოხვდა თქვენ ხელში არ ვიცი, ამას გავარკვევთ...**

- მე აქ ვარ და დედას ვფიცავარ, რასაც ვამბობ, ასე იყო. ეს არ ვიცი ახლა, თუ დიდუბიდან დავრეკე... მე ვიყავი იქ, რესტორანში ვიჯექი, ცოტას ვსვამდი, არ ვიცი, ასე იყო რაა...

**- მიშა, მომისმინე ახლა ერთი წუთი, კაი ხანია, გვინდოდა შენი ნახვა. შეიძლება ძნელია და რაღაც, მაგრამ რადგან აქ ვართ შეკრებილი ეს ადამიანები, პირველ რიგში, გოგლა ძმაა და მას აინტერესებს ყველაფერი. გარდა ამისა, მიშა, გინდა თუ არა, ცამდე მართალი რომ იყო, ასეა თუ ისე, ეს ყველაფერი მოდის შენზე, გინდა თუ არა, შენ იყავი იმ ღამეს და...** *(საუბარში ერთვება ჟვანიას ოჯახთან დაახლოებული ერთ-ერთი პირი, რომელიც საკმაოდ ხმამაღლა ესაუბრება ძაძამიას)*

- არა...

**- დამამთავრებინე! ახლა შენ რა უნდა ქნა იცი? ყველანაირად, უკაცრავად და ტ...ის თამაში კი არ უნდა დაიწყო, აქ არ დამირეკია და რაღაც... ,,ფაიზალი" უნდა ჩამოაყალიბო ყველაფერი, თავიდან ბოლომდე, წუთობრივად, რას აკეთებდი, როგორ აკეთებდი.**

# ალაპარაკდა!

## გამაოგნებელი აღიარება




მეც ვიცი, როგორ რას აკეთებდი და გოგლამაც იცის, არ მესწავლება არც მე და არც შენ...

- ჰოდა, ხომ ვამბობ...

- **დამამთავრებინე რაა!** *(შედარებით ხმამაღლა იწყებს საუბარს)* **ახლა ამ სიტუაციაში შენ რომ პატარა ფეხი წაგიცდეს და ტყუილი თქვა...**

- არა, რა სისულელეა, რა ტყული უნდა ვთქვა...

- **მიშა, მომისმინე ერთი წუთი. დამამთავრებინე საუბარი. აი, აქ რაც ქაღალდი დევს და რასაც გოგლა გეუბნება ხო, ეს საფუძველს იძლევა, რომ შენში დაეჭვდეს კაცი...**

- არა, ძმაო, კი, მე ვმუშაობდი მაშინ და მე ვიყავი და მართლა ისე მოხდა ეს უბედურება, ასე დაემთხვა, მაგრამ...

- **მაღაზიაში რამდენი ხანი იყავი?**

- არ ვიცი, არ მახსოვს. რა ვიცი, ალბათ, ერთი ათი წუთი... ბევრი ხალხი რომ იყო, ეს მახსოვს...

- **ნახევარი საათი არ იყავი მაღაზიაში?**

- არა, კაცო, იქ რაღაცეებს ვეძებდი... არა, ნახევარი საათი...

- **მომისმინე, მიშა, დაგიჭერენ რაღაცის გულისთვის, ბოლო-ბოლო, „ზა ხალატნოე ატნაშენია“, თუ როგორც ჰქვია, მაგის გულისთვის ხომ უნდა დაგიჭირონ...** *(გიორგი ქვანია)*

- არ ვიცი, ახლა, გოგლა...

- **არა, წესით, უნდა დაგიჭირონ. შენ გამოიჩინე სამსახურებრივი გულგრილობა, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი. შენი დასაცავი ობიექტი მოკვდა. მერე ციხეში ისე გაგაქრობენ, საერთოდ, აზრზე ვერ მოხვალ. თვითონ გაგაქრობენ, ვინც ეს ყველაფერი მოაწყო...**

- არა, გოგლა...

- **შენი ერთადერთი გამოსავალი, საერთოდ, თუ გინდა, გადარჩე, „პროსტო“ შენ სიცოცხლეზეა საუბარი...**

- მე, დედას ვფიცავარ, არც იმის მეშინია, რომ ციხეში ჩავჯდე და არც იმის მეშინია, რომ ხვალ მომკლავენ, მომკლან...

- **და თუ არ გეშინია...**

- არა, დედას ვფიცავარ, გოგლა, ახლა არ იფიქრო სხვანაირად, დედას ვფიცავარ, სიმართლეს ვამბობ...

- **ჰოდა, მომისმინე ახლა, გეშინია თუ არ გეშინია, ერთადერთი შენი გამოსავალი, რო გადარჩე, არის ის, რომ სიმართლე თქვა. აი, ეს სიმართლე დაგიცავს შენ და გადაგარჩენს, ამაში ჩვენც შეგვიძლია მივიღოთ მონაწილეობა და თუ ასე მოიქცევი, როგორც იქცევი, მე გარანტიას გაძლევ, რომ გაგაქრობენ ისინი, ვინც ეს გააკეთა** *(საუბარში ერთვება ოჯახთან დაახლოებული მეორე პიროვნება).*

- **მიშა, ისეთი პონტია...**

*ძამია სიტყვას აწყვეტინებს.*

- ეგრეა, რაა, ერთადერთი ის, რომ მე დავტოვე ისინი და წავედი, იყო ისეთი შემთხვევები, რომ შესულა შიგნით, დამირეკია და მითქვამს...

- **იმ დღეს დაურეკე?**

- აი, აგერ *(ახლა უკვე ძამია აჩვენებს მათ სატელეფონო საუბრების დეტალურ ამონაბეჭდს)* არის, რომ არ დამირეკია.

- **კუთხეში როცა გააჩერეთ მანქანა, იმ დროს დაურეკე საერთოდ იუსუფოვს?**

- ესე იგი, არ დამირეკია, ასე გამოდის... გოგლა, ეს შეიძლება მართლა შეცდომაა და მე ამერია, მაგრამ ეგრეა, ახლა...

- **მიშა, რა გაქვს შენ საფიქრალი? ერთადერთი ამაზე უნდა იფიქრო...**

- პირიქით, ვერიდები, რომ ამ დღეზე არ ვიფიქრო...

- **არა, ამ დღეზე ბევრი გაქვს საფიქრალი და კიდევ ბევრი ფიქრი მოგიწევს...**

- არა, ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ისა...

- **ჰოდა, ამერია და ასეთი ლაპარაკი არ გამოვა. საბავშვო ბაღი ხომ არა არის** *(საუბარს აგრძელებს ის პიროვნება, რომელიც ძამიას გამორჩეულად აგრესიულად ესაუბრება)* **ბიჭო, კაცი მოკვდა, ტოო, ახლა ზიხარ ტიპი, ბ...შვილი ვიყო და „ბაზრობ“ რაღაც ყ...ობას. ვაიმე არ მახსოვს, ვაიმე, ამერია... შ...გ ხომ არ გაქვს, ტოო. მოტვინე რაა, დაალაგე ყველაფერი, თავიდან ბოლომდე და „გააიასნე“ ბლ... ად, მართლა ხომ არ ან...რევ, მიშა, ვერ გავიგე, ასე არ შეიძლება ბ...შვილი ვიყო. ამხელა კაცი ზიხარ, სამი კაცი ვსხედვართ და გვეუბნები, რომ ეს არ მახსოვს, ის ამერია, იქიდან შეიძლება იქ დავრეკე, იქ შეიძლება იქ ვიყავი, შ... ხომ არ გაქვს, ტოო, დაჯექი და მოტვინე თავიდან ბოლომდე, რას აკეთებ ტოო... „გაგვაიასნე“ რაა...**

- ხომ გეუბნები...

- **რას მეუბნები, მიშა, შ...გ ხომ არ გაქვს ბ...შვილი ვიყო... მე ვზივარ და გიცნობ რამდენი წელია, ხო იცი ეს სიმონ. ბ...შვილი ვიყო, მე რომ სხვა ვიყო, ადგილზე დაგბრიდავდი, ჩემი კარგი მ...ან, ტოო, იმიტომ, რომ რასაც შენ ბაზრობ, სულ ყ.. ობას და უაზრობას „ბაზრობ“ ერთ წუთში იძახი ერთ რამეს, მეორე წუთში იძახი, ვაიმე არ მახსოვს... „კაროჩე“ რა, მიშა, რასაც ახლა შენ ლაპარაკობ, ამით შენ თვითონ ითხრი სამარეს ბ... შვილი ვიყო, შენ თვითონ...**

- ეგრე იყო, რაა...

- **„პროსტო“ ახლა, მიშა, ეს რომ მინდოდეს, ტვინს გაგასხმევინებდი ჩემი ხელით...**

- გამასხმევინე მერე... გამასხმევინე...

- **იმიტომ, რომ ვიცი, ეს ყველაფერი როგორ ხდებოდა და რა ხდებოდა...**

- გამასხმევინე მერე, რ... *(სახელის ინიციალია ქვანიების ოჯახთან დაახლოებული პირის, რომელიც ძამიას უყვირის)* თუ დამნაშავე ვარ, გამასხმევინე...

- **ბიჭო, მიშა, ეს ყველაზე ადვილია, სიმონ, ჩემთვისაც, გოგლასთვისაც და ყველასთვის, თუნდაც იმისთვის, ვინც ეს ყველაფერი „იჩალიჩა“, ეს ყველაზე ადვილია, იმიტომ, რომ კაციშვილი ვერ გაიგებს, რა მოხდა სინამდვილეში, ამიტომ კეთილი ინებე, ძმაო, ახლა...**

- აუ... *(ძამია ისეთი დაბნეული ჩანს, რომ პასუხს ვერ პოულობს და დუმს)*

- **კეთილი ინებე, ტვინი გაანძრიე, აგერ ძმა არის, ჩვენ ვართ და „გაგვაიასნე“ თავიდან ბოლომდე, რა ხდება ბ...შვილი ვიყო, სხვა გამოსავალი არ გაქვს ბ... შვილი ვიყო...**

- აუ, მეტი არ ვიცი, აუ...

- **გესმის, რას გეუბნები?**

- აუ, როგორ გითხრა, ამის მეტი არაფერი ვიცი...

- **პირობას გაძლევ, ნურაფრის ნუ გეშინია...** *(საუბარში ოჯახთან დაახლოვებული მეორე პირი ერთვება)*

- აუ, არაფრის არ მეშინია, ვისთან...

- **შენი აზრი მაინტერესებს, ხომ მეუბნები, რომ ორი თვე დაგყავდათ „ტიპი“ ბინაში, თანაც კვირაში ორჯერ-სამჯერ, რატომ მოხდა ეს, არ გიფიქრია ამაზე?**

- აუ, არ ვიცი...

- **ანაბეჭდები რატომ არ იყო ბინაში?**

- არ ვიცი, მართლა დამყავდა იმ ბინაში და მართლა ის ხომ არ არის, არა...

- **ფაქტი სხვა რამეზე მეტყველებს, მიშა...**

*(საუბარში გიორგი ქვანია ერთვება):*

- **ყველა გაგიჟებულა ფაქტებიც, „მაგთიც“ ექსპერტიზაც...**

- არ ვიცი, შეიძლება ეს მომენტი მართლა ისე იყო, რომ გავედი და იქიდან დავრეკე, მაგრამ სხვა მომენტი, რასაც ვამბობ...

- **„პროსტო“ რატომ უნდა დაგერეკა, მიშა?**

- ვრეკავდი ხოლმე...

- **სად რეკავდი ხოლმე?**

- ხომ მშვიდობა-მეთქი...

- **ვისთან?**

- ვისთანაც ის შედიოდა. ამას ორჯერ შეხვდა ერთხელ წინა თვეში და მეორედ ამ თვეში...

- **ორი გამოსავალი გაქვს, ბ... შვილი ვიყო, ჩემი აზრით... ხომ გაგითენებია იქ ღამე და ზურაც ხომ დარჩენილა?** *(საუბარს კვლავ ქვანიების ოჯახთან დაახლოებული პირი აგრძელებს):*

- ზურა ღამე არ დარჩენილა.

- **ორი საათი იყო თუ სამი, ხომ იყო და მუშაობდა? შენც ხომ ყოფილხარ და არ გაგუდულხარ, არაფერი მომხადარა, სიმონ, შენი აზრი მაინტერესებს, დავუშვათ, ვამბობთ, რომ მოიწამლა, როგორ?**

- ვიცი, ამის ეჭვი მეც... ხო აზრზე ხარ...

- **ჰოდა, ამას გეუბნები, უნდა „გააიასნო“, მიშა, შენი ეს საქციელები, ახლა რასაც ლაპარაკობ, ეს არ მახსოვს, ეს თურმე იქ მოხდა, ძალაუნებურად ისევ შენ გიბრუნდება, გაიგე? ამიტომ ამ ყველაფერში „გაგვაიასნე“ რა, ბ...შვილი ვიყო. „იმენნა“, ასე დაჯექი და „გაგვაიასნე“, თავიდან ბოლომდე...**

- აი, რაც ვიცი...

- **მიშა, ხომ გესმის, რას გეუბნები?**

- კი...

- **ახლა, წარმოიდგინე, შენი თავი როგორ მდგომარეობაში ჩაიყენე, ნებისმიერი ასეთი შენი ქცევა ისევ შენზე მიდის, სიმონ, ხომ ხვდები ამას? ყველა ვარიანტში, ხომ გესმის?**

- კი, მესმის...

- **ამიტომ, შენ ეს ყველაფერი თავიდან ბოლომდე, წუთობრივად უნდა „გააიასნო“, უნდა დაგვეხმარო, რომ ეს ყველაფერი „გაიასნდეს“. რასაც შენ ახლა „ბაზრობ“, ეს ყველაფერი ზღაპარია, სიმონ...**

- ეგ არ ვიცი, ახლა, მაგრამ ეჭვი ყველაზე მეტი მე მაქვს, მე მივედი... მართლა რაც იყო, იმას ვყვები რაა... ასე იყო... რაში დამჭირდებოდა მე რაღაც ისა... ვის უნდა ეთქვა ჩემთვის ზურაზე რაღაც... მე ყველაფრისთვის მზად ვარ. თუნდაც ხვალვე მოვკვდე. დედას ვფიცავარ, თუ გინდა ხვალვე მომკლან, თუ არ ვიყო ამისთვის მზად.

- **ბიჭო, ეს ჩვენ არ გვაწყობს, რეებს „ბაზრობ“, შ...გ ხომ არ გაქვს, ტოო... შენი სიკვდილი თუ აწყობს ვინმეს...**

- *(საუბარში ქვანიების ოჯახთან დაახლოებული მეორე პირი ერთვება)* შენ სიკვდილს ჩვენ არ დავუშვებთ, ეს ყველაფერი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ...

- ჰოდა, აგერ ვარ მე, არსად არ მივდივარ და ვიცოცხლებ იმისთვის, რომ ეს ამბავი ბოლომდე მივიდეს.

- **მიშა, რა მაინტერესებს, ახლა მეუბნები, რომ იუსუფოვს მანამდე წინა თვეში შეხვდაო, წინა თვე იანვარია, თუ დეკემბერი? დეკემბერში შეხვდა ზურა იუსუფოვს?** *(გიორგი ქვანია)*

- კი.

- **ესე იგი, მარტო იუსუფოვთან ზურას შეხვედრის ამბავი იცი? მარტო ეს ხდებოდა შენთვის ცნობილი და დანარჩენი ყველა შეხვედრა შენთვის უცნობია? რაღაც უცნაურია, არა? არ გეჩვენება, რომ ესეც უცნაურია?** *(კითხვას ისევ გიორგი ქვანია სვამს)*

*ძამია თავდახრილი ზის და დუმს.*

- **რატომ იყო მაინცდამაინც ზურას იუსუფოვთან შეხვედრის ამბავი შენთვის ცნობილი? ფარული შეხვედრა მოაწყო და ეს გახდა შენთვის ნათელი და სხვა ყველა შეხვედრა იყო ფარული, როგორ ამიხსნი ამას?**

*(საუბარში კვლავ ქვანიების ოჯახთან დაახლოებული პირი ერთვება)*

- **ვერ ლაპარაკობ. გამოდის, რომ შენ ჩვენთვის ტყუილის თქმა გინდა. აშკარად ვერ ლაპარაკობ, ძმაო, რაა. არ უნდა დამალო სიმართლე, როგორი მწარეც არ უნდა იყოს... აშკარად ვერ ლაპარაკობ, განა სიმართლის თქმა არ გინდა, გიყურებ და გატყობ...**

ძამია ისევ თავდახრილი ზის და სიგარეტს ეწევა, ეტყობა, რომ დაბნეულია და არც სიმართლის დამალვას აპირებს. ფეხზე დგება და ერთ-ერთ მათგანს ეუბნება:

- **გამოდი ერთი წუთით...**

ოთახიდან გადიან... ნათლად ჩანს, რომ საუბარი ამით არ დასრულებულა...

***(გაგრძელება იქნება)***

პუბლიკაცია მოამზადა

**მაია მარგველანიძე**



# სახარება

# სახარების ახალი რედაქცია
## თითოეული ქართველისათვის გასაგებ ენაზე კანონიკური ტექსტის სრული დაცვით

ამ სტრიქონებს ცრემლებითა და უდიდესი უფლისმიერი სიყვარულით ვწერ. მე, გლახაკს უგლახაკესთა შორის და მდაბალს უმდაბლესთა შორის, მერგო შესაძლებლობა, ამჯერად „მამულში" წარმოგიდგინოთ **წყარო ჩვენი ცხოვრებისა - სახარება,** რომელიც ათასწლეულთა მანძილზე მრავალჯერ თარგმნილა, გადაწერილა და პირველყოფილი იერიც დაჰკარგვია. უფრო მეტიც, ძველქართულად აჟღერებული მაცხოვრის ცხოვრების ქრონოლოგია ბევრი თანამედროვესათვის, სამწუხაროდ, გაუგებარია, ხოლო ახალქართულად თარგმნილი ტექსტი ზოგჯერ იმდენად ბუნდოვანი და დამახინჯებული გახლავთ, რომ შეუძლებელი ხდება მთელი რიგი საკვანძო დებულებების სწორი აღქმა. **ისევე, როგორც ყველა დიდი საქმე, არც ჩვენს გაზეთში წარმოდგენილი სახარების ახალი რედაქცია იქნება აბსოლუტურად უზადო, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით და მწირი განათლებით, მას ყველაზე საუკეთესოდ და გასაგებად მივიჩნევ ქართველი მკითხველისათვის.** შემიძლია მოკრძალებით ვთქვა, რომ ჩვენს ხელთაა ერთადერთი და უნიკალური თანამედროვე რედაქცია ოთხთავისა, რომელზედაც უკვე **ოცდაათი წელიწადია, მუშაობს ყოფილი მიტროპოლიტი, მდაბალი გაიოზი (კერატიშვილი), საქართველოს ეკლესიის მეორე პირი 1978 წლამდე და ამავე წელს შევარდნაძის რეჟიმის მიერ უსამართლოდ და განუკითხავად 15 წლით თავისუფლებააღკვეთილი.**

სწორედ დალესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში იხვეწებოდა თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის უძველესი ქართული მარგალიტებით შემკული **ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა**. მოგვიანებით ეს ფუნდამენტური ნაშრომი კიდევ მრავალგზის იქნა შედარებულ-შეჯერებული სახარების სხვადასხვა გამოცემასთან. მან სცადა, მისეული ვარიანტი მაქსიმალურად იდენტური ყოფილიყო სახარების კანონიკური ტექსტისა; ამასთან, აღდგენილიყო მასში ის აუცილებელი ნიუანსები, რომლებიც საღმრთო წიგნში დაშიფრულ ჭეშმარიტებას ქართულ ყალიბში ჩამოასხამდა და ყველასათვის გასაგებს გახდიდა.

**გაიოზ კერატიშვილი, რომელმაც საკუთარ თავზე გამოსცადა იმპერიული რეჟიმის უსასტიკესი სუსხი და რომელიც გახლავთ უკანასკნელი ცოცხალი მემატიანე კირიონ კათალიკოსის ვერაგული მკვლელობის შესახებ არსებული ერთადერთი უტყუარი გადმოცემისა, არასოდეს ცდილა, ზერელედ, ნაჩქარევად, ხელის ერთი მოსმით გამოეტანა სამზეოზე ნაშრომი, რომელიც სულიწმიდის მადლის გარეშე უბრალო ტექნიკურ მუშაკობად ჩაითვლებოდა.** თუ არა სწორედ ამ დიდი მადლის გარდამოსვლა და მამისა და ძის სამებისეული გამთლიანება, შეუძლებელი იქნებოდა **ალფადან ომეგამდე, ანიდან ჰაემდე დაწურული უაღრესად რაფინირებული ოთხთავისეული თხრობის მრავალთათვის გასაგებ და, ამასთანავე, ფასდაუდებელი არქაიზმებით მოვარაყებულ ენაზე აჟღერება. დიდი მადლობა გაიოზ კერატიშვილს ამ უანგარო გარჯისათვის, ამ დიდი უფლისმიერი მოთმინებისათვის.**

მრავალჯერ წამიკითხავს სულისა და ხორცის შემძვრელი უდიადესი სახარება და ყოველთვის მიპოვია მასში რაღაც ახალი და მანამდე უწვდომელი; ბევრჯერ მიგრძნია ღვთისმეტყველთა სიტყვით გაცხადებული მკაცრი საზღაური ჩვენი ცოდვებისა და შეცოდებების გამო, რაც გლობალურ მსოფლიო კატასტროფებად დასტეხია და კვლავაც დაატყდება კაცობრიობას.

სიყვარული და შიში უფლისა - აი, უდიადესი მიზანი, რომელიც ყველა მოკვდავს აძლევს შანსს, გაიგოს **კართან მომდგარი მაცხოვრის კაკუნი, ლოცვით ხელაპყრობილი მიეგებოს და ფართოდ გახსნილი ბჭენი სულისანი მიაგებოს.**

მაშ, კიდევ ერთხელ მოვისმინოთ, რას გვეუბნება სახარება მეორედ მოსვლის ზღურბლზე, რათა უფლის მადლით გაბრწყინდეს **ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სიყვარული, ჩვენი გარდაცვალება და ჩვენი ხელახალი დაბადება!**

ლაშა ნადარეიშვილი

## წინათქმა

*სახარების ტექსტზე მუშაობას პირველად 1974-75 წლებში მოვკიდე ხელი. ეს მას შემდეგ, რაც სტოკჰოლმის ბიბლიის ინსტიტუტმა საქართველოს საპატრიარქოში წერილი მომწერა და მთხოვა, მეთანამშრომლა მათ მიერ შემოთავაზებული ახალი აღთქმის თანამედროვე ქართულზე შესრულებული ტექსტის გამოსაცემად. წერილს ხელს აწერდა დოქტორი ბორისლავ არაპოვიჩი. ვინაიდან ჩვენი მიმოწერა თბილისში კონტროლდებოდა, რელიგიის საქმეთა საბჭოს მაშინდელმა რწმუნებულმა ონოფრიშვილმა და „კგბ"-ს ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც რწმუნებულთან ერთ-ერთი შეხვედრისას მის კაბინეტში დამხვდა, ჩვენი მონაწილეობა ამ საქმეში ჩაშალა. - „ჩვენ არ ვიცით, ვინაა ეს არაპოვიჩი", - განაცხადა უშიშროების მუშაკმა, რაც ირიბი მინიშნება იყო ჩემთვის, რომ პრობლემები შემექმნებოდა. ამასთან, ვინაიდან ბიბლიის ინსტიტუტიდან ნიმუშად გამოგზავნილი ტექსტი მრავალი შეცდომით იყო დამძიმებული, ჩემი მიმოწერა მათთან შეჩერდა. მაგრამ სახარების რამდენიმე თავის ახალ ქართულზე შესრულებული ჩემეული თარგმანი, რომელიც ნიმუშად მინდოდა, გამეგზავნა შვედეთში, მცხეთის სემინარიის სამუშაო კაბინეტიდან დაიკარგა. ამას დაერთო ისიც, რომ ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელმაც სახარება მთხოვა წასაკითხად, მისი დაბრუნებისას პირდაპირ ასეთი რამ მითხრა: „შემიძლია გიჩივლო, რომ რელიგიურ ლიტერატურას ავრცელებო", რაც ასევე გარკვეული მუქარა და გაფრთხილება იყო...*

*სახარების ტექსტზე მუშაობა დაღესტნის შრომა-გასწორების კოლონიაში გავაგრძელე. კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის ძმისშვილმა ანტისა ცინცაძემ და ჩემზე დიდად მოამაგე ელზა ჩიჩელაშვილმა საამისოდ რამდენიმე წიგნი შემომიგზავნეს კოლონიაში. ტექსტი განვასრულე კიდეც, მაგრამ მრავალგზის გადაწერილი ტექსტის წაკითხვისას უკმარისობის გრძნობა მეუფლებოდა მუდამ. ახალ ქართულში შინაგანი რიტმის დაცვა, რაც ერთ-ერთი უმთავრესი ნიშან-თვისება და ღირსებაა ძველი ტექსტისა, ძნელად ხერხდებოდა და სახარებისეული შთაგონების სული იკარგებოდა კიდეც. განმიმტკიცდა აზრი, რომ ამ ფენომენთა გადმოტანა-შენარჩუნება შესაძლებელი გახდება, თუ ტექსტის ენას ისევ ძველ ქართულზე დავტოვებთ, გავამარტივებთ, და ვთარგმნით მხოლოდ აუცილებელ და ძნელად და ბუნდოვნად გასაგებ ადგილებს, რამაც, როგორც კი ტექსტი ამ კუთხით გავმართეთ, მისაღები შედეგი გამოიღო და სახარებამ სახარებისეული თხრობის სისადავე და სიზუსტე შეიძინა. თანაც შენარჩუნებულ იქნა ძველი ქართული ენის კეთილხმოვანება, რასაც ტექსტის ახალ რედაქციაზე მუშაობისას ბევრ ნიუანსში ვერასგზით ვერ შევეელიეთ.*

*ამჯერად ჩვენ მიერ ქართველი მკითხველისათვის გამოტანილი ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა ზემოაღნიშნულ ამ პრინციპს ემყარება, რაც, ჩვენი აზრით, მისაღები და მოსაწონია, თუმცა,* ***გარკვეული უზუსტობანი და ცდომილებანი ტექსტში, ალბათ, მაინც აღმოჩნდება, რომელთა შესახებ შენიშვნებსა და წინადადებებს დიდი მადლობით მივიღებთ.***

*საჭიროდ მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ტექსტზე მუშაობისას მე ძირითადად ვემყარებოდი კათალიკოს ეფრემ II-ის მიერ 1963 წელს გამოცემულ ახალ აღთქმას, რასაც აკადემიკოსმა ა.შანიძემ გაუკეთა რედაქტირება და 897 წლის ადიშის ოთხთავს. ასევე ხელთ მქონდა რუსული ბიბლიის სინოდალური გამოცემა და ბოლო წლებში ბიბლიისა და ცალკე სახარების ახალ ქართულზე შესრულებულ თარგმანთა ჩვენი და უცხოური გამოცემები.*

*სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ* ***ოთხთავის ამ ახალ რედაქციას ვუძღვნი ჩემი მასწავლებლისა და მაკურთხევლის, განსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ნათელ ხსოვნას,*** *რომელმაც საბჭოთა პერიოდში დევნისა და დისკრიმინაციის პირობებში განახორციელა ახალი აღთქმის აკადემიურ დონეზე გამოცემა.*

გაიოზ კერატიშვილი




# სახარება მათესი

### თავი 1

1. წიგნი შობისა იესო ქრისტესი, ძისა დავითისა, ძისა აბრაამისა.
2. აბრაამმა შვა ისააკი; ისააკმა შვა იაკობი; იაკობმა შვა იუდა და ძმანი მისნი;
3. ხოლო იუდამ შვა ფარეზი და ზარა თამარისაგან; ფარეზმა შვა ესრომი; ესრომმა შვა არამი;
4. არამმა შვა ამინადაბი; ამინადაბმა შვა ნაასონი; ნაასონმა შვა სალმონი;
5. სალმონმა შვა ბოოსი რექაბისაგან; ბოოსმა შვა იობედი რუთისაგან; იობედმა შვა იესე; იესემ შვა დავით მეფე.
6. დავით მეფემ შვა სოლომონი ურიას ცოლისაგან;
7. სოლომონმა შვა რობოამი; რობოამმა შვა აბია; აბიამ შვა ასა;
8. ასამ შვა იოსაფატი; იოსაფატმა შვა იორამი; იორამმა შვა ოზია;
9. ოზიამ შვა იოათამი; იოათამმა შვა აქაზი; აქაზმა შვა ეზეკია;
10. ეზეკიამ შვა მანასე; მანასემ შვა ამონი; ამონმა შვა იოსია;
11. იოსიამ შვა იექონია და ძმანი მისნი ტყვეობისას ბაბილონელთასა.
12. შემდგომად ტყვეობისა მის ბაბილონისასა, იექონიამ შვა სალათიელი; სალათიელმა შვა ზორობაბელი;
13. ზორობაბელმა შვა აბიუდი; აბიუდმა შვა ელიაკიმი; ელიაკიმმა შვა აზორი;
14. აზორმა შვა სადუკი; სადუკმა შვა აქიმი; აქიმმა შვა ელიუდი;
15. ელიუდმა შვა ელეაზარი; ელეაზარმა შვა მატათანი; მატათანმა შვა იაკობი;
16. იაკობმა შვა იოსები, ქმარი მარიამისა, რომლისაგან იშვა იესო, რომელსაც ჰქვია ქრისტე.
17. ამრიგად, ყოველი ნათესავი აბრაამიდან ვიდრე დავითამდე - თოთხმეტი თაობა და დავითიდან ვიდრე ბაბილონის ტყვეობამდე - თოთხმეტი თაობა და ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე - თოთხმეტი თაობა.
18. ხოლო იესო ქრისტეს შობა ესრეთ იყო: რამეთუ დედამისი მარიამი მითხოვილი იყო იოსებზე და ვიდრე შეერთდებოდნენ, ფეხმძიმედ შეიქმნა იგი სულისაგან წმიდისა;
19. ხოლო იოსები, ქმარი მისი, მართალი იყო, არ ისურვა მხილება და განიზრახა ფარულად განშორებოდა მას.
20. და ვითარცა იგი ამას განიზრახავდა, აჰა, ანგელოზი უფლისა ჩვენებით გამოეცხადა და უთხრა: იოსებ, ძეო დავითისაო, ნუ გეშია ცოლისა შენისა მარიამის მოყვანა, რამეთუ რომელი იგი მისგან იშვას, სულისა წმიდისაგან არს.
21. შვას ძე, და უწოდონ სახელი მისი იესო, რამეთუ მან იხსნას ერი თვისი ცოდვათაგან მათთა.
22. ესე ყოველი იქმნა, რათა აღესრულოს სიტყვა უფლისა პირითა წინასწარმეტყველისა თქმული:
23. აჰა, ქალწული ფეხმძიმედ შეიქმნეს და შვას ძე, და უწოდონ სახელი მისი ემმანუელი, რომელ არს თარგმანებით: ჩვენთანა არს ღმერთი.
24. განიღვიძა იოსებმა ძილისაგან, და ჰყო ეგრეთ, ვითარცა უბრძანა მას ანგელოზმან უფლისამან, და მოიყვანა ცოლი თავისი.
25. და არა იცოდა იგი, ვიდრე არ იშვა ძე იგი პირმშოი, და უწოდა სახელი მისი იესო.

### თავი 2

1. ხოლო იესოს შობასა ბეთლემსა იუდეისათა, დღეთა ჰეროდე მეფისათა, აჰა მოგვნი მოვიდნენ იერუსალიმში აღმოსავლეთიდან და თქვეს:
2. სადა არს, რომელიც იშვა მეუფე იგი ჰურიათა? რამეთუ ვიხილეთ ვარსკვლავი მისი აღმოსავლეთით და მოვედით, რათა თაყვანივცეთ მას.
3. ვითარცა ესმა ესე ჰეროდე მეფესა, შეშფოთდა იგი და მასთან ერთად მთელი იერუსალიმი.
4. და შეკრიბა ყოველნი მღვდელთმთავარნი და მწიგნობარნი ერისანი და ჰკითხავდა მათ: სად უნდა შობილიყო ქრისტე.
5. ხოლო მათ უთხრეს: ბეთლემსა იუდეისათა, რამეთუ ესრეთ წერილ არს წინასწარმეტყველისა მიერ:
6. და შენ, ბეთლემო, მიწავ ეგე იუდეისაო, არასადა უმრწემესი ხარ მთავართა შორის იუდეისათა, რამეთუ შენგან გამოვიდეს წინამძღვარი, რომელმაც დამწყსოს ერი ჩემი ისრაელი;
7. მაშინ ჰეროდემ მალულად მოუწოდა მოგვებს და გამოიკითხა მათგან ჟამი ვარსკვლავის გამოჩინებისა;
8. და წარავლინა ისინი ბეთლემს და უთხრა: მიდით და ჭეშმარიტად გამოიკითხეთ იმ ყრმის ამბავი, და როცა ჰპოვოთ იგი, მითხარით, რათა მივიდე და მეც თაყვანივცე მას.
9. ხოლო მათ მოუსმინეს მეფეს და წარვიდნენ. და აჰა ვარსკვლავი იგი, რომელიც იხილეს აღმოსავლეთით, წინაუძღოდა მათ, ვიდრე მივიდოდა და დაადგრებოდა ადგილსა მას, სადაცა იყო ყრმაი იგი.
10. ხოლო მათ, ვითარცა იხილეს ვარსკვლავი იგი, განიხარეს სიხარულითა დიდითა ფრიად.
11. და ვითარცა შევიდნენ სახლსა მას, იხილეს ყრმაი იგი მარიამისა - დედისა თვისისა თანა, და დავარდნენ და თაყვანისცეს მას; და საუნჯეთა თვისთაგან აღიღეს და შესწირეს ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური.
12. და მიიღეს ბრძანება ჩვენებით, რათა არღარ დაბრუნდნენ ჰეროდესთან, არამედ სხვა გზით წარვიდნენ თავიანთ ქვეყანაში.
13. და ვითარცა წარვიდნენ მოგვები, აჰა ანგელო-

ზი უფლისა გამოეცხადა ჩვენებით იოსებს და უთხრა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაი ეგე და დედაი მაგისი და ივლტოდე ეგვიპტეში და იყავი იქ, ვიდრემდე მე გეტყოდე; რამეთუ ჰეროდეს ჰსურს ყრმისა მის მოძიება და წარწყმედა მისი.

14. ხოლო აღდგა იგი ღამით და წარიყვანა ყრმაი იგი და დედაი მისი და წარვიდა ეგვიპტეში და იყო იქ ვიდრე აღსრულებამდე ჰეროდესა.

15. რათა აღესრულოს სიტყვა იგი უფლისა, თქმული წინასწარმეტყველისა მიერ: ეგვიპტიდან მოვუწოდე მე ძესა ჩემსა.

16. მაშინ ვითარცა იხილა ჰეროდემ, რომ მოატყუეს მოგვებმა, განრისხდა ფრიად, წარავლინნა და ამოაწყვეტინა ყოველნი ყრმანი, რომელნიც იყვნენ ბეთლემსა და მის შემოგარენში ორისა წლისანი და მასზედ უმცროსნი, მსგავსად მის ჟამისა, ვითარცა გამოიკითხა მოგვთაგან მათგან.

17. მაშინ აღესრულა თქმული იგი იერემია წინასწარმეტყველისა, რომელიც ამბობს:

18. ხმაი ჰრამაისგან ისმა გოდებისა, ტირილისა და გლოვისა დიდისა; რაქელი დასტიროდა შვილთა თვისთა და არღარა სურდა თავისა ნუგეშში, რამეთუ არღარ იყვნენ ისინი.

19. ხოლო რაჟამს აღესრულა ჰეროდე, აჰა ანგელოზი უფლისა ჩვენებით გამოეცხადა იოსებს ეგვიპტეში

20. და უთხრა: აღდეგ და წარიყვანე ყრმაი ეგე და დედაი მაგისი და წადი ქვეყანასა ისრაელისასა, რამეთუ ამოწყდნენ, რომელნიც მაგ ყრმისა სულსა ეძიებდნენ.

21. ხოლო იგი აღდგა და წარმოიყვანა ყრმაი იგი და დედაი მისი და მოვიდა ქვეყნად ისრაელისა.

22. და ვითარცა ესმა, რამეთუ არქელაოსი მეფობს იუდეას — მამისა თვისისა ჰეროდეს წილ, შეეშინდა იქ მისვლა და ბრძანება მიიღო ჩვენებით და წარვიდა გალილეიის მხარეში.

23. და მივიდა და დაეშენა ქალაქსა შინა, რომელსაც ჰქვია ნაზარეთი, რათა აღესრულოს თქმული იგი წინასწარმეტყველისა მიერ, ვითარმედ — ნაზარეველი ეწოდოს.

## თავი 3

1. მათ დღეთა შინა მოვიდა იოანე ნათლისმცემელი და ჰქადაგებდა უდაბნოსა მას იუდეიისა.

2. და იძახდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლოებული არს სასუფეველი ცათა.

3. რამეთუ ესე არს, რომელზედაც თქმული არს ესაია წინასწარმეტყველისა მიერ და ამბობს: ხმაი ღაღადებისაი უდაბნოსა შინა; განამზადენით გზანი უფლისანი და მოასწორეთ ალაგნი მისნი.

4. ხოლო თვითონ იოანეს ემოსა სამოსი ბეწვისა აქლემისა და სარტყელი ტყავისაი ერტყა წელზედ. ხოლო საკვებად ჰქონდა კალიები და თაფლი ველური.

5. მაშინ მასთან მიემართებოდა იერუსალიმი და მთელი იუდეა და გარემო სოფლები იორდანისა.

6. და განინათლებოდნენ მისგან იორდანეში და აღიარებდნენ ცოდვათა თვისთა.

7. და ვითარცა იხილა მრავალნი ფარისეველნი და სადუკეველნი ნათლისღებისათვის მიმავალნი მასთან, უთხრა მათ: ნაშობნო იქედნეთანო, ვისგან გაგიგიათ თქვენ გაქცევა რისხვისაგან მომავალისა?

8. ჰყავით აწ ნაყოფი — ღირსი სინანულისა;

9. და ნუ გგონიათ და ნუ იტყვით თქვენთვის: მამა აბრაამი გვყავსო ჩვენ; რამეთუ გეტყვით თქვენ: შემძლებელ არს ღმერთი ქვათა ამათგან აბრაამს შვილები აღუდგინოს.

10. რამეთუ აწვე ესერა ცული ძირთა თანა ხეთასა დევს. ყოველმან ხემან რომელმან არა გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოიკვეთოს და ცეცხლში შთაიგდოს.

11. მე ნათელსგცემთ წყლითა მოსანანიებლად, ხოლო რომელიც შემდგომად ჩემსა მოვალს, უძლიერესი ჩემსა არს, რომლის სანდალთა ტარებისა არა ღირს ვარ. მან ნათელგცეთ თქვენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა.

12. ნიჩაბი მისი ხელთა მისთაა, მოწმინდოს კალო და შეჰკრიბოს ხორბალი თავისი ბეღელში, ხოლო ბზე დასწვას ცეცხლითა მით ჩაუქრობელითა.

13. მაშინ მოვიდა იესო გალილეიიდან იორდანეზე იოანესთან, რათა ნათელიღოს მისგან.

14. ხოლო იოანე აჩერებდა და უთხრა: მე მჭირდება შენგან ნათლისღება და შენ მოდიხარ ჩემთანა?

15. მიუგო იესომ და უთხრა მას: აცადე აწ, რამეთუ ესრეთ შეშვენის ჩვენდა მთელი სიმართლის აღსრულებას. მაშინ იოანემ მიუშვა თავისთან.

16. და ნათელიღო იესომ და მეყსეულად აღმოვიდა რაი წყლისა მისგან, აჰა განეხსნა ცანი და იხილა სული ღვთისა გარდამომავალი ვითარცა მტრედი და მოვიდა და დაადგრა მას ზედა.

17. და ხმა იყო ზეცით და თქვა: ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მე სათნოდ-ვიჩინე.

## თავი 4

1. მაშინ იესო გაყვანილ იქნა სულისაგან უდაბნოში ეშმაკისაგან გამოსაცდელად.

2. და იმარხულა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და მერმე მოეშია.

3. მიუხდა მას მაცდური იგი და უთხრა: უკეთუ შენა ხარ ძე ღმრთისა, თქვი, რათა ქვანი ესე პურად გარდაიქცნენ.

4. ხოლო იესომ მიუგო და უთხრა: წერილ არს, რამეთუ არა პურითა მარტო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა.

5. მაშინ წარიყვანა იგი ეშმაკმან წმიდა ქალაქში და აიყვანა ქიმზე ტაძრისა.

6. და უთხრა მას: უკეთუ ძე ხარ ღმრთისაი, გარდაიგდე თავი შენი აქედან ქვევით, რამეთუ წერილ არს, ვითარმედ ანგელოზებს აქვთ ნაბრძანები შენზე ხელში აყვანილი გატარონ, რათა ნუსადა წარსცე ქვასა ფეხი შენი.

7. უთხრა მას იესომ, წერილ არს ასევე: არ გამოსცადო უფალი ღმერთი შენი.

8. კვლავ წარიყვანა იგი ეშმაკმან მთასა ფრიად მაღალსა და აჩვენა მას ყოველნი სუფევანი ქვეყნისანი და დიდებაი მათი.

9. და უთხრა მას: ესე ყოველი მოგცე შენ, უკეთუ დაჰვარდე და თაყვანიმცე მე.


ნათლისღება იესო ქრისტესი

10. მაშინ უთხრა მას იესომ: წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანავ, რამეთუ წერილ არს: უფალსა ღმერთსა შენსა თაყვანიეც და მხოლოდ მას მსახურებდე.

11. მაშინ დატოვა იგი ეშმაკმან და ანგელოზნი მოვიდნენ და მსახურებდნენ მას.

12. ხოლო ესმა რაი იესოს, ვითარმედ იოანე გასცეს, განეშორა და წარვიდა გალილეაში.

13. და მიატოვა ნაზარეთი და მივიდა და დაემკვიდრა ზღვისპირად კაპერნაუმში, ზაბულონისა და ნეფთალიმიის საზღვარზე,

14. რათა აღესრულოს თქმული იგი ესაია წინასწარმეტყველისა, რომელიც ამბობს:

15. მიწა ზაბულონისა და მიწა ნეფთალიმიისა, გზაი ზღვისაი იორდანეს გაღმა, წარმართების გალილეია.

16. ერმა, რომელიც ბნელში იჯდა, ნათელი იხილა დიდი და რომელნიც ისხდნენ ქვეყნისა და სიკვდილის სიბნელეში, ნათელი აღმოუბრწყინდა მათ.

17. იმ დროიდან იწყო იესომ ქადაგება და ამბობდა: შეინანეთ, რამეთუ მოახლოებული არს სასუფეველი ცათაი.

18. და მიდიოდა რა იესო ზღვისა პირსა მის გალილეიისასა, იხილა ორნი ძმანი: სვიმონი, რომელსაც ეწოდა პეტრე და ანდრია ძმაი მისი. ბადეებს ისროდნენ ზღვაში, რამეთუ მებადურეები იყვნენ.

19. და უთხრა მათ: მოდით და შემომიდექით მე და გაგხადოთ თქვენ მებადურეებად კაცთა.

20. ხოლო მათ მეყსეულად მიატოვეს ბადეები და შეუდგნენ მას.

21. და წარმოვიდა იქიდან და იხილა სხვანი ორნი ძმანი იაკობი ზებედეს ძე და იოანე მისი ძმა ნავსა შინა მსხდომარენი მამითურთ ზებედესთან ერთად, ჰმართავდნენ ბადეებს და მოუწოდა მათაც.

22. ხოლო მათ მეყსეულად მიატოვეს ნავიცა და მამაც და გაედევნენ მას.

23. და მიმოდიოდა იესო მთელ გალილეაში და ასწავლიდა სინაგოგებში და ჰქადაგებდა სახარებას სასუფეველისასა და ჰკურნავდა ყოველგვარ სენსა და ყოველგვარ უძლურებას ხალხისას.

24. და განითქვა ამბავი მისი ყოველსა ქვეყანასა ასურეთისასა და მიჰყავდათ მასთან მრავალგვარი სენითა და ტანჯვით შეპყრობილი მძიმე ავადმყოფნი, და ეშმაკეულნი, და მთვარეულნი, და დამბლადაცემულნი, და ჰკურნავდა მათ.

25. და მიჰყვებოდა მას ერი მრავალი გალილეიიდან და ათქალაქიდან და იერუსალიმიდან და იუდეიდან და იორდანის ნაპირებიდან.

## თავი 5

1. და ვითარცა იხილა იესომ დიდძალი ხალხი, აღვიდა მთასა და დაჯდა და მოუვიდნენ მოწაფენი მისნი.

2. და აღაღო პირი თვისი, ასწავლიდა მათ და ეუბნებოდა:

3. ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

4. ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშცემულნი იქმნენ.

5. ნეტარ იყვნენ მშვიდნი, რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქვეყანა.

6. ნეტარ იყვნენ, რომელთაც ჰშიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განძღნენ.

7. ნეტარ იყვნენ მოწყალენი, რამეთუ იგინი შეიწყალნენ.

8. ნეტარ იყვნენ წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ.

9. ნეტარ იყვნენ მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ იგინი ძედ ღვთისად იწოდნენ.

10. ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა.

11. ნეტარ იყვნეთ თქვენ, რაჟამს გყვედრიდნენ და გდევნიდნენ და ყოველი სიტყვაი ბოროტი თქვან თქვენზე ჩემს გამო.

12. გიხაროდენ და მხიარულ იყვენით, რამეთუ საზღაური თქვენი დიდი არს ცათა შინა, რამეთუ ასევე დევნიდნენ წინასწარმეტყველთ უწინარეს თქვენსა.

13. თქვენა ხართ მარილი ქვეყნისა; უკეთუ მარილი განქარდეს, რაღამ უნდა დაამარილოს? ის არღარაფრისთვის არღარ გამოდგება, მხოლოდ გარეთ თუ გადაყრიან კაცთა ფეხთა ქვეშ გასათელად.

14. თქვენა ხართ ნათელი ქვეყნიერებისა. ვერ დაიმალება მთის წვერზე აშენებული ქალაქი.

15. არცა ხვიმრის ქვეშ არა დგამენ ანთებულ სანთელს, არამედ სასანთლეზე, რათა ყველასათვის ანათებდეს სახლში.

16. ეგრე ბრწყინავდეს ნათელი თქვენი წინაშე კაცთა, რათა იხილონ საქმენი თქვენნი კეთილნი და ადიდებდნენ მამასა თქვენსა ზეცათასა.

17. ნუ ჰგონებთ ვითარმედ რჯულის ან წინასწარმეტყველებათა გასაუქმებლად მოვედი. მოვედი არა გასაუქმებლად, არამედ აღსასრულებლად.

18. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვიდრე ცა და ქვეყანა არ განილევა, რჯულისა და წინასწარმეტყველებათა არცერთი იოტა და არცერთი წერტილი არ წარიშლების, სანამ ყოველი არ აღსრულდება.

19. უკეთუ ვინმემ დაარღვიოს მცნებათა ამათგან ერთი უმცირესი და ესრეთ ასწავლოს კაცთა, უმცირესი ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ჰყოს და ასწავლოს, ამას დიდი დაერქვას სასუფეველსა ცათასა.

20. რამეთუ გეუბნებით თქვენ: უკეთუ არ გარდაემატოს სიმართლე თქვენი მწიგნობართა და ფარისეველთა სიმართლეს, ვერ შეხვიდეთ სასუფეველსა ცათასა.

21. გსმენიათ, რამეთუ ითქვა ძველთა მიმართ: არა კაც ჰკლა, ხოლო რომელმაც მოჰკლას, თანამდებ არს სასჯელისა.

22. მე კი გეუბნებით თქვენ: რამეთუ რომელი განურისხდეს ძმასა თვისსა ტყუილად, თანამდებ არს სასჯელისა; და რომელმან უთხრას ძმასა თვისსა: რაკა, თანამდებ არს იგი კრებულისა; და რომელმან უთხრას ძმასა თვისსა: ცოფო, თანამდებ არს იგი გეენიასა მას ცეცხლისასა.

23. უკეთუ შესწირავდე შესაწირავსა საკურთხეველსა ზედა და გაგახსენდეს იქ, რამეთუ ძმაი შენი გულძვირადაა შენს გამო რაიმეზე,

24. მიატოვე შესაწირავი იგი საკურთხევლის წინაშე, მიდი და დაეგე პირველად ძმასა შენსა და მერე მოდი და შესწირე შესაწირავი შენი.

25. დროზე შეურიგდი მოდავესა შენსა, — სანამ ჯერ კიდევ გზაზე მასთანა ხარ, — რათა არ გარდაგცეს მოდავემ მსაჯულსა, და მსაჯულმან მსახურსა და არ შთავარდე საპყრობილეში.

26. ჭეშმარიტად გეუბნები შენ: ველარ გამოხვიდე იქიდან, ვიდრე არ მისცე უკანასკნელი კოდრატი.

27. გსმენიათ, რამეთუ ითქვა: არა იმრუშო.

28. ხოლო მე გეუბნებით თქვენ, რამეთუ ყოველმან რომელმაც გულისთქმით შეხედოს ქალსა, უკვე იმრუშა მასთან ერთად გულსა შინა თვისსა.

29. უკეთუ თვალი შენი მარჯვენა გაცდუნებდეს, აღმოიღე იგი და მოიშორე შენგან, რამეთუ უმჯობეს არ შენდა, რათა ასოთაგან ერთი დაგეკარგოს, ვიდრე მთელი შენი სხეულით შთავარდე გეენიასა.

30. და უკეთუ მარჯვენა ხელი შენი გაცდუნებდეს, მოიკვეთე იგი და მოიშორე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა დაიკარგოს ერთი ასოთა შენთაგანი, და არა მთელი შენი სხეული შთავარდეს გეენიასა.

31. თქმული არს, რამეთუ რომელიც ცოლსა თვისსა გაეყაროს, მისცეს მას განსატევებელი წიგნი.

32. ხოლო მე გეუბნებით თქვენ, რამეთუ ყოველმან, რომელმან განიშოროს ცოლი თვისი თვინიერ სიძვისა მიზეზისა, მან მრუშად აქცია იგი. და რომელიც განშორებულსა შეირთავს, იმანაც იმრუშა;

33. კიდევ გსმენიათ, რამეთუ ითქვა ძველთა მიმართ: ტყუილად არ იფიცო, არამედ აღასრულე ფიცი შენი წინაშე უფლისა.

34. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: ნუ დაიფიცავთ ნურაფერს, ნუცა ცასა, რამეთუ საყდარი არს ღმრთისაი.

35. ნუცა დედამიწას, რამეთუ კვარცხლბეკი არს ფეხთა მისთაი. ნუცა იერუსალიმს, რამეთუ ქალაქი არს დიდისა მეუფისაი.

36. ნუცა თავსა შენსა დაიფიცავ, რამეთუ არ ძალგიძს ერთი ღერი თმის გინდა გათეთრება, გინდა გაშავება.

37. არამედ იყოს სიტყვაი თქვენი: „ჰო“ ჰო და „არაი“ არა. ხოლო უმეტესი ამათზე უკეთურისაგან არს.

38. გსმენიათ, რამეთუ თქმულ არს: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ.

39. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: წინ არ აღუდგეთ ბოროტებას; არამედ რომელმაც მარჯვენა ლოყაში გაგარტყას, მიუპყარ მას მარცხენა ლოყაცა.

40. და რომელსაც უნდოდეს გაზღვევინოს და პერანგი წაგართვას, მიეცი მას მოსასხამიცა შენი.

41. და რომელიც გაიძულებდეს ერთ მილზე წაყოლას, გაჰყევი ორ მილზე.

42. და რომელიცა გთხოვდეს — მიეცი, და რომელიც გესესხებოდეს — უარს ნუ ეტყვი.

43. გსმენიათ, რამეთუ თქმულ არს: შეიყვარო მოყვასი შენი და მოიძულო მტერი შენი;

44. ხოლო მე გეუბნებით თქვენ: გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და აკურთხებდეთ მაწყევართა თქვენთა და სიკეთით უხდიდეთ მოძულეთა თქვენთა და ჰლოცავდეთ მათ, რომელნიცა გმძლავრობდნენ და გდევნიდნენ თქვენ.

45. რათა იყვნეთ თქვენ შვილნი მამისა თქვენისა ზეცათაისა; რამეთუ მზე მისი აღმოდის ბოროტთა და კეთილთა ზედა, და უწვიმებს მართლებსაცა და ცოდვილებსაც.

46. უკეთუ გიყვარდეთ მარტო მოყვასნი თქვენნი, რა სარგებელი გექნებათ ამით? რამეთუ მეზვერენიც ასევე იქცევიან.

47. და უკეთუ მოიკითხავდეთ მარტო მეგობართა თქვენთა, დიდს ამით რას აკეთებთ? განა მეზვერენიც ასე არ ჩადიან?

48. იყავით სრულნი, ვითარცა მამაი თქვენი ზეცათაი სრულ არს.

**გაგრძელება იქნება**

** რაკა: „ასურულითა ენითა ვაი შენ, გინა სანერწყველ“ (საბა); რუსულში: „Пустой человек“.*

*** სინედრიონზე გადაცემა*

**** ცოფი: - სულელი, „გონება და ცნობა მოძარცული“ (საბა).*

მკითხველს საგანგებოდ ვთხოვ, აქედანვე დაბეჯითებით დაიმახსოვროს: „დოკუმენტური პროზა“ (ანუ „ნივთნი საქმეთანი“ მხატვრული ხელოვნებით „განშვენებულნი“) მხოლოდ ისტორიული სინამდვილის მხატვრულად გადმოცემას გულისხმობს და არა არარსებული „ისტორიის“ გამოგონებას.

და ეს წიგნებიც, რომელთაც მე ჩვენი წინაპრების სულის და ფერფლის „აღდგომის წილად“ ვწერ, თავიდან ბოლომდე, გნებავთ თავისი „ნივთთა მხატვრულობით“, რეალურ-საისტორიო მეცნიერების სამსახურში დგანან. მათში თანმიმდევრული მხატვრული თხრობით გადმოიცემა ის, რაიც (ნივთნი საქმეთანი) მეცნიერებას დღემდე ძირითადად დაუდგენია და მიუკვლევია. ამიტომ მკითხველი მათ ბოლომდე უნდა ენდოს. წიგნში ლეგენდაც შეხვდება მკითხველს, ლეგენდა - პოეტური ტყუპისცალი ისტორიისა, - მაგრამ ის, ვინც ამ წიგნთა „მონელებას“ უგულისყურო „გადარბენით“ არ დააპირებს, იგი ლეგენდისა და სინამდვილის საზღვარსაც იოლად გაარჩევს.

ლევან სანიკიძე. „უქარქაშო ხმლების“ წინაბჭიდან, 26 მაისი 1974 წლისა



ლევან სანიკიძე

# უქარქაშო ხმლები

**წიგნი პირველი**

**კარი პირველი**

## ფესვები

უფრო ძველ ამბავთა ზუსტი გამორკვევა
არ მოხერხდა დროის სიშორისა გამო.

*თუკიდიდე*

**აზმა პირველი**

## წიგნი ოქროს საწმისისა

ნამდვილს მოგითხრობთ, გარნა
ისეთს, – ზღაპარივით მოგეჩვენებათ.

*ოვიდიუსი*

### სახლეული აიეტისა

გეორგიადას იწყებს კოლხეთი - დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო.

დასაწყისი არის სამიათას ხუთასწლოვანი - ნაყოფი ერთმანეთში ჩაწნულ-ჩაკირული მითის, ლეგენდის, ისტორიისა.

ფასის მთიდან მომდინარე ფასისი - რიონი, საქართველოს დედამდინარე: რამეთუ იგი საქართველოს დიდ წყალძარღვთაგან ერთადერთია, რომელიც საქართველოში იწყება და საქართველოშივე სრულდება, შავ ზღვასთან შერთვით.

ზედ შუა წელზე დედა-მდინარე მთებში შესკვნილ საკინძეს იხსნის, ფიცხელ მუხლს ისხლეტს, ზავთიან ყიჟინას იცხრობს და წყნარი, განიერი რუსხმულით მიტორტმანებს ვრცლად გაშლილ დაბლობზე.

სწორედ აქ, მთისა და ბარის შესაყარში, ევროპისა და აზიის გზაკვეთილზე, იდგა ქალაქი ქუთაია - ქუთაისი, სატახტო „ოქროს ქვეყნად“ წოდებული კოლხეთისა.

მაშინდელი კოლხეთისა და ქუთაისის მცხოვრებნი „ღვთისთესლიერ“ ბერძენ გმირთა თანამედროვენი და თანატოლნი არიან. კოლხეთის მეფეს, აიეტს მზე-ჰელიოსის ძეს უწოდებენ. ჰელიოსის ასული, აიეტის და, პასიფაე, ცოლად ჰყავს ზევსის შვილად წოდებულ მინოსს, კრეტის სახელგანთქმულ მბრძანებელს. ჯერ კიდევ არ შობილან ამ ქვეყნად შემდგომში სახელგანთქმულ ტროას ომის გმირები, აგამემნონი და მენელაოსი, აქილევსი და პატროკლე, ოდისევსი და დიომედე, აიაქსი და ჰექტორი.

კაცთა მოდგმის სამბრძანებლოში ორი იყო ყველაზე დიდი მბრძანებელი - აღმოსავლეთში მზის ძე აიეტი, დასავლეთში ზევსის ძე მინოსი.

ოქროს ქვეყანას ეძახდნენ კოლხეთს. კავკასიონიდან დაქანებულ მდინარეებს მოჰქონდათ ქვიშა ოქროსი. კოლხები მდინარეთა ჩქერებს ცხვრის ტყავებს ჩაუგებდნენ და ოქროს ქვიშა მოჰყვებოდა ოქროს საწმისებს.

ოქროს ქვეყანა იყო კოლხეთი და ჰელიოსის ნაშიერებიც ოქროს სხივებს ისროდნენ თვალთაგან.

ოქროს თვალსხივოსანი შვილები ჰყავდა მეფე აიეტს: ტახტის მემკვიდრე აფსირტე და ორი ასული - ქალკიოპე და მედეა.

გრძელდება მოყვრობა და მეგობრობა ბერძენთა და კოლხთა.

საბერძნეთიდან სიკვდილს გამოექცა უფლისწული ფრიქსე, ორქომენელი ათამანტის ძე. იგი ოქროსმატყლოვანი ვერძით მოვიდა კოლხეთში და აიეტს თავშესაფარი სთხოვა. გულუხვმა და გულმოწყალე მეფემ ლტოლვილი უცხოელი კიდევაც შეივრდომა და სიძედაც დაისვა - ცოლად შერთო თავისი უფროსი ქალი ქალკიოპე, ხოლო ოქროს ვერძი, აიეტის ბრძანებით, კოლხმა ქურუმებმა ღრუბელთა ბატონს შესწირეს და მისი ტყავი, ოქროს საწმისად წოდებული, ცადატყორცნილ მუხაზე დაჰკიდეს.

ოთხი შვილი ჰყავდათ ქალკიოპეს და ფრიქსეს, ოთხივე ვაჟი - არგოსი, ქუთისორე, მელასი და ფრონტისი.

როცა ფრიქსე მოკვდა, კოლხებმა მისი ცხედარი, კოლხური წესით, ხარის ტყავში გაახვიეს და მაღალ ხეზე დაჰკიდეს.

შვილები, მით უფრო ვაჟები, ხშირად მამის გვარზე და კვალზე დგებიან. მამა ბერძენი იყო. შვილებიც თურმე შეფარვით ბერძნობდნენ, ბოლოს, საბერძნეთში გასამგზავრებლად აიეტს ხომალდი სთხოვეს, ვითომცდა იქაური მემკვიდრეობის დასაპატრონებლად. აიეტმაც მისცა ხომალდი შვილიშვილებს.

ზღვაზე ამოვარდნილმა ქარტეხილმა ხომალდი ერთიანად დალეწა, თვითონ ფრიქსეს ვაჟები კი არეტიადის კუნძულზე გარიყა.

### არგონავტები

ზღვისა და მიწის ბედისწერამ სწორედ იმავ დღეს ამ კუნძულზე მოიყვანა საბერძნეთიდან წამოსული ხომალდი „არგო“, ორმოცდაათი „არგონავტით“. გმირებს სათავეში ედგა ახალგაზრდა, მშვენიერი და მამაცი იასონი, უფლისწული თესალიის ქალაქ იოლკოსიდან. მიდიოდნენ კოლხეთს, საიდანაც საბერძნეთში უნდა წაეღოთ ოქროს საწმისი - სიმბოლო ქვეყნის სიმდიდრისა, სიმძლავრისა და სიდიადისა. თუ ამ დავალებას არ შეასრულებდა, იასონი ვერ მიიღებდა იოლკოსის სამეფო ტახტს, რომელიც მისთვის ბოროტ ბიძას, პელიასს წაერთმია.

დიდად გაიხარეს მოსულებმაც და დამხვდურებმაც. ფრიქსე და იასონი ნათესავებიც იყვნენ. არგონავტები კოლხეთისაკენ მიმავალ გზაზე უკეთეს მეგზურებს ვერც ინატრებდნენ.

ბერძენი ფრიქსეს ვაჟები მოუძღვნენ ბერძენ არგონავტებს კოლხეთის მიწაზე. „არგო“ ფასისში შეაცურეს და ლერწმიანში შეაყენეს. იასონმა გმირთაგან ტელამონი და ავგია ამოარჩია, ფრიქსეს ვაჟები გაიყოლია და ქუთაისისაკენ გაეშურა. ხშირი ტყე-მაღნარი გაიარეს და კოლხთა სატახტოსაც მიადგნენ.

იდგა ბრწყინვალე ქალაქი ფასის-რიონზე.

გაოცებული შესცქეროდნენ უცხოელნი.

კოლხები სტუმრებს შეეგებნენ და შეუძღვნენ;

შუაგულ ქალაქში აღმართულიყო აკროპოლისი და სამეფო სრასასახლე. სასახლის მარჯნივ და მარცხნივ ორი მაღალი სახლი იდგა, იშვიათი ოსტატობით გარანდულ მარმარილოს პერანგებში ჩასმული და მრავალსახოვანი რელიეფებით მოკაზმული. მარჯვენა სახლში თვით მეფე აიეტი და დედოფალი იდია ცხოვრობდნენ, მარცხენაში კი - უფლისწული აფსირტე და მეფის ასულნი.

სასახლის ეზოში ვაზის ტალავრები გადახლართვოდნენ ერთმანეთს. ტალავერთა ქვეშ ოთხი შადრევანი მოჰქუხდა, რძისა, ღვინისა, ზეთისა და წყაროს წყლისა.

>>>>



# თბილისი, 1937 წელი



**«მოსკოვი, 1937 წელი» *– ეს ლიონ ფოიხტვანგერის დოკუმენტური მოთხრობაა.* «თბილისი, 1937 წელი» *კი – გიორგი ბეზირგანის მოგონებანი წარსულზე.***

*ჩვენი მოთხრობის მოქმედების არეალი ევროპისა და აზიის გიგანტურ სივრცეებს მოიცავს, დრო – შეშლილი XX საუკუნის მთელ ათწლეულებს. ამ დროსა და სივრცეში დაღვრილი სისხლი ოკეანეს აავსებდა, ვნებათაღელვანი არაერთ სულისგამყინავ დრამას მისცემდა საკვებს. ყოველივე ამას დაუმატეთ გმირებისა და ანტიგმირების ურიცხვი ლაშქარი... თქვენ წინაშეა ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტი...*

მე-10 გვერდიდან

## მედეა და იასონი

ყველაზე დიდი საოცრება, რაც ბერძნებმა კოლხეთის სატახტოში იხილეს, იყო აიეტის უმრწემესი ასული მედეა, უმშვენიერესი ქალწული, ბრძენი ექიმი-მკურნალი, ფლორა-ფაუნის საოცარი მესაიდუმლე, ციურ სხეულთა მჩხიბავი, გულთმისანი და წინასწარმეტყველი.

იასონმა იხილა მედეა და გახევდა.

მედეამ იხილა იასონი და... იგი სხვად იქმნა, სულ სხვად.

მისთვის ამქვეყნად უკვე აღარაფერი არსებობდა. იყო მხოლოდ იასონი. აღარ იყო არც კოლხეთი, არც ქუთაისი, არც საბერძნეთი, არც იოლკოსი, არც ცა, არც მიწა, არც ღმერთი, არც კაცი. არ არსებობდა არავინ და არაფერი. ანდა თუ კიდევ მაინც რაიმე არსებობდა ამ ქვეყანაზე, ყველაფერი მხოლოდ იმ ერთადერთისათვის, ვისაც იასონი ერქვა.

მსახურებმა სასტუმრო აბანოებში შეიყვანეს იასონი, ტელამონი და ავგია. თბილი წყალი ამოჰქუხდა ქათქათა დრუნგილის აბაზანებში. გმირები შიგ ჩაეშვნენ. უმძიმესი ლაშქრობით დაქანცულნი უნეტარეს ტკბობას მიეცნენ. განიბანეს, განიწმინდეს. ტანში უზღვავი ძალა იგრძნეს, შეიმოსნენ და დამშვენდნენ.

აიეტმა ტკბილად მიიღო სტუმრები. ჯერ საგანგებო ნადიმზე უმასპინძლა, მერე ასე შორეული სტუმრობის მიზეზი გამოჰკითხა.

იასონმა გაბედა და ოქროს საწმისი ითხოვა.

აიეტი ჯერ განრისხდა, მაგრამ იასონის ხელახალმა მუდარამ გული მოულბო და ბოლოს ასე ბრძანა:

ბერძენი უფლისწული მხოლოდ მაშინ მიიღებს ოქროს საწმისს, თუ იგი შეძლებს ჩაიდინოს გმირობა, რომელსაც თვითონ აიეტი ძალიან ადვილად ასრულებს ხოლმე: მან მძიმე გუთანსა და უღელში უნდა შეაბას აიეტის ცეცხლისმფრქვეველი და სპილენძისფეხებიანი ხარები, ოთხდღიური მიწა ნახევარ დღეში დახნას, თან გველეშაპის კბილები სთესოს და მათგან აღმოცენებული დევგმირები მახვილით გაჟლიტოს.

ასეთი რამის აღსრულება იასონს არ შეეძლო, მაგრამ ანგარიშმიუცემლად მაინც დათანხმდა.

საგონებელში ჩავარდნილ ბერძენ გმირსა და მის მხლებლებს მოულოდნელი მხსნელი გამოუჩნდათ.

ეს იყო მედეა, რომელსაც უკვე გადაეწყვიტა ყველაფერი გაეწირა უცხოელი ვაჟკაცისათვის. მან საკუთარი ხელით დამზადებული წამალი მისცა იასონს. ხოლო ვინც მედეასეული ჯადო-წამლით სხეულს დაიზელდა, მას ვერც მახვილი გასჭრიდა, ვერც ცეცხლი დასწვავდა, მთელს სხეულშიც ღვთაებრივი ძალ-ღონე და სიმამაცე ჩაუსახლდებოდა. მედეა ასეთ წამალს პრომეთეს სისხლით გამძღარ მიწაზე აღმოცენებული ყვავილისაგან ამზადებდა.

და აი, კოლხთა და ბერძენთა საკრებულოს თვალწინ იასონმა ყველაფერი ბრწყინვალედ აღასრულა: ცეცხლისმფრქვეველი ხარები გუთანში შეაბა, ოთხდღიური მიწაც ნახევარ დღეში დახნადათესა და ხნულიდან აღმოცენებული გიგანტებიც სულ ერთიანად გაჟუჟა.

მაგრამ თვითონ გრძნეულებას ნაზიარები აიეტი მიხვდა, რომ მხოლოდ მისი ქალიშვილის დახმარებით შესძლო ბერძენთა წინამძღოლმა ხიფათიდან თავის დაძვრენა. ამიტომ მან გადაწყვიტა უცხოელების გაჟლეტა.

მედეამ ეს შეიტყო. ქალაქიდან იდუმალ გავიდა და ,,არგონავტელთა'' ბანაკს მიადგა. იქ ყველაფერი ამცნო მათ. მერე იასონი მუხასთან მიიყვანა, საწმისის მცველი გველეშაპი წამლის შეფრქვევითა და შელოცვით დააძინა და იასონს ოქროს საწმისი ჩამოახსნევინა. ამიერიდან მედეას კოლხეთში აღარ დაედგომებოდა და აღარც თვითონ სურდა დარჩენა. იგი სულით და ხორცით უცხოელს დარჩა. მუხლმოყრილმა იასონმაც მხურვალედ შეჰფიცა, რომ სიკვდილამდე მისი ერთგული მეუღლე და ესოდენ განუზომელი ერთგულების დამფასებელი იქნებოდა.

მეორე დღეს აიეტმა გაქცეულებს კოლხთა ფლოტი და ლაშქარი დაადევნა თავისი ვაჟის, აფსირტეს სარდლობით, მაგრამ ბერძნებმა კვლავ იხსნეს თავი. აფსირტე, ვითომდა მოსალაპარაკებლად, მიიტყუეს და მუხანათურად მოჰკლეს (ჩასაფრებულმა იასონმა ზურგიდან აძგერა მახვილი). უმეთაუროდ დარჩენილმა კოლხებმა ალყა გაარღვიეს და სამშვიდობოს გააღწიეს.

## მედეა უცხოეთში

ამის შემდგომ არგონაველებმა ისევ და ისევ მედეას ,,ყოვლისშემძლეობის'' მეოხებით კვლავ უთვალავ ხიფათს სძლიეს და მიაღწიეს ქალაქ იოლკოსს, სადაც იასონს მეფობა უნდა მიეღო. მაგრამ მისმა ბიძამ პელიასმა, რომელსაც ტახტი უკანონოდ ეპყრა, ძმისწულს კვლავ უარი უთხრა მეფობის დათმობაზე.

გაგულისებული იასონი ისევ მედეას შეუჩნდა, რათა მას რაიმე ეღონა პელიასის თავიდან მოსაშორებლად. მედეამაც არ დააყოვნა და თავისი გრძნეულების მოშველიებით პელიასი მისსავე ქალიშვილებს დააჩეხვინა.

ყველა მიხვდა, მოხუცი მეფის მოკვლა იასონის ჩაგონებით რომ მოხდა. ამიტომ იასონი იძულებული შეიქნა თავისი ოჯახით იოლკოსიდან გადახვეწილიყო და კორინთოს მეფეს შეჰკედლებოდა.

გავიდა შვიდი წელი. მედეას და იასონს უკვე ორი ვაჟი ჰყავდათ: მერმეროსი და ფერესი. ბედნიერი ცოლ-ქმარი თითქოს დამშვიდდა და დაწყნარდა. თითქოს მობრუნდა ბედისწერის ბორბალი კოლხი ქალის საკეთილდღეოდ. მედეას შვილებისა და ქმრის უსაზღვრო სიყვარულში გული მობრუნებოდა. თავისი გაეტანა შვიდ წელს: წარსული მწუხარება, ეჭვი და საჭმუნავი გაეთელა და გაექარწყლებინა.

მაგრამ თვალთმაქცი ბედისწერა იმ შვიდი წლის მანძილზე თურმე უარეს უბედურებას უმზადებდა უბედობაში აჩემებულ ქალს.

ბოლო ხანს იასონს მოუსვენრობა დასჩემდა, ძილი დაჰკარგა. თუ წასთვლემდა, ბოდავდა და ოხრავდა, სიტყვაძვირობდა, შინ გული აღარ უდგებოდა, სახიდან ნაღვლის ღრუბელი არ შორდებოდა.

მედეა ამაოდ ცდილობდა ქმრის გულის კარი გაეღო და შიგ ახალი დარდის მიზეზი ამოეკითხა. ემუდარებოდა, წუხილი მისთვის გაეზიარებინა, კვლავინდებურად ნაღვლისაგან განკურნებას ჰპირდებოდა.

მაგრამ მედეა ვერ ხვდებოდა, რომ იასონის სწორედ ამ ახალ სანაღვლოს ვერა ძალით ვერ განკურნავდა. რა იცოდა კოლხმა ქალმა, თუ მის ქმარს პატივმოყვარეობის ჭია უხრავდა გულს.

კორინთოს მეფე კრეონს ჰყავდა ლამაზი ასული, სახელად კრეუსა. იასონს მისი ცოლად შერთვა გადაეწყვიტა. ამ გზით აპირებდა იგი, კრეონის სიკვდილის შემდგომ, კორინთოს მბრძანებელი გამხდარიყო.

იასონმა კრეონის სასახლეში სიარულს მოუხშირა. ჯერ კიდევ მომხიბლავმა ვაჟკაცმა მალე აღაგზნო სიყვარული კრეუსას გულში. კრეონიც დათანხმდა, თავისი ქალი ცოლად მიეცა სახელოვანი გმირისათვის.

ეს ამბავი უბედურ მედეას კრეონის ერთმა მსახურმა შეატყობინა. თან მეფის ბრძანებაც მიიღო: დაუყოვნებლივ გადახვეწილიყო კორინთოდან.

მედეასათვის - გულთმისანი, ყოვლისშემძლე და ყოვლისმხილველი გრძნეულისათვის - მხოლოდ ახლა გახდა ნათელი, თუ ვისთვის და რისთვის გაუწირავს ყველაფერი, რასაც კი მისთვის მშობლიური ერქვა...

დიდხანს ტიროდა მედეა. სიმწარეში ყველაზე მეტად იგრძნობ თურმე სამშობლოს დაკარგვას; თურმე ტყუილად ნუ შეეცდები თავი შეაყვარო ვილაც უცხოს, როცა შენი მშობლიურის სიყვარული ვერ დაგიფასებია; როცა მშობელი დედის რძე უარგიყვია, დედინაცვალი უცხოს ძუძუს რატომ მოგაწვდის! სამშობლოდან გაქცეულს მშობლიური ქვეყანაც დაგივიწყებს და სამშობლოს ნაცვალიც მისთვის უცხოს ცხვირწინ კარებს გამოგიხურავს!

,,გზასაცდენილი სიყვარულის მსხვერპლი შევიქენ და ახიც არის!''

მაშ, მედეას ვაგლახი სიცოცხლე ვაგლახად თავდება!

... მეორე დღეს მედეა აღარ ტიროდა. ახლა ის სულ სხვა იყო, ვიდრე წუხელის, როცა ქმრის ღალატი შეიტყო. სახე გაქვავებოდა, თვალები ცეცხლით ანთებოდა, შუბლი დაძაგროდა. მაგრამ ეტყობოდა, გრძნეულის სულში რაღაც მძიმე ფიქრი გამალებით იბრძოდა და იხარშებოდა. ბოლოს ფიქრი დადუღდა, განელდა და გაიწმინდა.

მედეამ მას უწოდა ,,შურისძიება''!..

მედეა იასონს მშვიდად და ტკბილად შეხვდა. მალე მან გაოცებული და დაბნეული ქმარი დაარწმუნა, რომ იგი შეურიგდა თავის მწარე ხვედრს. მერე, ერთი ძვირფასი წამოსასხამი და ბრწყინვალე ოქროს გვირგვინი ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ურნაში ჩაალაგა და იასონს ჩააბარა: ეს საჩუქრები შენს საცოლეს მიართვიო ძღვნად.

... იასონი თავისი ვაჟებით სასახლეში მივიდა. კრეუსას საჩუქრები ბავშვებმა გადასცეს, აქაოდა, როგორც იასონი ფიქრობდა, კრეუსა უფრო ლმობიერად მიიღებსო გერებს.

კრეუსას, როგორც კი სადედოფლო წამოსასხამით და გვირგვინით მოირთო, მაშინვე ცეცხლი მოედო და საშინელი წამებით დაიწვა. ასევე დაემართა მეფე კრეონსაც, როცა იგი ცეცხლმოდებული შვილის სხეულს შეეხო. როგორც კი საშინელი აგონია დამთავრდა, რომელიღაც კორინთელმა იყვირა:

,,კორინთელებო, ვინ მოუტანა მეფის ასულს ეს მოწამლული საჩუქრები?''

მედეას ბავშვები ელდაცემულნი მაშინვე გარეთ გაცვივდნენ.

,,აი, თურმე ვინ!''

,,გრძნეული კოლხი ბარბაროსის შვილები!''

ატყდა ღრიანცელი. რამდენიმე მახვილგაშიშვლებული კორინთელი გამოენთო მედეას ვაჟებს.

სირბილისგან და შიშისგან გულამოვარდნილმა ბავშვებმა ტაძარში შეასწრეს და საკურთხეველს მთელის ტანით შემოესალტნენ. მათ იცოდნენ, რომ ტაძარში არამცთუ კაცთკვლა, უბრალოდ ხელის შეხებაც კი ღმერთებისადმი უდიდესი მკრეხელობა იყო.

მაგრამ, აი, შეცვივდნენ კორინთელები, მახვილები აღმართეს და... სიკვდილსშეყრილ ბავშვთა შემაზრზენმა წივილმა შეარყია ტაძარი. სისხლის ტბორში, ყელგამოჭრილნი და ერთმანეთზე გადაჭდობილნი, ეყარნენ კოლხი ქალისაგან ნაშობნი...

ამ ამბიდან მცირე დრომ განვლო; კორინთელებს ბავშვთმკვლელობის სისხლიანი სახელი დარჩათ, ხოლო მედეას - უმაგალითოდ გვემული და ლახვარცემული სიცოცხლე.

იგი ერთ ხანს ათენში ცხოვრობდა, მეფე ეგეოსის სასახლის კარზედ. მერე ადგა და სულ წავიდა საბერძნეთიდან.

## მედეას დაბრუნება

საით?

კოლხეთში!

სულგრძელია მადლი სამშობლოისა..

არავინ იცის, როგორ, რა გზებით, რა საშუალებით დაბრუნდა უცხოობაში განადგურებული მარტოსული მისგანვე ნაღალატევ სამშობლოში.

მშობლიური მიწის ყივილი ჰქონდა, ალბათ, სანთლად და საგზლად ნაგვიანევად თვალახელილ ქალს.

როგორც კი მშობელ მიწაზე ფეხი დაუდგამს, კვლავ აღორძინებულა მისი გრძნეული სული.

ჩვენ არ ვიცით, რა ძალამ დასცა მზიური აიეტის ხელმწიფობა, მაგრამ ამას კი გვარწმუნებენ, რომ მედეამ კვლავ აღადგინა კოლხეთის ტახტზე მშობელი მამის მბრძანებლობა.

არც ის ვიცით, რისთვის ან სად, რა პირობებში ერკინებოდნენ ერთიმეორეს კოლხები და სავრომატები, მაგრამ, მედეას გრძნეულების ხელშეწყობით, კოლხთა ლაშქარმა ბრძოლის ველიდან განდევნა თურმე ურიცხვი მტერი.

არარა ვიცით, როგორ დაასრულა თავისი წამებული სიცოცხლე ,,მზის შვილიშვილმა'' მედეამ - ჩვენთვის ცნობილმა ,,პირველმა ქართველმა ქალმა''.

ხოლო მისი დიადი მამის, მზიური ხელმწიფის, ჩვენთვის ცნობილი ,,პირველი ქართველი მეფის'', აღსასრულს გვამცნობს მისი საფლავის ქვაზე ამოტვიფრული ეპიტაფია:

*აიეტი, ოქრომრავალ კოლხთა მეუფე, აქ გააპატიოსნა ღმერთთა ყოვლისდამთრგუნველმა ბედისწერამ.*

## ,,დიდსა მიემთხვია მაძაგებელსა''

განვლო მრავალმა საუკუნემ და მედეას გვემული სული ისევ შეაშფოთეს... კიდევ უარესი წვისა და დაგვის კოცონზე დასდეს.

ქრისტეს წინარე V საუკუნის საბერძნეთში გამოჩნდა დიდი მწერალი-ტრაგიკოსი ევრიპიდე, რომელმაც თავისი მხატვრული შემოქმედების მრწამსად ქალის ბუნების გახსნა აირჩია. ყველა მისი ტრაგედიის მთავარი გმირნი ქარიშხლიანი ემოციების მქონე ქალები არიან. მათ არ იციან საზღვრები არც სიყვარულში და არც სიძულვილში. ევრიპიდეს ქალთა ტიპები განსაკუთრებით მძვინვარე და აგრესიული არიან შურისძიების დროს. ისინი არავითარ ბოროტებას არ ერიდებიან, ოღონდ-კი უკიდურესი ტანჯვა-ვაებით მიუგონ შეურაცხმყოფელთ. თვითონ ევრიპიდემ ერთ თავის პერსონაჟ ქალს ათქმევინა: ,,არაფერს ისე სრულყოფილად და დახვეწილად არ აკეთებენ ქალები, როგორც ბოროტებას''. ან სხვაგან კიდევ სხვა ქალი ამბობს: ,,ათას იდეალურ ქალს ერთი მახინჯი მამაკაცი სჯობიაო''. მრავალი ასეთი ,,ქალთმოძულური'' სენტენციებისათვის ევრიპიდეს თანამედროვენი დაჯერებით იმეორებდნენ მის შეფასებას არისტოფანეს ერთ-ერთი კომედიიდან: ევრიპიდემ ქალები ისე გალანძღა და ლაფში ათრია, რომ ქმრები, თეატრიდან დაბრუნებისას, ეჭვებით აღძრულნი ეცემიან ცოლებს და ათასგვარ ბოროტებაში სდებენ ბრალსო. ბოლოს და ბოლოს, ევრიპიდეს მის სიცოცხლეშივე დაარქვეს ,,მიზოგინი'' - ,,ქალთმოძულე''. ტრადიცია გადმოგვცემს, რომ ქალები ქუჩაში მოსაკლავად დასდევდნენ ევრიპიდეს. ბოლოს მისი სიკვდილის შესახებაც ასეთი ხმები დადიოდა: ევრიპიდე ქალებმა ხელთ იგდეს და ნაკუწებად აქციესო. სხვები კი ამბობდნენ: ქალებმა ევრიპიდე ცოფიან ძაღლებს დააგლეჯინესო. ერთი სიტყვით, ქალებმა სასტიკად გადაუხადეს მათი ძაგების დიდ მესაყვირეს...

და აი, ევრიპიდემ ხელთ აიღო მისგან დაახლოებით ათასი წლის წინათ კორინთოში დატრიალებული ტრაგიკული ამბავი და თავის ,,მიზოგინურ'' შემოქმედებითს ქვაბში ჩაუშვა ხელახალი გადახარშვისა და გარდასახვისათვის.

ასე გაჩნდა მსოფლიო ლიტერატურაში სახელგანთქმული ტრაგედია ,,მედეა'', რომელშიც მეფე აიეტის ასული მოღალატე ქმრის მიმართ შურისგების გაუგონარ, შემაზრზენ ფორმას მიმართავს.

ევრიპიდე ჯერ ნამდვილი თქმულების ხაზს გაჰყვა და მედეას მისი მეტოქე კრეუსა (იასონის საცოლე) და მამამისი კრეონი მოაკვლევინა; ხოლო ამის შემდგომ, ნამდვილად მომხდარი ამბის (კორინთელებმა რომ მედეას ბავშვები დახოცეს) ნაცვლად, მედეას საკუთარი შვილებიც დაახოცვინა. მთავარი ევრიპიდესათვის ის იყო, რომ ქალს ჩაედინა უკიდურესი შურისმგებლობა. შვილები დაეხოცა მოღალატე ქმრისათვის, ხოლო იგივე შვილები რომ მედეას შვილებიც იყვნენ, ამას - დედაშვილურ სიყვარულს - ,,დაქვემდებარებული მდგომარეობა'' უნდა სჭეროდა ,,მთავარი მოტივისადმი'' - შურისმგებლობისადმი.

მაშ, ევრიპიდემ პირველმა გამოიგონა შემაზრზენი ამბავი, თითქოს კოლხმა მედეამ ყელები დასჭრა საკუთარ შვილებს! ევრიპიდეს ამ ,,ცოდვის'' შესახებ გადმოგვცემენ ძველი დროის მეცნიერები და მწერლები: კრეოფილე, პინდაროსის სქოლიასტი, პარმენისკე, პავსანია, კლავდიუს ელიანუსი. ეს უკანასკნელი იმასაც გვარწმუნებს, რომ კორინთელებმა ევრიპიდეს ხუთი ტალანტი (დაახლოებით 75. 000 მან. ოქრო) მისცეს, რათა ბავშვების დახოცვა დედისთვის დაებრალებინა, ხოლო მათთვის ჩამოერეცხნა ბავშვთმკვლელობის სისხლიანი ლაქა...

მაშ, ევრიპიდეს ,,მიზოგინობას'' ემსხვერპლა მართალი ამბავი კოლხი მედეას შესახებ. ბერძენი მწერლის დიდმა მხატვრულმა ძალამ დავიწყების ფერფლით დაჰფარა სინამდვილე კოლხი ქალის ტრაგედიისა.

ამრიგად, ოცდათოთხმეტი საუკუნე დადის ქვეყანაზე საშინელი თავგადასავალი ,,პირველი ქართველი ქალისა''; დადის იგი ორმაგი წიაღსვლით: ათი საუკუნე საკუთარი, ნამდვილმომხდარი უბედურებითა და ოცდაოთხი საუკუნე - ევრიპიდესაგან თავსმოხვეული შვილთამკვლელობის უმძიმესი ტვირთით...

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

# უქარქაშო ხმლები

**ლევან სანიკიძე**



**კეთილო მკითხველო, ამ მშვენიერი და მრავლისმეტყველი სახელდებით, ავტორს სურდა თავისი წიგნებისთვის ეწოდებინა გეორგიადა - ეპიკურ-ისტორიული თავგადასავალი ქართველი ხალხისა.**

**მაგრამ ბოლოს, მიზეზთა „სხვათა და სხვათა", მაინც „უქარქაშო ხმლები" დაერქვა ჩვენს წინაპართა „სააღდგომო" წიგნებს. ალბათ, იოლი ასახსნელია სახელი ესე: აკი ქართველი კაცის მრავალსაუკუნოვანი სისხლნაჯერი ისტორია ეს იყო ბრძოლა განუწყვეტელი ხმალთაკვეთებით უცხო თესლთაგან მშობელი ქვეყნისა და კერის გადასარჩენად.**

ლევან სანიკიძე. ,,უქარქაშო ხმლების'' წინაბჭიდან

**26 მაისი, 1974 წლისა**





მხატვრულ-დოკუმენტური სერიალი



# ტყვია

* * *

დგას ახალი საუკუნის მეწამული გარიჟრაჟი.

შორეული ტურუხანსკიდან გამოქცეული პატიმარი, რომელიც რუსეთის იმპერიის პოლიციის დეპარტამენტისათვის ცნობილია მეტსახელებით ,,ჩიჟიკოვი'', ,,ივანოვიჩი'', ,,ნიჟარაძე'', ,,ბესოშვილი'', ,,კობა'', და რომელსაც სინამდვილეში ბიბლიური სახელი იოსები ჰქვია, თავისი თანაპარტიელის, პოლიკარპეს (მეტსახელად ბუდუ) ბინაში ემალება ხელისუფლების დაგეშილ ძაღლებს.

- ვხედავ, ბევრს კითხულობთ, - ეუბნება იგი მასპინძლის ნათესავს, კეთილშობილ ქალთა პანსიონის აღსაზრდელს ნინო წულუკიძეს.

ქალიშვილს ლაწვებზე სიწითლე გადაჰკრავს, მორიგ ფრანგულ რომანს მაგიდაზე დებს და მხრებს იჩეჩს. თავგზას უბნევს ამ უცნაური, მოუხეშავი, წვერგაუპარსავი ახალგაზრდა კაცის დაჟინებული მზერა, რომელიც ხან მორცხვია, ხანაც - მოურიდებელი და თავხედი.

- ფრანგული რომანი ყოფილა. ჰმ, - გაურკვევლად ჩაიცინა კობამ. - არა, ფრანგული არ ვიცი, პანსიონებში არ მისწავლია. სემინარიაში კი, საიდანაც კინწისკვრით გამომაგდეს, ძველბერძნულს მიჩედავდნენ თავში. რაო, რუსულ წიგნებს პატივს არა სცემთ?

- არა, რატომ... - ქალიშვილს ისევ ეფაკლება ლაწვები. - სიამოვნებით ვკითხულობ პუშკინს, გოგოლს, ტურგენევს... თანამედროვეთაგან - ჩეხოვს, ტოლსტოის...

- ,,სულამითი'' წაკითხული გაქვთ?

უკვე საკმაოდ ცნობილი ალექსანდრე კუპრინის ეს ახალი მოთხრობა სულ ახლახან დაიბეჭდა ერთ-ერთ მოსკოვურ ალმანახში, მაგრამ წიგნებს გადაყოლილი კობა ექსპროპრიაციათა შორის შესვენების დროს მაინც ახერხებდა ყოველი ახალი ბეჭდური პროდუქციის გადაკითხვას.

- ა... არა, - ჩურჩულებს დაბნეული ნინო. - სამწუხაროდ, არა. როგორღაც, არ შემხვედრია...

- თუ ასეა, თქვენ არაფერიც არ წაგიკითხავთ... - მოუჭრა კობამ.

მოვა დრო და იგი, გიგანტური იმპერიის მბრძანებელი, მუდამ საქმიანი და მოუცლელი პოლიტიკოსი და მხედართმთავარი, ხშირად გააოცებს სახელმოხვეჭილ მწერლებს არამარტო სამამულო და უცხოური კლასიკის, არამედ, პრაქტიკულად, ყველა საჟურნალო პუბლიკაციის ცოდნითაც. მაგრამ ეს იქნება მოგვიანებით...

ძნელი გასაგებია, რით მოხიბლა უდრეკი რევოლუციონერი კუპრინის რომანტიკულმა მოთხრობამ?

მეფე სოლომონის სიყვარულით?.. მაგრამ თავად ხომ არავითარ სიყვარულს არ ცნობდა ,,სახალხო'' სიყვარულის გარდა?

მეფე სოლომონის სიბრძნით?.. მაგრამ თავადაც ხომ განსჯის სამართალს და არანაკლები ხელოვნებით შექმნის ახალ კანონებს, ვიდრე მისი ბიბლიური წინამორბედი ქმნიდა...

მბრძანებლის სისასტიკით?.. მაგრამ ამაშიც რომ გადააჭარბებს იგი მეფე სოლომონს?!

იქნებ, ბრძენი მეფის სიტყვებით - ,,ცოცხალი ძაღლი სჯობს მკვდარ ლომს!..''

*ხოლო ნინო წულუკიძე... იგი შინ 50-იანი წლების დასაწყისში დაბრუნდება ხანგრძლივი, თითქმის ოცწლიანი გადასახლების შემდეგ და ახალგაზრდა სტალინთან შეხვედრაზე მოგვიანებით თავის შვილიშვილებს მოუყვება...*

* * *

1934 წლის 26 იანვარი. მოსკოვი. საბჭოების სახლი.

სტალინის გამოჩენას დარბაზი მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდება. დელეგატები ფეხზე დგებიან. შეძახილები: ,,ვაშა!'' ,,გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!''

ტრიბუნაზეა ვიაჩესლავ მოლოტოვი:

... ამრიგად, ყრილობა უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მე-17 ყრილობას გახსნილად ვაცხადებ!..

ქართული დელეგაცია ამ ყრილობაზე ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო. აქ იყვნენ რევოლუციამდელი სტაჟის მქონე ყოფილი იატაკქვეშელები, რევოლუციის დროინდელი საშუალო თაობა და პარტიელი ახალგაზრდობა - უკანასკნელი გაწვევის ,,რეკრუტები''...

ძველი მებრძოლები კულუარებში იდგნენ, განცალკევებით.

- შეხე, პირდაპირ პრეზიდიუმში ამოჰყო თავი, - ხმადაბლა ეუბნება მალაქია ტოროშელიძე მიხა ცხაკაიას. - აბელ ენუქიძე სამდივნოშია, შენ კი მხოლოდ სათათბირო ხმა გაქვს... ხოლო ეს...

- აბელის საქმე წასულია, - ცალყბად იცინის მიხა. - ბევრსაც წაიძლვანიებს. ხოლო რაც შეეხება იმას... ეგ შორს წავა! გუშინ შემოვიდა პარტიაში და ,,ჩეკადან'' პირდაპირ ცეკაში გადაასკუპეს. არ გამიკვირდება, საკანდიდატო სტაჟის გარეშე წევრად შეიყვანონ ცეკაში. ასეთი ჟამი დადგა, მალაქია, ჩვენი დრო მიდის...

ორივენი ძველი პარტიელები იყვნენ, მალაქია - 1902-დან, მიხა კი, ლენინის ახლო მეგობარი - 1898 წლიდან. ამ წუთს კი ისინი საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ახალგაზრდა ხელმძღვანელზე — ლავრენტი ბერიაზე ლაპარაკობდნენ.

ორი წლის წინ ეს ჩეკისტი, რომელსაც ძველი ლენინური გვარდია სულაც არ მიიჩნევდა თავის კონკურენტად, ფანტასტიკური ნახტომის შემდეგ საგანგებო კომისიის უფროსის სკამიდან ამიერკავკასიის მეფისნაცვლის ტახტზე გადაბრძანდა (ამბობენ, მოახერხა და წყალტუბოში დასასვენებლად მყოფ სტალინს დაუახლოვდაო).

ეს უბრალოდ, ჩვეულებრივად მოხდა: ცეკას ბიურო ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელმძღვანელთა ანგარიშს ისმენდა. ბელადი, ჩვეულებისამებრ, ბოლთას სცემდა ოთახში. როცა დღის წესრიგი ამოიწურა, სტალინი შეჩერდა.

- რა მოხდება, - თქვა მან, - რომ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა ასეთნაირად ჩამოვაყალიბოთ: პირველი მდივანი - ქართველიშვილი, მეორე - ბერია, რომელიც, ამავე დროს... - ბელადმა წამით იყუჩა. - საქართველოს ცეკას მდივანიც იქნება.

ფიცხმა ლავრენტიევმა (ეს ლავრენტი ქართველიშვილის პარტიული ფსევდონიმი გახლდათ) ვერ მოითმინა:

- მე ამ სალახანასთან არ ვიმუშავებ!

- კობა, გაიმეორე, რა თქვი! - აღშფოთდა მამია ორახელაშვილიც. - ალბათ, მომესმა. რაო, საქართველოში ძველი ბოლშევიკები აღარ არიან, გადაშენდნენ?

,,კარგ ამბავს ჩავუტანთ ჩვენს პარტორგანიზაციას'', - ხმადაბლა გადაულაპარაკა საქართველოს კომპარტიის ცეკას განყოფილების გამგეს სნეგოვს სომხეთის ცეკას მდივანმა აღასი ხანჯიანმა.

სტალინმა მკვეთრად შეწყვიტა ბოლთისცემა.

- სხდომა დახურულია, - თქვა მშვიდად. - საკითხს სამუშაო ვითარებაში გადავწყვეტთ.

,,სამუშაო ვითარებაში'' საკითხი ასეთნაირად გადაწყდა: ლავრენტიევი ციმბირის ,,ასათვისებლად'' გაგზავნეს - დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის ერთ-ერთ მდივნად. ამიერკავკასიის მთავარ პარტიულ პოსტზე დაინიშნა მამია ორახელაშვილი, მომდევნოზე - ბერია, რომელიც, ამავე დროს, საქართველოს კომპარტიის პირველ მდივნად დაამტკიცეს. მალე ორახელაშვილს მოსკოვში, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორად გადაიყვანენ და ამიერკავკასიაში მთელი ძალაუფლება ლავრენტი ბერიას დარჩება.

- აი, მამია! - გამოცოცხლდა მალაქია ტოროშელიძე. - ბესოც აქაა! ძველი და ახალი გვარდია - ერთად!.. რაო, ბესო, რა ხდება მაგნიტოგორსკში?

ლომინაძემ ხელები გაშალა და სევდიანად გაიღიმა... რას იზამ, ვერ გაამართლა ბელადის იმედები, ტროცკისტულ ჭაობში ჩაეფლო. ჰოდა, აჰა, თითქმის გადასახლებაში იმყოფება - მაგნიტოგორსკის ქალაქკომის მდივანია.

...ტრიბუნაზე სტალინი ავიდა.

- თუ პარტიის მე-15 ყრილობაზე ჯერ კიდევ გვჭირდებოდა იმის მტკიცება, რომ პარტია სწორი გზით მიდის, - ღიმილით ამბობდა სტალინი, - და ბრძოლა გვიხდებოდა სხვადასხვა დაჯგუფებასთან, ხოლო მე-16 ყრილობაზე ვურტყით და გავანადგურეთ ეს დაჯგუფებანი - ამ ყრილობაზე დასამტკიცებელი და, მითუმეტეს, გასარტყამი, კაცმა რომ თქვას, აღარავინაა!

დარბაზი გულიანად იცინის. იცინის ბუხარინი. იცინიან ,,სიამის ტყუპები'' — ზინოვიევი და კამენევი. იცინიან აბელ ენუქიძე და სერგო ორჯონიკიძე... ყველაზე გულიანად კიროვი ხარხარებს... მან ხომ არ იცის, რომ ზემოჩამოთვლილთაგან პირველი მიიღებს ტყვიას კეფაში.

* * *

## 1934 წლის იანვრის იგივე დღეები. ლენინგრადი. ვასილის კუნძული. ზინოვიევის იატაკქვეშეთის კონსპირაციული ბინა.

- შენი ცოლი მთელ სმოლნს უწვება ლოგინში, - დაუნდობლად უტევს ვლადიმირ რუმიანცევი თავის მეგობარს - ლეონიდ ნიკოლაევს, - შენ კი უპატრონო ძაღლივით გამოგაპანღურეს საოლქო კომიტეტიდან. ხვალ, ალბათ, პარტიიდანაც მიგარიცხავენ. ცოტაა ეს შენთვის?

მოღუშული ნიკოლაევი დუმდა.

- გაიგე, რომ ერთი გასროლით შურსაც იძიებ და ყველა პრობლემასაც გადაჭრი. ნურაფრის გეშინია. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა მედვედმაც და მისმა მოადგილემ ზაპოროჟეცმაც ყოველივე იციან... შენი გასროლა ,,ავრორას'' ქუხილივით გავარდება და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

- ორჯერ შევეცადე, მაგრამ... - ნიკოლაევმა მხრები აიჩეჩა.

- რა მოხდა მერე? ღმერთი სამებითაა, - ჩაიცინა უმცროსმა რუმიანცევმა. - ჩეკისტებმა ორჯერ დაგიჭირეს, მაგრამ ორჯერვე გაგიშვეს და რევოლვერიც დაგიბრუნეს. ასე რომ...

- ქუჩაში არ მოხერხდება...

- სმოლნში, დერეფანში დაუდარაჯდი!

- მერე, იქ როგორ შევაღწევ? - შეყოყმანდა ნიკოლაევი.

- ეგ ჩვენზე იყოს...

ნიკოლაევმა თავი დაუქნია. იგი - სტალინის ფანატიკურად ერთგული პარტიელი, სმოლნის კახპა მებუფეტის მეუღლე, პარტაპარატიდან სკანდალის გამო გამოგდებული - აუცილებლად გააკეთებს ამას! უთუოდ გაუგებს ბელადი!

ლეონიდ ნიკოლაევმა, ცხადია, არ იცის, რომ ერთი რუმიანცევი ზინოვიევის მებრძოლი რაზმის მეთაურია, მისი ძმა კი - საიდუმლო თეთრგვარდიული ცენტრის წევრი. ტერორისტული აქტის დირექტივა კი უშუალოდ მოსკოვიდან მოდის.

* * *

## 1934 წლის 28 იანვარი. მოსკოვი. საბჭოების სახლი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიან მომნანიებლები - ზინოვიევი, კამენევი, ლომინაძე, ბუხარინი...

,,ვაღიარე, რომ შევცდი და გადავუხვიე პარტიის მიერ დასახული გზიდან...''

,,მე-17 ყრილობა მუშათა კლასის ტრიუმფია! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!''

,,მართალს ბრძანებდა ამხანაგი სტალინი: მარცხნივ წახვალ და - მარჯვნიდან დაბრუნდები... მეც ასე დამემართა...''

,,თავად არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ წვრილბურჟუაზიულ, კონტრრევოლუციურ ჭაობში ჩავეფალი...''

* * *

- ამიერკავკასიელი ბოლშევიკები თავიანთი პარტიის მორიგ ყრილობაზე ახალი დიდი წარმატებებით მოვიდნენ, - მკვეთრი ქართული აქცენტით ამბობს ბერია. - მნიშვნელოვნად გაიზარდა ნავთობისა და მანგანუმის მრეწველობა, შეიქმნა ახალი დარგები - კვებისა, ქიმიური, საფეიქრო. მწყობრში ჩადგნენ რიონჰესი და ძორაჰესი. განმტკიცდა სოფლის სამეურნეო-პოლიტიკური მდგომარეობა... მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამიერკავკასიელი ბოლშევიკები მოკლე ხანში 22 მილიონ ტონა ნავთობს მისცემენ ქვეყანას!

- ბრავო! - პირველმა ლაზარ კაგანოვიჩმა შემოჰკრა ტაში.

* * *

## 1934 წლის 31 იანვარი.

- სიტყვა ეძლევა ამხანაგ კიროვს!..

მქუხარე ტაში, ოვაცია. დელეგატები ფეხზე დგებიან.

- წარმატებები მართლაც შთამბეჭდავია, - ამბობს ,,პარტიის საყვარელი ნებიერი''. - კაცურად რომ ვთქვათ, სიცოცხლის ხალისი გვემატება!.. მაგრამ არსებობს საშიშროება - შესაძლოა, ისე გაგვიტაცოს საკუთარი თავის ქებამ, ისე დაგვახვიოს წარმატებამ თავბრუ, რომ ვეღარ დავინახოთ, რა ხდება გარშემო...

ლენინგრადის ხელმძღვანელი არ ცდებოდა - მართლაც, ბევრი ვერ ხედავდა მოსალოდნელ საფრთხეს - თავად კიროვიც, სხვათაშორის.

ნახევრად შეშლილი ბოლშევიკი ლეონიდ ნიკოლაევი ამ დროს საგულდაგულოდ ზეთავდა თავის რევოლვერს ზინოვიევის ჯგუფის კონსპირაციულ ბინაში...

* * *

## 1934 წლის მარტი. სოხუმი.

მე-17 ყრილობის № 605 დელეგატი, ძველი ბოლშევიკი ნესტორ ლაკობა ფრიად უკმაყოფილო გახლდათ. თითქოს აფხაზეთი არც არსებულიყოს ამქვეყნად - მის ხელმძღვანელს არც სიტყვა მისცეს, არც პრეზიდიუმში დასვეს, არც რომელიმე საყრილობო ორგანოში აურჩევიათ. კიდევ კარგი, გადამწყვეტი ხმის უფლება მაინც ჰქონდა და არა - სათათბირო. თუმცა, რა ოხრად უნდოდა ეს ხმა - გადაწყვიტა რამე თუ რა? ახლა ყველაფერს ბერია და მისნაირები წყვეტენ! ეშმაკის კერძი! ჯერ პირველი მდივნის სავარძელში ჩაჯდომა არ მოუსწრია და ნესტორ ლაკობას, ძველ, დამსახურებულ რევოლუციონერს, ოქტომბრისწინა სტაჟის მქონეს, უკვე სასტიკი საყვედური მიაკერა სასოფლო-სამეურნეო დამზადების ჩაშლის გამო. და ვის - თვით სტალინის ახლო მეგობარს! გასულ დეკემბერში ბელადმა თავისი სურათი აჩუქა ლაკობას წარწერით: ,,ამხანაგსა და მეგობარს - ნესტორს - ი. სტალინისაგან''.

თავად ნესტორია დამნაშავე... ვინ ექაჩებოდა ენაზე, დაჟინებით რომ ურჩევდა ბელადს, ბერია ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე დავაწინაუროთო? ,,გაქაჩავს?'' - ჰკითხა სტალინმა - ამიერკავკასიის ხელმძღვანელის პოსტზე იყო საუბარი. ,,მხოლოდ ლავრენტი პავლოვიჩი თუ გაქაჩავს!'' - უპასუხა... თუმცა, სხვა ,,ვეშაპებმაც'' - კიროვმა და ორჯონიკიძემაც გაუწიეს რეკომენდაცია.

ნესტორს, ცხადია, თავისი მიზეზები ჰქონდა. ,,ძველები'' - მამია ორახელაშვილი, სერგო ქავთარაძე, შალვა ელიავა, ბუდუ მდივანი, ლავრენტი ქართველიშვილი - ზემოდან დაჰყურებდნენ ლაკობას და ჭიანჭველადაც არ მიაჩნდათ. ეს ახალგაზრდა, ენერგიული, უამბიციო ბერია კი მუდამ პატივისცემით ეპყრობოდა. თანაც, თუმცა აფხაზი არ გახლდათ, აფხაზეთის სოფელ მერხეულის მკვიდრი იყო. დაწინაურებით კმაყოფილი და მადლიერი ბერია კიდევ ერთი რგოლი იქნებოდა, რომელიც პირდაპირ დააკავშირებდა ლაკობას სტალინთან, თუმცა, ბელადთან იგი ისედაც ახლოს იყო - სტალინი ხშირად იწვევდა კრემლში და საათობით საუბრობდნენ, თვითონაც რამდენჯერმე იყო დასასვენებლად აფხაზეთში. სადაც, ცხადია, მასპინძლობას ნესტორი უწევდა. ლაკობა კარგი პარტნიორი იყო - ბრწყინვალედ ისროდა, დიდებულად თამაშობდა ბილიარდს, რევოლუციამდე თავზეხელაღებული ,,ბოევიკისა'' და ექსპროპრიატორის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სხვათაშორის, ლაკობაც სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. თუმცა, კობასი არ იყოს, არც მას დაუმთავრებია იგი.

ოდესღაც, პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე, როცა კობა ბათუმში იმყოფებოდა და დემონსტრაციას დემონსტრაციაზე ატარებდა, მას პოლიციისაგან იქაური აფხაზი, კაცური კაცი ჰაშიმ სმირბა იფარავდა. იქიდან მოყოლებული, შეიყვარა აფხაზები სტალინმა, სმირბას სიყვარული და პატივისცემა ლაკობაზე გადაიტანა და თუკი ხანდახან პარტიულ ფსევდონიმს - ,,გლუხოის'' - ეძახდა, უფრო ხშირად ,,ჩემო ჰაშიმო'', - მიმართავდა ხოლმე.

კაცმა რომ თქვას, ლაკობა დაწინაურებაზე სულაც არ ოცნებობდა, მშვენივრად გრძნობდა თავს აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკაში (განსაზღვრება ,,ავტონომიური'' ,,გლუხოის'' არ უყვარდა). მაგრამ ცეკაში დასმული თავისი კაცი — ბერია - იქნებ რამეში გამოსდგომოდა... და აი, ,,თაგვმა თხარა, თხარაო და კატა გამოთხარაო'', - ასე დაემართა. ეს ,,ადვილად სამართავი'' მდივანი ახლა ნესტორზე კომპრომატებს აგროვებს.

გამოსავალი ერთადერთია... არის ერთი ძველი სლავური ანდაზა - ,,მკვდრები არ იკბინებიან''. ორჯერ სცადა ნესტორმა ბერიას მოსპობა და ორჯერვე კოვზი ნაცარში ჩაუვარდა - კატარღის ეპიზოდშიც და რიწის ტბაზეც. კარავში... სულ ამ მისი დოყლაპია ,,კაგებეშნიკის'' - მიქელაძის ბრალია...

,,ძაღლი ახსენე და ჯოხი მოიმარჯვეო'', - აი, ისიც...

- ცუდი ამბავია, ნესტორ, - არც მისალმებია, ისე თქვა მიქელაძემ. - იმ გომბიომ ყველაფერი იცის...

- რას ბოდავ, თუ იცი! - შეუღრინა ლაკობამ.

- ბიჭებთან ერთად გაიტრიტა რიწის ტბაზე. ენას ძლივს ატრიალებდა პირში. ,,რაო, ეს რა განგიზრახავთო'', - მკითხა... მოკლედ, რაღაც უნდა ვქნათ, გლუხოი. ახლა უკვე ღამეა. ხვალ კი ეგ კახპა თბილისში მიფრინავს...

- შენ ძალიან კარგად იცი, რაც უნდა ქნა, - შეაწყვეტინა ლაკობამ.

* * *

## იგივე დღეები. თბილისი.

- სოხუმში ცუდი ამბავი მოხდა, ლავრენტი, - მოახსენა ბერიას საქართველოს მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსმა სერგო გოგლიძემ. - გუშინ ლაკობას აგარაკზე ნესტორის რევოლვერით თავი მოიკლა საგარეო საქმეთა კომისრის არკადი როზენჰოლცის ქალიშვილმა.

- აჰა, - თავი დააქნია ბერიამ. - სონეჩკა როზენჰოლცი, რამდენადაც ვიცი, ფრიად ყოჩაღი გოგონა, ნესტორის დიდი ხნის საყვარელი, არა?

- ჰო. ხშირად ჩადიოდა და ლაკობასთან კარგახანს რჩებოდა ხოლმე.

- გლუხოიმ - რაო?

- ლაკობა დავკითხეთ. გამოირკვა, თითქოს, იმ დროს აგარაკზე არ ყოფილა. მიქელაძე ამტკიცებს, სონეჩკამ წინადღით ბევრი დალიაო. საფეთქელში აქვს ტყვია მიჭედილი.

- მიქელაძე სასწრაფოდ თბილისში ჩამოიყვანეთ. ნესტორს ჯერ ხელი არ ახლოთ.

- დიდი ხმაური ატყდება, ლავრენტი. როზენჰოლცი მხოლოდ სახალხო კომისარი კი არა, პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრიცაა...

- ეგ არაფერი - მე ცეკას წევრი ვარ. ნუთუ ვერ ხვდები, სერგო, რომ ეს მესამე ცდაა? გოგომ უეჭველად იცოდა რაღაც და თავიდან მოიშორეს. რიწაზე ჩემი კარავი რომ დაცხრილეს, ხომ გახსოვს? ბეწვზე გადავრჩით მეც და ჩემი ოჯახის წევრებიც. მანამდე ხომ კატარღა დამიცხრილეს სოხუმის ნაპირთან...

- მაშინ შენ გამოძიების დაწყება არ დაგვანებე...

- ახლაც გიკრძალავ. ისე მოვიქცეთ, ვითომ ყველაფერი დავიჯერეთ. გოგოს გვამი ჩამოასვენეთ და ექსპერტიზა ჩაუტარეთ. მაგრამ არავინ არაფერი უნდა გაიგოს, გასაგებია? მერე მოსკოვში გადაფრინდი და მამამისს მიუსამძიმრე. მიქელაძე კი სადმე, ღრმად მოაყუჩეთ. მაცალოს, ავალაპარაკებ...

* * *

## 1934 წლის პირველი დეკემბერი. ლენინგრადი. სმოლნი.

ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საკ. კპბ ცენტრალური კომიტეტის მდივანი სერგეი მირონოვიჩ კიროვი, საქაღალდით ხელში, თავისი კაბინეტიდან გამოვიდა და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა სმოლნის დერეფანს. თავრიდის სასახლეში, პარტიული აქტივის კრებაზე მიეჩქარებოდა, სადაც ქვეყანაში პურის ტალონების გაუქმების თაობაზე მოხსენება უნდა წაეკითხა. მცველი, ყოველთვის აჩრდილივით რომ დასდევდა უკან, ახლა არსად ჩანდა. ,,სად ეშმაკებში წავიდა?'' - გაუელვა კიროვს.

ეს მისი უკანასკნელი განაფიქრი იყო. უცნაური ხმა გაისმა, თითქოს ბოთლიდან საცობი ამოაძრესო. ტყვია კეფაში მოხვდა - ასე სიკვდილმისჯილებს ხვრეტენ...

შურისგების ჟამი...

დეკემბერმა ყინულის არტახებით შებოჭა მოსკოვი, ერთიანად გათოშა ლენინგრადი. თბილისში კი ამ დროს თბილი, უქარო, მზიანი ამინდი იდგა.

მაგრამ ეს დეკემბერი ერთნაირად სასტიკი და შემზარავი იყო მოსკოვშიც, ლენინგრადშიც, თბილისშიც... ყველგან - მზის ოქროსფერი ჩანჩქერით სავსე სამხრეთშიც და ჩრდილოეთის ცივად მოციმციმე ვარსკვლავებით მოჭედილ ცისქვეშეთშიც, ყვე-



# კეფაში

ლგან - უზარმაზარი იმპერიის დასავლეთი საზღვრიდან შორეულ კოლიმამდე...

* * *

მატარებელი გრიგალივით მიაპობდა წყვდიადს. არცერთ სადგურში არ გაჩერებულა, სვლაც კი არ შეუნელებია. ორთქლმავლის ღუმელები მზესავით ვარვარებდა, ორთქლის ქვაბები დასკდომაზე იყო მიმდგარი, ცეცხლფარეშები შეუსვენებლად მუშაობდნენ. რომ გეკითხათ, მოსამსახურე პერსონალის ვერცერთი წევრი ვერ გაიხსენებდა, ოდესმე ასეთი თავბრუდამხვევი სისწრაფით ევლოს იმპერიის ამ ყველაზე ჩქარ მატარებელს.

ჯერ კიდევ საღამოს, მიმოსვლის საშუალებათა სახალხო კომისრის საგანგებო ბრძანებით, ოქტომბრის რკინიგზაზე, რომელიც მოსკოვს ლენინგრადთან აკავშირებდა, აიკრძალა ყველა სახის სარკინიგზო მოძრაობა. სატვირთო, სამგზავრო, საფოსტო თუ ჩქარი მატარებლები სათადარიგო ლიანდაგზე გადააყენეს. მხოლოდ ამ საგანგებო შემადგენლობას მისცეს სადგურის მორიგეებმა და მეისრეებმა მწვანე შუქი მოსკოვიდან ლენინგრადამდე. ისიც მკერდით მიარღვევდა სივრცეს, კილომეტრებს კილომეტრებზე ნთქავდა და უკან ტოვებდა რუხი, მყრალი კვამლის დაგრაგნილ ღრუბლებს.

მოსკოვ-ლენინგრადის სარკინიგზო რეისი „წითელი ისარი" მართლაც ისარივით მიფრინავდა გიგანტური იმპერიის მეორე დედაქალაქისაკენ. ეძინა მოსკოვსაც, ეძინა ლენინგრადსაც. „წითელი ისრის" მგზავრს კი, რომელმაც ეს რეისი „შეუკვეთა", მთელი ღამის განმავლობაში თვალი არ მოუხუჭავს. იგი ბოლთას სცემდა თავის სალონ-ვაგონში, განუყრელ ჩიბუხს აბოლებდა და რეფერენტს იმ კანონპროექტს კარნახობდა, რომელიც ხვალ დილითვე ჭექა-ქუხილივით გადაუვლიდა მთელ იმპერიას.

- მაშასადამე... - ყრუ ხმით, შესამჩნევი ქართული აქცენტით განაგრძო სალონის პატრონმა. - გამოძიების დრო განისაზღვროს ათი დღით. საბრალდებო დასკვნა ბრალდებულს გადაეცეს სასამართლომდე ერთი დღე-ღამით ადრე. საქმე განიხილება მხარეების - პროკურორისა და დამცველის გარეშე. კასაცია და შეწყალების შუამდგომლობა არ დაიშვება. სასჯელის უმაღლესი ზომის განაჩენი აღსრულდება დაუყოვნებლივ. ყველაფერი გასაგებია?

- დიახ, ამხანაგო სტალინ!

- სათაურად მიეცით: „საბჭოთა ხელისუფლების მუშაკთა მიმართ ჩადენილი ტერორისტული აქტების საქმეთა წარმოების შესახებ". გააფორმეთ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1934 წლის პირველი დეკემბრის დადგენილების სახით. კანონი ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან. მორჩა. თავისუფალი ხართ.

გაიხურა თუ არა კარი რეფერენტმა, მეორე კარიდან სალონში ჟდანოვი და ორჯონიკიძე შემოვიდნენ. უხმოდ გაჩერდნენ სტალინის მაგიდასთან. საშინელი სანახავი იყო სერგო, სახეზე ნაცრისფერი ედო, თვალები ჩასისხლიანებოდა.

- პიტერის მმართველობის სადავეების აღება შენ მოგიწევს, - ახედა ჟდანოვს სტალინმა. - სხვას ვერავის დავაკისრებ...

- მზადა ვარ, ამხანაგო სტალინ! - მყისვე მიუგო ჟდანოვმა და მზერა გაუსწორა ბელადს. იგი ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, ვისაც ამ ფოლადის კაცისთვის თვალებში შეხედვა შეეძლო. კარგად იცოდა, რომ სტალინი ფრიად აფასებდა თანამებრძოლთა ამ თვისებას. - რთული მეურნეობა უნდა ჩაიბარო, - განაგრძო ბელადმა. - პირდაპირ გეტყვი: საშინლად დანაგვიანებული მეურნეობა, ნამდვილი ავგიას თავლა, რომლის დასუფთავებაც კიროვმა ვერ მოასწრო და...

ორჯონიკიძემ ამოიხვნეშა. სტალინმა სწრაფი მზერა შეავლო.

- ...მიიღო კიდეც ტყვია კეფაში. ერთი სიტყვით, კმარა ლოლიაობა! დროა, ბოლო მოეღოს მთელი ამ ტროცკისტულ-ზინოვიევური ხროვის პარპაშს! დადგა შურისგების ჟამი!

სერგომ რაღაც ჩაიბუტბუტა. ჟდანოვმა მძიმედ, სოლიდურად დააქნია თავი.

მატარებელი მიქროდა და მიაპობდა კუნაპეტ ღამეს. სადგურების სინათლეები ელვის სისწრაფით რჩებოდნენ უკან. დასასრული არ უჩანდა ღამეს...

* * *

ეს მოგზაურობა გასართობი უფრო იყო, ვიდრე საინსპექციო. ლავრენტი ბერია კარგახნის წინ შეჰპირდა ცოლ-შვილს, საქართველოს სამხედრო გზაზე გაგასეირნებთო. ასახდელსახურავიანი ახალი „ბიუიკი" ჰყავდა ბერიას.

- ამ შუა ზამთარში?! - შეამცივნა ნინა თეიმურაზოვნას.

- მერე რა მოხდა? - გაეცინა ლავრენტის. - სწორედ ზამთარშია კარგი. თანაც, აბა, ერთი, მიმოიხედე - ამას ზამთარი ჰქვია?

ათი წლის სერგომ მხურვალედ დაუჭირა მამას მხარი. გასეირნების იდეას მიემხრო ხარიტონ ხაცკევიჩიც, რომლისთვისაც, როგორც ტრანსპორტის დარგში ცეკას მდივნისთვის, ეს ტრასა „პროფესიული თვალსაზრისითაც" იყო საინტერესო. საქმე ის არის, რომ საქართველოში გადმოსვლის პირველი დღიდანვე ერთ იდეას ელოლიავებოდა — სურდა, ადრე თუ გვიან ამ გზაზე რკინიგზა გაეყვანა და ამნაირად ჩრდილო კავკასიისა და ამიერკავკასიის მაგისტრალები ერთმანეთთან დაეკავშირებინა.

- წუთით წარმოიდგინე, ლავრენტი, - არწმუნებდა იგი ბერიას — რამხელა დროს მოვიგებთ ტიფლისიდან მოსკოვში ჩასვლის დრო თითქმის ორი დღე-ღამით შემცირდება!

- პრიმიტიულად მოაზროვნე ფანტაზიორი ხარ შენ, ხარიტონ! - დამცინავად იღიმებოდა ბერია - რკინიგზა კავკასიონზე? გააფრინე? იცი, რა დაჯდება? ეგ ხომ ეგვიპტის პირამიდებზე რთული მშენებლობაა! მაგრამ ეს როდია მთავარი! ვინ დაგანებებს შენ, ხარიტონ ხაცკევიჩ, ამ სილამაზის ნგრევას?! არა, ძმაო, ტყუილად ფაფხურობ! მე არ მოგცემ ამის უფლებას! უმჯობესია, სხვა პროექტზე იფიქრო - სუხუმის გავლით, შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით. გაცილებით იაფიც დაჯდება, დროსაც საკმაო მოვიგებთ, ერთ დღე-ღამეს მაინც. ყოველ შემთხვევაში, ბაქოს გავლით შემადგენლობათა თრევა აღარ დაგვჭირდება...

მაგრამ ხაცკევიჩი არამარტო ფიქრობდა, მეტიც - აქტიურად მუშაობდა კიდეც ტრანსკავკასიონის სარკინიგზო მაგისტრალის პროექტზე. პრაქტიკულად ყველაფერი გათვლილ-გაანგარიშებული იყო. ეგ არის, ბერია ვერაფრით დაითანხმა.

- კი, უფრო იაფი კი დაჯდება... - ნაძალადევად დაეთანხმა ხარიტონი, პენსნე მოიხსნა და ლინზების წმენდას შეუდგა. თავადაც შეფივით ახლომხედველი იყო, საერთოდ, გარეგნობითაც ჰგავდა ბერიას. - მართალი ხარ, მაგრამ... აქ ერთი დაბრკოლებაა: აფხაზეთის ხელმძღვანელობა, კერძოდ კი, ნესტორ ლაკობა, როგორც ვიცი, ამის სასტიკი წინააღმდეგია.

- რკინიგზას გავიყვანთ და ერთ შპალად ლაკობას გამოვიყენებთ, - გულიანად გაეცინა ბერიას. ხაცკევიჩიც აჰყვა.

კარგი ყმაწვილია ხარიტონი - საქმიანი, ენერგიული, საზრიანი. სულაც არ არის ცუდი, დროდადრო ღრუბლებში რომ მოუნდება ხოლმე ფრენა. რაც მთავარია - ჩვენებურია, საქართველოში, ახალციხეში, ღარიბ ებრაულ ოჯახში დაიბადა. მშვენივრად იცის ქართული, რუსული, სომხური. სამეურნეო და პარტიული მუშაობის პრაქტიკა ბელორუსიაში გაიარა. სწორედ მინსკიდან გადმოიყვანა იგი ბერიამ და ხაცკევიჩი შესანიშნავად მოერგო და შეეწყო ბერიას გუნდს - პროფესიონალთა ინტერნაციონალურ ჯგუფს - დაბადებით მეზვერავ სერგო გოგლიძეს, „ხელმარჯვე ოსტატ" ძმებს - ბახჩო და ამაიაკ ქობულოვებს, ღვთით კურთხეულ დიპლომატს ვალოდია დეკანოზოვს, ოქროსკალმოსან მწერალ ვსევოლოდ მერკულოვსა და სოლომონ მილშტეინს, მრავალმხრივ ვირტუოზს - სპორტი გინდა, ნაირგვარი კომბინაციები თუ ფინანსები...

ჯვრის უღელტეხილიდნ უკან გამობრუნდნენ. როგორ გაიხარა სერგომ, როცა ბერიამ მძღოლს ბრეზენტის სახურავის გადახსნა უბრძანა! ნინა თეიმურაზოვნამ პროტესტი განაცხადა, მაგრამ მამაკაცებმა თავისი გაიტანეს.

ფასანაურში ბერიას დაბეჭდილი პაკეტი ელოდა: „სასწრაფოდ! სრულიად საიდუმლოდ!"

პაკეტი გახსნა და მოიღუშა:

- ცუდი ამბებია! ლენინგრადში კიროვი მოუკლავთ!..

* * *

მატარებელმა მკვეთრად დაამუხრუჭა, ერთხელ კიდევააზრიალა გადასაბმელები და ლენინგრადის ვაგზალში გაჩერდა.

სალონ-ვაგონის კიბე ჩამოიარა კი არა, ჩამოირბინა სტალინმა. ჩქარი ნაბიჯით მიუახლოვდა მის შესახვედრად მოსულ ქალაქის, ოლქისა და შინსახკომის ხელმძღვანელებს, გაქვავებულივით რომ იდგნენ სადგურის შენობის წინ, ბაქანზე.

- მედვედ! - ყრუდ თქვა სტალინმა და ზედ მიადგა შინსახკომის უფროსს. - მედვედ, შენი დედა...

უცებ მოკლედ აიქნია ხელი და ყბაში ამოარტყა მუშტი. მედვედი შებარბაცდა, ძლივს შეიკავა თავი წაქცევისაგან. სტალინს ხმა აღარ ამოუღია, მკვეთრად შეტრიალდა და მანქანისკენ წავიდა.

მანქანების კავალკადა ადგილს მოსწყდა და ელვის სისწრაფით გაქანდა გათოშილი ქალაქის უკაცრიელ ქუჩებში.

ერთი საათის შემდეგ სმოლნში, ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივნის დაცარიელებულ კაბინეტში იოსებ სტალინმა პირველი თათბირი ჩაატარა. მასთან ერთად ჩამოსული პოლიტბიუროს წევრების - ორჯონიკიძის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, ჟდანოვის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ჰენრიხ იაგოდას კადრების დარგში საკ. კპბ ცეკას მდივნის ნიკოლაი ეჟოვის გარდა თათბირში მონაწილეობდნენ ლენინგრადის ხელმძღვანელები და შინსახკომის შეფები - სიკვდილისფერი მედვედი და არანაკლებ შეშინებული მისი მოადგილე ზაპოროჟეცი.

- საგულისხმო სურათია, ამხანაგებო, - ულვაშში მიმალული ავი ღიმილით ამბობდა ბელადი. - ჩეკისტები ამხანაგ კიროვის ავტომანქანასთან აკავებენ ამ არამზადა ნიკოლაევს, რომელსაც ერთ ჯიბეში მარშრუტის ნახაზიანი რვეული უდევს, მეორეში კი - რევოლვერი. მიჰყავთ სამმართველოში და მალე მშვიდობიანად უშვებენ, ის კი არადა, იარაღსაც თავაზიანად უბრუნებენ. მეორედ სმოლნისთან მოყალე ნახეს, ისევ დაიჭირეს და ისევ გაუშვეს. ამის შემდეგ გასაკვირი არ არის, მალე საოლქო კომიტეტის დერეფნებშიც რომ გამოჩნდა... რით აიხსნება ყოველივე ეს, თუ არა ყოვლისმიმტევებელი ქრისტიანული მცნებით - „გიყვარდეს მტერი შენი"?..

კაბინეტში სამარისებური სიჩუმე სუფევდა.

- მე მინდა, ვიცოდე, ვინ გაუშვა დაჭერილი არამზადა ნიკოლაევი? პირველად და მეორედ? - ხმას აუწია სტალინმა. - ა, ამხანაგო მედვედ?!

მედვედი დამდუღრულივით წამოხტა.

- ამხანაგო სტალინ, - ძლივს მოაბრუნა გახევებული ენა. - მე იმ დროს მოსკოვში ვიმყოფებოდი, ამხანაგ იაგოდას სასწრაფო გამოძახებით...

- ხომ გესმით: ამხანაგი მედვედი იმ დროს მოსკოვში იმყოფებოდა! - ავად თქვა სტალინმა და ხელის მოუთმენელი გაქნევით ანიშნა ლენინგრადის მთავარ ჩეკისტს, დაჯექიო. - მაგრამ ამხანაგი მედვედი უკვე სამი კვირაა, ლენინგრადშია და უნდა ვივარაუდოთ, რომ წესისამებრ ინფორმირებულია. რა გამოდის? ან ამხანაგი მედვედი უხეირო ხელმძღვანელია და მხოლოდ ბატები შეიძლება ანდო სამწყემსავად, ან კიდევ ყველაფერი იცოდა და თვალი დახუჭა, მეტიც - იქნებ მისი თანხმობითაც კი მოხდა ყოველივე! ასეა თუ ისე, ამხანაგი მედვედი პასუხს აგებს... თქვენ, ამხანაგო ზაპოროჟეც?!

- ამხანაგო სტალინ! - მოადგილესაც მკვდრისფერი ედო. - ნიკოლაევის დაჭერის შესახებ მე ორჯერვე ვაცნობე მოსკოვს...

- და ორივეჯერ სსრკ-ის შინსახკომელმა კეთილმა ძიებმა გირჩიეს, ის ცელქი ნიკოლაევი მშვიდობიანად გაათავისუფლეო, არა?

ზაპოროჟეცი დუმდა.

- იქნებ პირადად ამხანაგ სტალინს მოახსენეთ და ეს დირექტივა თვით ცეკას გენერალურმა მდივანმა მოგცათ, ა?

ზაპოროჟეცი ცოცხალ-მკვდარი იდგა, მუხლები ეკეცებოდა.

- პასუხები არ მესმის! მე მეტი შეკითხვა არა მაქვს! ამხანაგი მედვედი და ამხანაგი ზაპოროჟეცი თავისუფალნი არიან - ჯერჯერობით. მიბრძანდით...

თავჩაქინდრულმა ჩეკისტებმა კაბინეტი დატოვეს.

- ვინაიდან ჩვენი წესრიგის დამცველები და სოციალისტური კანონიერების გუშაგები „მტრისმოყვარე" ქრისტიანები გამოდგნენ, - დაასკვნა ბელადმა, - საქმე ჩვენ, არაპროფესიონალებმა უნდა გამოვიძიოთ.

ჰენრიხ იაგოდა სტალინისკენ დაიხარა და ყურში რაღაც უჩურჩულა.

- ასეთი რამ ჩურჩულით სათქმელი არ არის, ამხანაგო იაგოდა! - შეიჭმუხნა ბელადი. - ამაზე ხმამაღლა უნდა ითქვას, მთელი ხმით უნდა იყვიროთ!.. მაშ, ასე! მოგილოცავთ, ამხანაგებო - ამხანაგი კიროვის ავაზაკური მკვლელობის ყველა მოწმე ავტოკატასტროფაში დაიღუპა! ერთბაშად, ერთ მანქანაში! სწორად გავიგე, ამხანაგო იაგოდა? დიდებულია! სხვათაშორის, მოსალოდნელიც იყო! ახლა არც ის გამიკვირდება, ცოტა ხანში რომ მომახსენოთ, ნიკოლაევმა საკანში თავი ჩამოიხრჩოო!

- ამხანაგო სტალინ! - შეცბუნდა იაგოდა - ნიკოლაევს წამითაც არ აშორებენ თვალს!..

- ფრიად სასიამოვნოა ამის მოსმენა - მშვიდად თქვა სტალინმა. - ნიკოლაევი აქ მომგვარეთ! დაუყოვნებლივ! და იცოდეთ - მისი თავიდან ერთი ბეწვიც რომ ჩამოვარდეს, საკუთარი სიცოცხლით აგებთ პასუხს! გასაგებია?!

* * *

- როგორიც შენა ხარ, სწორედ ისეთმა ნაძირალებმა მოკლეს ლენინგრადში ამხანაგი კიროვი, - ავისმომასწავებელი ღიმილით თქვა სერგო გოგლიძემ.

მიქელაძე გველნაკბენივით შეხტა. აფხაზეთის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს ყოფილ უფროსს ამ წუთებში ორი წყვილი თვალის მზერა ბურღავდა: მის წინ რესპუბლიკის სახალხო კომისარი გოგლიძე იჯდა, მარჯვენა მხარეს ცნობილი „ძვლისმკვნეტელი" ბოგდან (ბახჩო) ქობულოვი.

- კიროვი?! - ძლივძლივობით ამოღერღა პატიმარმა.

- დიახ, კიროვი - ამხანაგი სტალინის ძმა და მეგობარი.

- არ მესმის, ამხანაგო გოგლიძევ...

- შენი ამხანაგი ახლა მკვლელი ნიკოლაევია! - მიახალა ქობულოვმა, - გეყოფა აბდაუბდა! ან სიმართლეს იტყვი, ან...

და ქობულოვმა ცხვირწინ დაუტრიალა უროსხელა მუშტი.

- დაიცა, ბახჩო, - შეაჩერა გოგლიძემ. - ასეა თუ ისე, მიქელაძე, მე და შენ ძველი ჩეკისტები ვართ. ჰოდა, ყველაფერი გულმართლად გვიამბე.

- არ მესმის, - ხმის კანკალით გაიმეორა პატიმარმა, - რა ურთიერთობა უნდა მქონოდა კიროვის მკვლელობასთან ან, რა ჰქვია, ვინმე ნიკოლაევთან?..

- რა და - პირდაპირი! - მოუჭრა ბახჩომ. - ნიკოლაევმა კიროვი მოკლა, შენ კი ამხანაგ ბერიაზე შემართე ხელი! როგორი გეგმაა, ა? ერთი დარტყმით გსუროდათ იქით - ლენინგრადის და აქეთ - ამიერკავკასიის ხელმძღვანელთა მოსპობა! ასეა, ხომ?

- ხუმრობთ?! მამასხარავებთ?! - სხვა ვერაფერი მოიფიქრა ნაჩეკისტარმა.

- ვხუმრობ? - თვალის თეთრონები გააელვა ქობულოვმა. - თუმცა, მართალი ხარ: ბახჩო ქობულოვს ძალიან უყვარს ხუმრობა. მალე საკუთარ ტყავზე გამოცდი ჩემი ხუმრობის მთელ სიმშვენიერეს...

- მოიცა-მეთქი, ბახჩო! - ისევ ჩაერია გოგლიძე. - ნუ აწვები ასე კაცს... მისმინე, მიქელაძე! დაკითხვაზე გამომძიებელ სავიცკის შენ ასეთი რამ უთხარი: „აგარაკზე აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარის ნესტორ ლაკობას დაბრუნებამდე საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის ამხანაგ როზენჰოლცის ქალიშვილი სოფია როზენჰოლცი სადღაც, ქალაქში იმყოფებოდა. იგი აგარაკზე მოვიდა. საღამოს ივახშმა, მცირეოდენი ღვინო შესვა, მერე კი გავიდა საძინებელში, სადაც თავი მოიკლა ამხანაგ ლაკობას კუთვნილი რევოლვერით..." შენი სიტყვებია, ხომ?

- დიახ, - ხმადაბლა დაუდასტურა მიქელაძემ.

- კეთილი. შემდეგ: „თავდაპირველად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ლაკობამ როზენჰოლცი გააუპატიურა და ქალმა სწორედ ამიტომ მოიკლა თავი". მართალი ხარ, მიქელაძე, ექსპერტმა დაადასტურა, რომ როზენჰოლცი ეგრეთწოდებულ თვითმკვლელობამდე მამაკაცთან იყო ნაწოლი... ამავე დროს აცხადებ: „სოფია როზენჰოლცი ხშირად ჩამოდიოდა აფხაზეთში და ხანგრძლივად ცხოვრობდა ამხანაგ ლაკობას აგარაკზე, დადიოდა ხმები, რომ იგი მისი საყვარელი იყო..." თქვი: ბოლოს და ბოლოს, იყო თუ არა სოფია ლაკობას საყვარელი? თუ ნესტორ-„გლუხოიმ" იმ დღეს პირველად იგემა მისი სხეულის სიტკბო?

- არ ვიცი, - ამოიხრიალა მიქელაძემ. - მათთვის მე მუთაქის მაგივრობა არ გამიწევია... არც სოფიას ფეხები მჭერია ხელში...

- არც რევოლვერი გჭერია?!

მიქელაძე გველნაკბენივით წამოხტა.

- არა! - დაიღრიალა. - არა! ამას ვერ მომაკერებთ, ვერა!

- დაჯექი! - იფეთქა გოგლიძემ. - მორჩი ისტერიკას! ან მოყვები ყველაფერს, რა და როგორ იყო, ან ბრალად დაგედება მკვლელობა სახალხო კომისრის ქალიშვილისა, რომელიც მოკვლამდე ძალით გააუპატიურე. ასე რომ, აირჩიე!

მიქელაძე გახვრეტილი ბურთივით ჩაიფუშა.

- კარგი. ვიტყვი. ვიტყვი იმას, რაც ვიცი. მე არ მომიკლავს ის გომბიო. ნესტორმა მოკლა, ლაკობამ. როზენჰოლცმა ნესტორისა და მისი ქილერების საუბარი მოისმინა ამხანაგ... - მცირე ხნით იყუჩა, მერე გაბედა: - ამხანაგ ბერიას წინააღმდეგ დაგეგმილი ტერორისტული აქტის დეტალებზე... იქნებ არც მოუსმენია და „გლუხოის" მოეჩვენა... ნასვამები იყვნენ და ხმამაღლა თქვეს, აქცია ორჯერ ჩაიშალა, ჰოდა, ღმერთი სამებითააო...

- შენ იქ იყავი იმ დროს?

- დიახ, რაკი უკვე გადაწყვეტილი იყო თბილისში ჩემი გადაყვანა, ამ საქმეში აღარ გამრიეს. ნესტორმა თქვა, ნადირი ორჯერ გადაგვირჩა აფხაზეთში, ახლა მეტი გზა არ არის, თბილისში ან მის მიდამოებში უნდა მოვიხელთოთო.

გოგლიძემ და ქობულოვმა ერთმანეთს გადახედეს.

- როზენჰოლცი კი დილით თბილისში უნდა გადაფრენილიყო, - თქვა გოგლიძემ. - მოკლედ, დრო აღარ რჩებოდათ. სოფია საძინებელში რომ შევიდა, ლაკობაც თან შეჰყვა, ჯერ საწოლში ჩაიწვინა, მერე კი... უხ, შენი!.. ნაგავი!..

დ

ფასანაურს გამოსცდნენ თუ არა, პირველსავე მოსახვევში „ბიუიკს" ორმხრივი ცეცხლი გაუხსნეს.

- მიაწექი! - არაადამიანური ხმით იყვირა ბერიამ, რევოლვერი იშიშვლა და თავდამსხმელებს საპასუხო სროლა აუტეხა.

მძღოლი ბოლომდე დააწვა გაზის სატერფულს. „ბიუიკი" ელვის სისწრაფით, მუხრუჭების ღრჭიალით მიქროდა მთის მიმოხვეულ გზაზე.

თავდამსხმელები უკან რომ ჩამოიტოვეს, ბერიამ სული მოითქვა და შუბლზე გამოჟონილი ცივი ოფლი შეიწმინდა. მიტკალივით გათეთრებული ნინა თეიმურაზოვნა სერგოს გადაფარებოდა. მადლი უფალს, ყველანი გადარჩნენ!

- გავაღწიეთ! ა, ხარიტონ?!

მაგრამ მძღოლის გვერდით მჯდარი ხაცკევიჩი დუმდა. პენსნე ჩამოვარდნოდა, ფრენჩი ნელ-ნელა ელებებოდა სისხლით.

- გარეკე! - დაუყვირა მძღოლს ბერიამ. - მიაწექი, რაც შეგიძლია! თბილისამდე სულ ცოტაღა დარჩა!..

მაგრამ ხარიტონ ხაცკევიჩის სხეულში მფეთქავი სიცოცხლე თბილისამდე დარჩენილ მანძილზე გაცილებით მოკლე აღმოჩნდა...

შემდეგ ნომერში:

**ხალიჩაში გახვეული ცხედარი**

## ★ ხვალ იყო გუშინ

**30-იანი წლების რეპრესიები, რომლებიც ავადსახსენებელი „ოცდაჩვიდმეტი წლის“ სახელით არის ცნობილი, მიუხედავად მათი საზარლობისა, დიადი რევოლუციის ექო იყო – მრისხანე, სისხლიანი ექო, რომელიც მტყუანსაც და მართალსაც ერთნაირად ავლებდა მუსრს. მაგრამ ნებისმიერი რევოლუციის შემდეგ ყველაფერი თავიდან იწყება. ავიღოთ თუნდაც საფრანგეთის დიდი რევოლუცია; იაკობინური ტერორი, როდესაც „ეროვნული სამართებელი“ – გილიოტინა პარიზში შეუსვენებლად მუშაობდა. სხვათაშორის, იაკობინელთა და ბოლშევიკთა წამოწყებული ტერორის ლოზუნგებიც კი იდენტურია. ამბობენ, რომ ისტორია მეორდება. პირველად, როგორც ტრაგედია, მეორედ – როგორც ფარსი. 80-იან წლებში საქართველოში გაჩაღებული „მცირე 37 წელი“ ისტორიის თვალში, რაღა თქმა უნდა, ფარსი იყო, მაგრამ მისი მსხვერპლისათვის – 30-იან წლებზე არანაკლები ტრაგედია.**

**როგორ და რატომ გახდა შესაძლებელი ტერორის განმეორება?**

**რა მიზანს ისახავდა იგი? რა ზეგავლენა იქონია ჩვენს დღევანდელობაზე? ვცადოთ, გავერკვეთ. თუმცა, ამ კითხვებზე პასუხის გაუცემლადაც ერთი რამ უდავოა: თუკი დიდი „ოცდაჩვიდმეტი“ დიადი რევოლუციის ექო გახლდათ, მისი ჯუჯა თანამოძმე მთლიანად გახრწნილი და ძირფესვიანად დამპალი პარტიული აპარატის ამობოყინება იყო. ჩვენი მოთხრობაც ამას შეეხება.**

# სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით






# ვნებათაღელვა პასიანსის გარშემო

**თავი I**

**გიორგი ბეჟირგანი**



1982 წლის 10 ივნისი. ზურაბ პატარიძის გამოსვენება მთავრობის სახლიდან

1982 წლის ზაფხულის ღამეს კახეთის გზაზე სასიკვდილოდ დაშავდა მზიანი, აყვავებული და კაშკაშა მწვერვალებისკენ გამარჯვების მარშით მიმავალი რესპუბლიკის მთავრობის მეთაური. რა გაეწყობა, დაიღუპა და დაიღუპა. ეს ყველას შეიძლება შეემთხვეს. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისაგან ხომ არავინ არის დაზღვეული. თანაც თავისი ბრალი იყო. მასპინძელი – რაიკომის მდივანი არწმუნებდა, დილამდე დარჩენილიყო, რაღა ღამე უნდა ემგზავრა? მაგრამ სიჯიუტით განთქმულმა პრემიერმა თბილისში გადაუდებელი საქმეები მოიმიზეზა, ავტომობილის კარი მიიჯახუნა და თავისი შავი „ვოლგა“ ასეთივე შავ, უკუნ ღამეში მიმართა.

არყოფნისაკენ.

თუმცა, ავტომობილები დილის და დღის საათებშიც იმტვრევა, თანაც არანაკლები (თუ მეტი არა), ვიდრე ღამით.

თანაც ვინ იცის, რას უმზადებს ბედისწერა?

მაგრამ აქ, როგორც მე, ცოდვილს მეჩვენება, ერთი საყოველთაოდ ცნობილი მნიშვნელოვანი დეტალიც არსებობდა (რომელმაც, შესაძლოა, საბედისწერო შედეგში გადამწყვეტი როლი ითამაშა). ეს გახლდათ კამიკაძე-პრემიერის ლამის პათოლოგიური სიყვარული სწრაფი მგზავრობისადმი. უკაცრავად, სწრაფი კი არა, გიჟური, ცოფიანი, უკიდურესი სიჩქარით. ეს შემიძლია პირადად დავადასტურო, როგორც თვითმხილველმა. ერთხელ მან, მაშინ ეკონომიკის დარგში ცკ-ის მდივანმა, ჩემი – როგორც ინსტრუქტორის – სოხუმში წაყვანა ინება. მთელი გზა ციებიანივით ვცახცახებდი და ყოველ წუთს მოველოდი შეჯახებას, უფსკრულში, სიცარიელეში ნახტომს და... გარდაუვალ სიკვდილს. მაშინ გადავრჩით. მშვიდობიანად დასრულდა დაუდგრომელი პრემიერის ყველა სხვა მგზავრობაც (ასეთი კი ცოტა როდი იყო). მაგრამ კახეთის გზატკეცილზე მისმა „პათოლოგიურმა სიყვარულმა“ ასი პროცენტით იმუშავა.

თუ იგი ვინმემ მოხერხებულად გამოიყენა?

ამ კითხვას პასუხს ვერ გავცემ. შემიძლია მხოლოდ მისი ქვრივის სიტყვები გავიმეორო: „ჩემი ქმრის სიკვდილით კონკურენტი ჩამოიცილეს.“

იყო თუ არა ზურაბ პატარიძე (მკითხველი, ალბათ, ისედაც მიხვდა, ვიზე იყო საუბარი) ვინმეს კონკურენტი? ვფიქრობ, იყო. თანაც სერიოზული კონკურენტი. ყოველმხრივ განათლებული ადამიანი, რომელმაც საწარმოო და პარტიული წვრთნა გაიარა, ჭეშმარიტი ლიდერი, ნიჭიერი, ინიციატივიანი, ენერგიული და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, კრისტალურად სუფთა, ურთიერთობაში უბრალო, ადამიანებისადმი ყურადღებიანი. რესპუბლიკის პირველი პირის სავარძელში ის სწორედ თავის ადგილზე იქნებოდა. და საქართველო ამით მხოლოდ მოიგებდა. ჰოდა, ვინ იცის, ის ტრაგედია რომ არა, როგორ წარიმართებოდა ჩვენი სამშობლოს ბედი.

მაგრამ მოსახდენი მოხდა. წარსულს ვერ დაიბრუნებ. ტრაილერს, რომელმაც პატარიძის „ვოლგას“ გზა გადაუღობა, იმ გზიდან ველარ გადაიყვან. მუხრუჭების ღრჭიალს, რომელმაც ღამის მდუმარება გაარღვია, ველარ ჩააჩუმებ. და თავად ზურაბსაც ვერ გააცოცხლებ. იქნებ, სწორედ ამიტომაც ჩქარობდა მთელი სიცოცხლე ასე დაუოკებლად, იქნებ, გული უგრძნობდა, რა მოკლე დღე ეწერა?

ასეა თუ ისე, რესპუბლიკის მეორე პირმა ნაადრევად და ტრაგიკულად დატოვა ეს სევდის საუფლო. დარდით გულმოკლული თანამოსაგრენი უკანასკნელ პატივს მიაგებენ მას, თუმცა, წუთითაც არ ავიწყდებათ, რომ წინ მორიგი საკადრო პასიანსი ელით., გონებაში უკვე შლიან მას.

**რა არის საკადრო პასიანსი?**

ეს კარტის ახლებური განლაგებაა. ერთ-ერთი ტუზი დასტიდან ვარდება. მის ადგილს მეორე იკავებს. მის კვალდაკვალ კი სხვა კარტებიც გადაინაცვლებენ – მეფეები, ვალეტები, „დამები“, ექვსიანები. სულ ზევით, ზევით.

მთავარი კითხვა, რომელიც ივნისის დღეებში ყველას აღელვებდა – რიგითი შემსრულებლებიდან ნომენკლატურულ ბონზებამდე – როგორ განლაგდება ახალ პასიანსში კოზირის კარტი?

ამ საკითხზე მხურვალედ კამათობდნენ არა მხოლოდ სახელისუფლო დერეფნებში, არამედ სურსათის რიგებში, ავტობუსის გაჩერებებზე, სასაუზმეებსა და მცირეგაბარიტიან სამზარეულოებში. გამოთქვამდნენ სხვადასხვა ვარაუდებს, აგებდნენ დიამეტრულად საპირისპირო ვარიანტებს.

მართლაც რა უნდა იყოს, თუნდაც ფიქრებში, ბანქოს დასტის ხელში დაჭერაზე უფრო სასიამოვნო, მათთვისაც კი, ვინც არასოდეს მიუწვევიათ და არც არასოდეს მიიწვევენ ლომბერის მაგიდასთან? თავად მოთამაშეებზე ხომ საუბარიც არ არის. განსაკუთრებით – მთავარ მოთამაშეზე, ბანქოს დამრიგებელზე, რომელსაც მრავალთა გაბედნიერება, გამდიდრება და გაცამტვერება ძალუძს. ახალ განლაგებაში დამკვიდრებულ ყოველ ტუზს ხომ ფეხდაფეხ მიჰყვებიან სხვა კარტები -კადრები.

„კადრები ყველაფერს წყვეტენ!“ სტალინის ამ სიტყვებს მნიშვნელობა უდიდესი მმართველისა და ძალაუფლების ოსტატის გარდაცვალების შემდეგაც არ დაუკარგავს. ახლა ისინი ისევ „წყვეტდნენ ყველაფერს“ – მაგრამ ძალაუფლების შენარჩუნების საქმეში, პირად, ანგარებიან მოთხოვნილებებში – საკუთარი თავის, ოჯახის, საკუთარი კლანისთვის.

მაშ ასე, თამაში დაიწყო. პირველმა პირმა საკუთარი ზურგი მთავრობის ახალი ხელმძღვანელით მოიმაგრა, რომელიც ცეცხლს არ ეთამაშებოდა, რესპუბლიკაში თავქუდმოგლეჯილი არ დაქროდა, არამედ ჩუმად და წყნარად ეგუებოდა ახალ სავარძელს.

და აქ ერთ არსებით დეტალს მივაქციოთ ყურადღება. სავსებით შესაძლებელია, ჩვენს მოთხრობაში ის ტრაგედიაში გადაიზარდოს. ახალი საკადრო პასიანსის გაშლისას ეკონომიკის დარგში ცკ-ის მდივნის პოსტი სოლიკო ხაბეიშვილმა მიიღო. მის ადგილზე პროპაგანდის განყოფილებიდან ჟიული შარტავა დააწინაურეს.

მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც ყოველთვის. კადრები გადამწყვეტ უბნებზე განაწილდა, ამოცანები განისაზღვრა. მზიურმა რესპუბლიკამ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ ღრმად პატივცემული ლეონიდ ილიას ძის ხელმძღვანელობით ნათელი მომავლისაკენ სვლა გააგრძელა. ისტორიის საათი, როგორც სამართლიანად შენიშნა საქართველოში მისმა ნაცვალმა, სოციალიზმის დროს უჩვენებდა.

მორიგი პასიანსის მოლოდინში ყველა მიჩუმდა. ვინ იცის, ვის რა შეემთხვევა მთის ქვიან გზებზე? ვის აგური მოხვდება თავში?

ვის კი უფალი მიუხმობს თავისთან?

ახლა კი, ვფიქრობ, დროული იქნება, ზემოთ ხსენებული გიჟური მგზავრობის ერთი ეპიზოდი მოგითხროთ. გზა სოხუმისაკენ, სადაც ზურაბ პატარიძე მომავალი საკურორტო სეზონისათვის მზადების საკითხებზე თათბირის ჩატარებას აპირებდა, ქუთაისზე გადიოდა. კარგად შელამებულზე ჩვენი ავტომობილი სრული სვლით კი არ შევიდა, შეიჭრა რესპუბლიკის მეორე სამრეწველო ცენტრში. მძღოლი, რომელმაც პატრონის ხასიათი კარგად იცოდა, მიძინებული ქალაქის ცარიელ ქუჩებში სიჩქარეს არ უკლებდა. მაგრამ მოულოდნელად პატრონმა პარტიის ქალაქკომთან შეჩერება უბრძანა. მძღოლმა მუხრუჭების საშინელი ღრჭიალით გააშეშა მანქანა. ცკ-ის მდივანს გაახსენდა, რომ ქალაქკომის მდივანთან რაღაც სასწრაფო საქმე ჰქონდა.

ქალაქს ეძინა. ქალაქკომს კი – არა, რადგან ასეთ დროს, შემოღებული წესის თანახმად, თბილისში „დიდი სახლიც“ ფხიზლობდა. პატარიძემ ბიჭივით მსუბუქად აირბინა მარმარილოს კიბე და გაქანებულმა შეაღო ქალაქკომის მდივნის კაბინეტის კარი. მაშინ ისინი პირველად ვნახე ერთად – ორი განწირული პიროვნება – ეკონომიკის დარგში ცკ-ის მაშინდელი მდივანი ზურაბ პატარიძე და სოლიკო ხაბეიშვილი, კაცი, რომელმაც ეს პოსტი 1982 წელს დაიკავა. რაზე თათბირობდნენ მაშინ ისინი, არ ვიცი. ტუზები სასაუბროდ დასასვენებელ ოთახში გავიდნენ და მე, ექვსიანი, კაბინეტში დამტოვეს. კონფიდენციალური საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა – 15-20 წუთი. ამას მოჰყვა ცკ-ის მდივნის კატეგორიული უარი, დაესვენა და დანაყრებულიყო. ისევ გზა, გიჟური გზა სოხუმისკენ, სადაც თვითმფრინავის სისწრაფით მოვხვდით.

ფიქრობდა კი მაშინ ორი მდივანი – ქალაქისა და რესპუბლიკის – ამ შეხვედრის იდუმალ სიმბოლიკაზე? იმაზე, რომ სწრაფად სიარული ერთისთვის გახდება სასიკვდილო განაჩენის საფუძველი, ხოლო ქუთაისში მეფისნაცვლობა – მეორის განაჩენის ყველაზე მძიმე ბრალდება?

განა შეეძლოთ, წარმოედგინათ, რომ სწორედ იმ კაბინეტში, სადაც უბრალო ინსტრუქტორის ყურისათვის აკრძალული მათი კონფიდენციალური საუბარი მიმდინარეობდა, რამდენიმე წლის შემდეგ იარაღი დაიქუხებს?

არა. ეს ყველაფერი ვერავის მოუვიდოდა თავში. მაგრამ თამაში უკვე დაიწყო. ფსონები გაკეთდა. ფსონები, სადაც კონში თავად სიცოცხლე იდება.

**შემდეგ ნომერში:**

**„თეთრი ყვავები შავ ბუნდში“**

## ანეკდოტები რაბინოვიჩისაგან

● ომის დამთავრების შემდეგ მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს, ვინ როგორ ეხმარებოდა ფრონტს. ისინიც დასწრებაზე ყვებიან, როგორ აგზავნიდნენ ფრონტზე წერილებს და თბილ ნივთებს, ცდილობდნენ, კარგზე და ფრიადზე ესწავლათ. კლასში ჩარჩენილი ვოვოჩკა ხელს სწევს. „აბა, თქვი.“ „მე არტილერისტებს ჭურვებს ვაწვდიდი,“ – ამაყად აცხადებს ბიჭი. „ყოჩაღ, – ამბობს მასწავლებელი, – მერე, რას გეუბნებოდნენ?“ „მეუბნებოდნენ – დანკე შონ, ზერ გუტ, ვოლდემარ“.

# სამშობლო

როგორც უფალი,
სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!


# ლიხს იქით და ლიხს აქეთ საქართველო მიყვარდეთ!




რა თქმა უნდა პელაზგური მითების შემქნელთა სახელები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მითების პელაზგურ წარმოშობაზე მეტყველებს ღვთაებებს შორის შემორჩენილია ბევრი პროტოიბერიული წარმოშობის ღმერთი, ხოლო ბევრმა ინდოევროპულმა ღვთაებამ ავტოხტონური სიმბოლოები "მიითვისა". არსებობს ბერძნული მითების უზენაესი ღვთაების ზევსის პელაზგური ქტონური ექვივალენტი, რომლის კულტიც მუხასთან იყო დაკავშირებული. აგრეთვე ნაყოფიერებისა და მიწის ღვთაება დემეტრე (დედამიწა), რომლის ფუძის განმარტებისას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიანიშნებდა იმაზე, რომ ფუძე "დე" სავსებით უცხოა ბერძნული ენისათვის. მართალია, "მეტერ" ბერძნულში ნიშნავს "დედას" მაგრამ "დე" სუფთა იბერიული წარმოშობისაა. "დე" ანუ "დედა" დედაქალღმერთის აღმნიშვნელი იყო. ასე რომ დემეტრე არის ის სახე, რომელშიც უძველესი კოლხური, პელაზგური დედაქალღმერთი გადმოღებული იქნა ბერძნების მიერ, რომლებმაც მას "დემეტრე" უწოდეს. აღსანიშნავია, რომ დემეტრეს პელაზგურ წარმომავლობის გათვალისწინებით ფრიად დაინტერესო ხდება მითი ზევსის ძმის, ქვესკნელის ღვთაების აიდის მიერ დემეტრეს ქალიშვილის, პერსეფონეს მოტაცების თაობაზე. როგორც ვხედავთ, აქაც სახეზეა, ინდოევროპელი აიდის მიერ პელაზგი პერსეფონის პალადიუმის ერთერთი გამოვლინების მოტაცება და შემდეგ მისი გამოყენება.

ახლა კი დაუბრუნდეთ, პრომეთეს. მითი პრომეთეს შესახებ ერთერთი უმნიშვნელოვანესია როგორც ადამიანის ევოლუციის თვალსაზრისით ისევე პროტოიბერთა ეთნოგენეზის გასარკვევად. როგორც მოგეხსენებათ, ბერძნული მითოსის ყველა მნიშვნელოვანი მომენტი კავკასიასთან არის დაკავშირებული: არგონავტების ლაშქრობა, ტროას ომი, რომლის გამომწვევი მიზეზი ხომ თვითონ ტროელების თქმით მედეას მოტაცებაში მდგომარეობდა, და ბოლოს უდიდესი ტიტანის, პრომეთეს კავკასიონზე მიჯაჭვა.

მითოსის განხილვისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს რომ მითოსი იქმნებოდა ძველ მისტერიებში ქურუმების, ხელდასმულებისა და ეზოთერულ ცოდნას ნაზიარები ადეპტების მიერ. ამიტომ მითში არაფერი არ არის ზედმეტი, ყველაფერს თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს. მითის განხილვისას უმნიშვნელოვანესია მითის პერსონაჟის სახელი, რომელიც განმარტავს მის სულიერ რაობას და დაკისრებულ მისიას. ჩვენს შემთხვევაში საქმე გვაქვს ტიტანის სახელთან "პრომეთე"სთან. ძველბერძნულად "პრომეთეო" ნიშნავს წინასწარმეტყველურ აზროვნებას, წინასწარგანჭვრეტას. ამასთან პრომეთეს ჰყავს ძმა სახელად ეპიმეთე "ჭკუით უკან მიბრუნებული" ანუ წინასწარმეტყველური აზროვნებისაგან განსხვავებით განჯისმიერ აზროვნება.

ახლა კი გავარკვიოთ ვინ არიან პრომეთე და მისი ძმა ეპიმეთე? პრომეთე არის იმ კაცობრიობისა თუ სამყაროს წარმომადგენელი, რომელიც წინასწარმეტყველურ ანუ ინტუიტიურ აზროვნებას ფლობდა. ხოლო მის საპირისპიროთ ეპიმეთე სიმბოლოა განსჯითი ანუ ინტელექტისმიერ აზროვნებისა. ორივე ტიტანი შვილია იაფეტისა. ხოლო ვინ არის იაფეტი? იაფეტი არის ქვეყნიერების შემქმნელთა ურანოსისა და გეას შვილი, რომელიც ე.წ. მთავარ ტიტანებში შედის. იაფეტი, როგორც ცალკე აღებული ტიტანი სხვებისაგან დიდად არ გამოირჩევა, მაგრამ მისმა შთამომავლობამ დიდი გავლენა იქონია კაცობრიობაზე. უკვე დიდი ხანია არსებობს მოსაზრება ბერძნული მითების იაფეტისა და ბიბლიური იაფეტს შორის შესაძლო ურთიერთკავშირის თაობაზე (ამასთან ორივე შემთხვევაში იაფეტი დაკავშირებულია ქართველებთან და ქართველურ მოდგმასთან). ზენონ ელეელის მიერ იაფეტოსის სახელი განიმარტება, როგორც ზედა ანუ სულიერი სამყარო იაფეტოს ანუ ის ვინც მიისწრაფვის ზემოთ, სულიერისაკენ. აქედან გამომდინარე, პრომეთე არის ზედა ანუ სულიერი სამყაროს ძე ანუ წინასწარმეტყველური აზროვნება.

პრომეთეს შესახებ მითის ერთერთი მთავარი (სპირიტუალური თუ ფილოსოფიური) ახსნა მდგომარეობს კაცობრიობის, უფრო სწორედ ადამიანის აზროვნების ევოლუციაში. აზროვნების ევოლუციაში არის ეტაპი, როდესაც აზროვნება მიეჯაჭვება ადამიანის სულის ფიზიკურ სხეულში ჩასვლასთან ერთად და არის დატყვევებული ამ სხეულში. ხოლო კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთეს განთავისუფლება ნიშნავს აზროვნების ფიზიკური სხეულისაგან განთავისუფლებას. კავკასიონზე მიჯაჭვული პრომეთე ადამიანის სხეულზე მიჯაჭვული აზროვნებაა, მაშინ როდესაც განთავისუფლებული პრომეთე არის განთავისუფლებული წინასწარმეტყველური აზროვნების სიმბოლო.

აღსანიშნავია, ერთი ფრიად საინტერესო მოსაზრება, რომლის მიხედვით, იაფეტოსის ძენი განასახიერებენ ადამიანის სულიერი სამყაროს სხვადასხვა მდგომარეობას:

ატლასი გამძლეობას, სიმტკიცესა და მოთმინებას, მენოიტიოსი ქედმაღლობას თავხედობას, პრომეთე წინასწარგანჭვრეტასა და მაძიებლობას, ხოლო ეპიმეთე, რაც ძალზედ საინტერესოა, წინდაუხედაობასა და სისუსტეს. საინტერესოა, რომ სწორედ ამ უკანასკნელთან, ეპიმეთესთან არის დაკავშირებული კაცობრიობის დასჯა და ბოროტების განთავისუფლება. ცნობილი მითის მიხედვით, ბრძენი პრომეთე მუდამ აფრთხილებდა ეპიმეთეს არაფერი მიეღო ღმერთებისაგან, მაგრამ როდესაც ოლიმპიელმა ღმერთებმა ეპიმეთეს საჩუქრად ულამაზესი ქალი, პანდორა მიართვეს, მან დაივიწყა ბრძენი ძმის დარიგება და ქალი ცოლად შეირთო. როგორც ვიცით, ერთ მშვენიერ პანდორამ ქოთანს, რომელშიც ღმერთების მიერ დავწყვდეული იყო ბოროტება, თავი მოჰხადა და იგი გაანთავისუფლა სწორედ მას შემდეგ არის, რომ კაცობრიობას თავს დაატყდა შიმშილი, უბედურება, სიღატაკე, ავადმყოფობა, შური, ცილისწამება და მრავალი სხვა.

პრომეთეს მითის განმარტებისას ჩვენთვის საინტერესოა ამ მითის კიდევ ერთი ახსნა ეთნოლოგიური. გარდა წინასწარმეტყველური აზროვნების სიმბოლოსა, პრომეთე არის იმ მოდგმის თუ სამყაროს სიმბოლო, რომელსაც გააჩნდა ასეთი აზროვნება და რომელიც ქმნიდა და ანვითარებდა მისტერიებს და მათ კულტურას. ამ მხრივ იგი უპირისპირდება ბერძნების უმაღლეს ღვთაებას ზევს, რომელიც განასახიერებს საბერძნეთში უფრო გვიან მოსულ მოდგმას, რომელიც ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და კავკასიონზე აჯაჭვებს პრომეთეს.

აღსანიშნავია, რომ ილომპიელ ღმერთების წინარე ტიტანების მოდგმა იაფეტოსი,გიპერიონი (ჰელიოსის მამა და აიეტის ბაბუა) და სხვები ოლიმპიელთა გამოჩენისთანავე ეწინააღმდეგება მათ ძალაუფლებას, რამაც შედეგად ტიტანომაქია ანუ ღმერთთა და ტიტანთა ომი მოიტანა. ტიტანები საბერძნეთის უძველესი მოსახლეობის ღვთაებებია, რომლებმაც ბერძნულ მითებში ტრანსფორმაცია განიცადეს და ტიტანების სახე მიიღეს, ტიტანებისა, რომლებმაც ოლიმპიელთა წინააღმდეგ გაილაშქრეს და ამისათვის დაისაჯნენ. საინტერესოა, აგრეთვე ის გარემოება, რომ პრომეთესა და მედეას დედები დები ყოფილან ანუ პრომეთე და მედეა დეიდაშვილები იყვნენ მედეას დედა იდია და პრომეთეს დედა ასია ორივე ტიტან ოკეანოსის ქალიშვილებია. როგორც ვხედავთ, აქაც პრომეთესა და პროტოიბერიული (ქართველური) სამყაროს ნათესაობასა და ურთიერთკავშირს ვხედავთ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ უფროსი თაობის მსგავსად, პრომეთეც ოლიმპიელთა წინააღმდეგ გამოდის, რისთვისაც იგი კავკასიონზე იჯაჭვება. მაგრამ კონკრეტულად რამ განაპირობა მისი ასეთი მკაცრი დასჯა? მითოსის მიხედვით, პრომეთეს დასჯას წინ რამოდენიმე საინტერესო შემთხვევა უძღვოდა.

ერთერთი მითის მიხედვით, ერთხელ კორინთოსში ერთმანეთთან შეხვდნენ ორი განსხვავებული მოდგმისა და კულტურის წარმომადგენლები. ერთნი პრომეთესთან იყვნენ დაკავშირებულები, ხოლო მეორენი ზევსთან და ოლიმპიელ ღმერთებთან. როგორც ვხედავთ, მითში ორ კულტურას შორის მომხდარი შეხვედრა აისახა. ერთი იყო იმჟამინდელი საბერძნეთის უძველესი, პირველადი მოსახლეობა, ხოლო მეორე ახლახანს მოსული ინდოევროპული ანუ ელინური.

პრომეთემ და მისმა ქურუმებმა ამ შეხვედრაზე სამსხვერპლო ხარის განაწილებისას ატყუებენ ზევსს და მის ქურუმებს. მათი ინტელექტი, აზროვნება გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იყო განვითარებული, რის გამოც ისინი ადვილად ატყუებენ ძალისმიერ ზევსა და მის მიმდევრებს. ეს მოტყუება არ უნდა იქნას განხილული როგორც უბრალო თაღლითობა. პრომეთეს ეს ქმედება ხაზს უსვამს, იმ გარემოებას, რომ წინა ბერძნული კულტურა, პელაზგური სამყარო უფრო მაღლა დგას ვიდრე ელინური და შესაბამისად უფრო მაღლა იდგა მათი აზროვნების კულტურაც. რა თქმა უნდა შემდეგ ინდოევროპელებმა თავისი კულტურა უმაღლეს საფეხურამდე განავითარეს და მსოფლიოს ერთერთი ყველაზე დიდებული ცივილიზაცია შექმნეს, მაგრამ ახლა საუბარი ჯერჯერობით იმ პერიოდზეა, როდესაც ეს ორი მოდგმა, პროტოიბერიული და ინდოევროპული, ერთმანეთს პირველად შეხვდა და პელაზგური მოდგმა განვითარების გაცილებით უფრო მაღალ დონეზე დგას.

მითის თანახმად, სამსხვერპლო ხორცის განაწილებისას მოტყუებული ზევსი საპასუხოდ აღარ აძლევს კაცობრიობას ცეცხლს და კავკასიონზე აჯაჭვებს პრომეთეს, რომელიც იპარავს ცეცხლს და ადამიანს უბრუნებს. ცხადია, პრომეთეს მიერ მოტაცებული ცეცხლი არ წარმოადგენს უბრალო ალს, ნაკვერჩხალს. ცეცხლი ამ შემთხვევაში არის სიმბოლო ადამინის სულიერი "მე"სი.

როგორც ცნობილია, ბუნების ოთხ ელემენტს ცეცხლსა, წყალსა, მიწას და ჰაერს შორის ადამიანის მეობას ანუ სულიერ "მე"ს სწორედ ცეცხლი შეესაბამება. სწორედ ასეთი "ცეცხლი" წაართვა ზევსმა კაცობრიობას, ანუ მან ადამიანს საკუთარი "მე" წაართვა. ხოლო პრომეთემ იგი მოიტაცა და უკან დაუბრუნა ადამიანს. სწორედ ეს არის პრომეთეს მიერ კაცობრიობისათვის ცეცხლის მიცემა, რადგან სწორედ ადამიანის მეობისაგან, სულიერი "მე"დან გამომდინარეობს ყოველგვარი კულტურა და ცივილიზაცია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთივე ახსნა აქვს ტიტანების ტარტაროსში დამარხვის მითს. ღმერთების მიერ ტიტანების ტარტარში ჩამარხვა, ადამიანის სულის მატერიაში ჩამოსვლაა, სხეულში ჩაძირვა და დამკვიდრებაა, რითაც იწყება ადამიანის ინდივიდუალური ცხოვრება, აზროვნება და კულტურა.

ცხადია, რომ პრომეთე ასახავს მისტერიათა კულტურას, რომელიც იყო პირველადი ძველ საბერძნეთში, მაგრამ შემდეგ ძლიერი ინდოევროპული ნაკადის გამო ლოკალიზებული აღმოჩნდა კავკასიაში, რაც სიმბოლურად ასახულია პრომეთეს კავკასიონზე მიჯაჭვით. პრომეთეს მითში საყურადღებოა კიდევ ორი მომენტი: არწივი და ღვიძლი, რომელსაც ეს არწივი კორტნის.

როგორც მითიდან გვახსოვს, მიჯაჭვულ პრომეთეს აწამებს ზევსის არწივი.

არწივი, ერთის მხრივ, სიმბოლოა სულიერი აღმაფრენისა და შემეცნებისა, მაგრამ მეორე მხრივ იგი არის სიმბოლო იმპერიული ძლიერებისა და ძალმომრეობისა. არწივი არის ზოომორფული სიმბოლო ზევსისა ანუ ინდოევროპული მოდგმისა, რამაც მცირე ხანში ასახვა ჰპოვა კიდეც რომაელთა არწივებში.

ღვიძლი კი ის ორგანოა, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი როლი აკისრია ჰარუსპიკიის (ცხოველთა შიგნეულობაზე მისნობის) საქმეში. პრომეთე მისანია, საკრალური საიდუმლოს მფლობელი, რის გამოც არწივი სწორედ საიდუმლოს შემცველ ღვიძლს უკორტნის. მაგრამ ღვიძლი ისევ მთელდება ე.ი. საიდუმლოს "გახსნა" ძალისმიერი გზით ვერ მოხდე-


მე-14 გვერდზე

# [illegible] იქით და [illegible] აქეთ

ბა და ზევსმა (ე.ი ინდოევროპელებმა) ეს იცის. ამიტომ პრომეთეს გასანთავისუფლებლად ზევსმა ბერძნების ერთერთი ყველაზე დიდი გმირი ჰერაკლე გაგზავნა. აქ სწორი ვიქნებით თუ დავინტერესდებით თუ ვინ იყო ჰერაკლე? ზ. გამსახურდია ამასთან დაკავშირებით წერს:

''ჰერაკლე არის ახალი კულტურა, ნებელობითი და ჰეროიკული ინიაცია, რომელიც წინასახეა ქრისტიანული ინიციაციისა. საერთოდ, ძველბერძნული მისტერიები თავისი ხასიათით პროფეტური იყო, რომელთა ცენტრალური მისტერიები ''ელოიზისის'' მისტერიები წარმოადგენდნენ. (სიტყვა ''ელოიზისის'' ძველბერძნულად წინასწარ განჭვრეტას ნიშნავს) ჰერაკლეს სახე არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა, რომელიც დაკავშირებულია ნებელობასთან, სულის აქტივობასთან და კერძოდ იმასთან, რასაც ქრისტიანობაში სასუფევლის ძალისხმებით აღება ჰქვია, ვინაიდან ქრისტიანული ინიციაციის არსი იესო ქრისტემ განმარტა როგორც სასუფევლის აღება ძალისხმევით ''სასუფეველი იიძულების''. ამრიგად ჰერაკლეს თორმეტი გმირობა უნდა გავიგოთ, როგორც ინიციაციის სხვადასხვა საფეხურები, სულიერი განვითარების სხვადასხვა დონეები, რომლის კულმინაციაც არის პრომეთეს განთავისუფლება ანუ აზრის განთავისუფლება ფიზიკური სხეულის ტყვეობისაგან და კაცობრიობის გამოხსნა.

როგორც აღვნიშნეთ, ეთნოლოგიური თვალსაზრისით პრომეთეს განთავისუფლება არის განთავისუფლება იმ დოგმისა, რომელიც ზევსის ანუ ინდოევროპული მოდგმის მიერ იქნა მიჯაჭვული ანუ ლოკალიზებული კავკასიაში. ე.ი პრომეთეს მითში აირეკლა აგრეთვე პროტოიბერიული მოდგმის წარსული და მომავალიც. ჰერაკლე, როგორც მოგახსენეთ, არის წინასახე ქრისტიანული ინიციაციისა, რაც სხვათაშორის ცნობილი იყო შუასაუკუნეების ღვთისმეტყველებისთვისაც. ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაში მინიშნებულია კიდეც რომ ჰერაკლე არის წინასახე ქრისტესი (!) კერძოდ ერთერთი მითის თანახმად, მის მიერ კვერთხით კლდიდან წყლის აღმოცენება ითვლება ქრისტიანობის წინასახედ.''

ამ საკითხთან დაკავშირებით აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანული ინიციაციის წინასახედ ითვლება აგრეთვე არგონავტების ლაშქრობაც და შემთხვევითი არ არის, რომ ეზოთერულ მეცნიერებაში ოქროს საწმის განიხილავენ როგორც კლასიკურ გრაალს. ოქროს საწმისი არის წინასახე იმისა, რასაც შუა საუკუნეებში გრაალად და ფილოსოფიურ ქვად მიიჩნევდნენ. ამასთან გრაალი და ფილოსოფიური ქვა არის იდენტური ცნებები. მათი ძიება არის არა მარტო ფიზიკური ნივთის ძიება, არამედ სულიერი საწყისების ძებნა, ღვთის, სულიერი ცნობიერების განვითარების გარკვეული დონის ძიება, რომელიც ანტიკურ მისტერიებში გადმოცემულია როგორც კოლხეთში მდებარე ოქროს საწმისის ძიება.

თავდაპირველად ოქროს საწმისი საბერძნეთში იყო, მაგრამ ეს ის პერიოდია, როდესაც აქ ყვავის პელაზგების დიდებული ცივილიზაცია, კერძოდ კი პელაზგური არგოსის კულტურა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მითოსში შემთხვევითი არაფერი არ არის. არც ის არის შემთხვევითი, რომ ბერძნების ხომალდს ''არგო'' ჰქვია, რადგან ის თავისი ძირით პროტოიბერიულიდან და კოლხურიდან მომდინარეობს არგო, არგვეთი, ეგრისი. ''გრ'' ფუძე ხომ სუფთა პროტოიბერიულია. ლაშქრობა კოლხეთში სიმბოლურად ნიშნავს ლაშქრობას სულიერი ანუ მისტერიული სიბრძნის მოსაპოვებლად, რომელიც იმჟამად შემონახული იყო მხოლოდ კოლხეთში და აღარ არსებობდა არც საბერძნეთში და არც ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში. როგორც აღვნიშნეთ, ხმელთაშუა ზღვის აუზის მთელი ტერიტორია დასახლებული იყო პროტოიბერიული მოსახლეობით, რომელმაც ბერძენთა მოსვლის მომენტისათვის, ძვ.წ. XVI საუკუნისათვის შექმნეს ადრეულ ბრინჯაოს დიდი ცივილიზაცია. ამ პერიოდში პროტოიბერიული სამყაროს ორი ძირითადი კერა არსებობდა აღმოსავლეთში, მეფე აიეტის კოლხეთი, ხოლო დასავლეთში მეფე მინოსის კრეტა. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ბერძნულ მითოსში ეს ორი მეფე ერთმანეთის მონათესავეა და მინოსს ცოლად ჰყავს აიეტის და პასიფაე. მაგრამ ამ ორიდან უფრო დიდი მნიშვნელობა და გავლენაც ამ უკანასკნელს კრეტას გააჩნდა. საოცარია ამ კუნძულის ისტორია, რომელიც ამავე დროულად პროტოიბერიული მოდგმის ისტორიაც არის.

ხმელთაშუა ზღვის კულტურათა განვითარებისა და ჩამოყალიბების საქმეში თვით ბერძნები საკმაოდ მოკრძალებით აფასებდნენ თავიანთ დამსახურებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბერძნული ლეგენდები და თქმულებები, რომელთაც ელინები თავისი ისტორიის ნაწილად განიხილავდნენ, მოგვითხრობდნენ მაღალგანვითარებული წინაბერძნული ტომების პელაზგების, კარიელების, ლელეგებისა და სხვათა შესახებ, და ამტკიცებდნენ, რომ ძვ.წ. II ათასწლეულში კუნძულ კრეტაზე საოცარი ცივილიზაცია არსებობდა, რომელიც ბერძნებისათვის თავისი განვითარების მაღალი დონის გამო მუდამ იდუმალებით იყო მოცული.

აქვე გვინდა ცოტა უკან დავიხიოთ და პრომეთეს მითს დაუბრუნდეთ. პრომეთეს მითში აღსანიშნავია კიდევ ერთი ფრიად საინტერესო მომენტი. მითოსის მიხედვით სწორედ პრომეთე არის პირველი ხალხის შემქმნელი (სხვადასხვა მითის თანახმად ან ზევსის ნებით ან საკუთარი სურვილით. უძველეს მითებში, საკუთარი სურვილით) და თავისი მონაწილეობით შექმნილი კაცობრიობის კეთილისმყოფელია.

ზევსი ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ სპობს ამ მოდგმას მოდგმას, რომელიც პრომეთეს მიერ არის შექმნილი და პროტოიბერიულ სამყაროს წარმოადგენს. მითოსის მიხედვით კაცთა თავხედობით განრისხებული ზევსი გადაწყვეტს ამ მოდგმის სრულ განადგურებას და ამისათვის წარღვნას მოავლენს ქვეყანაზე. მაგრამ პრომეთემ მაინც მოახერხა და თავის შვილს დევკალიონს შეატყობინა მომავალი საფრთხის შესახებ და მომზადებაში დაეხმარა. წარღვნის შემდეგ, რომლის შედეგად პრომეთეს მიერ შექმნილი მოდგმა დაიღუპა, გადარჩნენ მხოლოდ დევკალიონი და მისი მეუღლე პირა. სწორედ ამ წყვილისაგან მომდინარეობს ბერძნული მოდგმა. წყვილს ცოტა ხანში ეყოლათ ვაჟი ჰელენოსი (ბერძენთა ზოგადი სახელი), რომელსაც თავის მხრივ ეყოლა სამი ვაჟი ეოლოსი, ქსუთოსი და დოროსი. ამ სამმა შემდგომში სათავე დაუდეს ბერძნულ სხვა ტომებს ეოლოსი თესალიაში მცხოვრებ ეოლიელებს; ქსუთოსი მითის მიხედვით დასახლდა პელოპონესში, სადაც შეეძინა ორი ვაჟი აქეოსი აქეველების მამამთავარი და იონოსი იონიელების წინაპარი; დოროსმა სათავე დაუდო ბერძენთა კიდევ ტომს დორიელებს. როგორც ვხედავთ ყოველივე ეს მოხდა პროტოიბერიულის განადგურების, მისი დაცემის შემდეგ და ამასთან მის ნაშთებზე, რადგან ბერძენთა ყველა მამამთავარი ჰელენოსი და მისი ვაჟები მომდინარეობენ პროტოიბერ დევკალიონის და პირასაგან.

მეცნიერებს ყოველივე ეს დიდხანს მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ. მაგრამ ამ ტრადიციული პოზიციის არსებითი გადასინჯვა გასული საუკუნის 70იანი წლებიდან დაიწყო და ამაში ''ბრალი მიუძღვის'' არა რომელიმე აღიარებულ მეცნიერს, არამედ დილეტანტს, არაპროფესიონალ არქეოლოგს ჰაინრიხ შლიმანს, რომლის სახელი ყველაზე უფრო გაბედული ოცნების განხორციელების სიმბოლოდ იქცა.



ჰაინრიხ შლიმანის ცხოვრების გზის დასაწყისი არაფრით არ ყოფილა დაკავშირებული ძველი სამყაროს საიდუმლოებათა ამოცნობასთან. მშობლებმა იგი თავიდანვე სავაჭრო საქმეს აზიარეს და, შეიძლება ითქვას, შვილმა წლების განმავლობაში მთლიანად გაამართლა მათი იმედები. ბედმა იგი პეტერბურგში მოახვედრა და ყირიმის ომთან დაკავშირებული კომერციული ოპერაციების წყალობით მილიონერად აქცია. და სწორედ მაშინ, როდესაც საოცარი სიმდიდრე მას კომერციის სფეროში ახალი სიმაღლეების დაპყრობის სრულ საშუალებას აძლევდა, შლიმანმა მთელი თავისი ქონება რომანტიკული ოცნებების განხორციელებას მოახმარა. მას, ენებისადმი საოცარი მიდრეკილებას მქონეს, ჰომეროსის პოემების ''ილიადასა'' და ''ოდისეას'' ორიგინალში მრავალგზის გადამკითხველს, ჰქონდა აკვიატებული აზრი, რომ ბერძნული ეპოსის ცნობები ჰომეროსის ტროას შესახებ ისტორიულ რეალობას შეესაბამება. თავდაპირველად შლიმანს დაცინვით შეხვდნენ. სამეცნიერო საზოგადოების მიერ ''უცნაურ კაცად'' შერაცხული შლიმანი მიუხედავად სკეპტიკოსთა დაუფარავი დაცინვისა, გაემართება თურქეთში და ჰისარლიკის მაღლობზე, სადაც ანტიკურ წყაროთა მიხედვით ტროა უნდა არსებულიყო, 1870 წელს იწყებს გათხრებს. სულ მალე ბედი მის გაბედულებას და თავდადებას საოცრად დააჯილდოებს. იგი აღმოაჩენს უძველესი დასახლების ორ შრეს, რომელთაც დღეს ტროა I და ტროა II ეწოდებათ. ბრწყინვალე და მდიდარი ტროა II შლიმანმა ჰომეროსის ტროად გამოაცხადა.

თითქოს შლიმანმა დაანათლაო, ეგეოსის ზღვის აუზში მიმდინარე გათხრებმა მალე მსოფლიო საზოგადოება ახალი მოულოდნელი აღმოჩენებით გააოცა. პირველ რიგში ეს ითქმის არტურ ევანსის მიერ 1900 წლიდან წარმოებულ გათხრებზე კუნძულ კრეტაზე, ლეგენდარულ კნოსოში, რომელმაც გამოავლინა საოცრად დახვეწილი და მაღალი დონის კულტურა. იგი თავისი რაფინირებულობითა და ჰარმონიული ხასიათით მკვეთრად გამოირჩევა ყველა დროის მსოფლიო კულტურებში. გამოკვლევების შედეგად, ნათელი გახდა, რომ ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისის ძველი ბერძნული კულტურა უფრო პრიმიტიული ადრეული საზოგადოების წიაღში კი არ აღმოცენდა, არამედ მაღალგანვითარებული პროტოიბერიული ცივილიზაციის ნანგრევებზე.

დღეს მკვლევართა დიდი ნაწილი იზიარებს იმ აზრს, რომ ეგეოსური მოსახლეობის ფორმირების პროცესს დიფერენცირებულად უნდა მიდგომა. ამ რეგიონში უძველესი დროიდან ცხოვრობდა ადამიანი, ხოლო ნეოლითიდან, ძვ.წ. VII ათასწლეულიდან ეგეიდა უძველესი კულტურების აღმავლობის ასპარეზად იქცა. როგორც ირკვევა, ნეოლითური კულტურის მატარებელმა პირველმა ტომებმა კრეტაზე ფეხი უკვე VII ათასწლეულში დაადგეს და თავისი დიდებული ცივილიზაციის შექმნას შეუდგნენ. სწორედ ამ ცივილიზაციის წიაღში ჩამოყალიბდა ძვ.წ. II ათასწლეულში ბრწყინვალე შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ეგეოსური კულტურები. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხმელთაშუა ზღვის, და განსაკუთრებით ეგეოსის ზღვის აუზი სხვადასხვა წარმომავლობის ხალხთა არაერთი გადაადგილების მომსწრე გამხდარა და ყოველი ასეთი მოძრაობა ალბათ თავის კვალს ტოვებდა ადგილობრივი მოსახლეობის ფორმირების პროცესში. მაგრამ როგორც ირკვევა ეგეიდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა სამხრეთაღმოსავლეთ მცირე აზიიდან ხალხთა იმ ნაკადის თანდათანობით დიფუზიას, რომელმაც ნეოლითისა და და ადრებრინჯაოს ხანაში თითქმის მთელს ხმელთაშუა ზღვის აუზში გარკვეული ენობრივკულტურული ერთიანობა შექმნა. ამ სამხრეთაღმოსავლური მიგრაციების საწყის რეგიონად ჯ. მელაარტის გათხრების შემდეგ თანამედროვე თურქეთის სამხრეთ ნაწილში მდებარე ჩათალჰუიუქს მიიჩნევენ, სადაც აღმოჩენილი იქნა ცნობილი ნეოლითური სადგომი (ძვ.წ. 76 ათასწლეული). ცნობილმა არქეოლოგმა ფურნიემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ წინაბერძნული კულტურის მასალებში შეიძლება საკუთრივ ქართველური ენობრივი ელემენტების გამოყოფა. უფრო მეტიც, ზოგჯერ ეს ელემენტები იმ თავისებურებებს გვიჩვენებს, რაც დასავლეთქართველური დიალექტებისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და რამაც შემდგომ თავისი კანონზომიერი, ჩამოყალიბებული სახე ზანურში მიიღო.

მეცნიერებაში თანდათანობით იკრეფს ძალას მოსაზრება, რომ ამ ელემენტთა გაჩენა წინაბერძნულ სამყაროში ქართველური ტომების ერთი ნაწილის ეგეიდაში ძვ.წ. IIII ათასწლეულთა მიჯნაზე მიგრაციით უნდა აიხსნას. პელასგები, რომლებიც ბერძნულ მითოლოგიური ტრადიციის მიხედვით ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ჩნდებიან ასპარეზზე არიან სწორედ ამ ''ქართველ'' ემიგ-

# საქართველო გიყვარდეთ!

რანტთა მემკვიდრეები. ამ მოსაზრებისათვის მხარის დაჭერა შეუძლია იმ გარემოებასაც, რომ ქართველური ელემენტები თავს იჩენს არა მარტო ეგეიდაში, არამედ ყველგან სადაც გავრცელებული იყვნენ პელასგები და ეტრუსკები. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ წინაბერძნულში დადასტურებული ქართველურის მსგავსი მრავალი ფორმა იმ ვითარებას კი არ ასახავს, რაც ქართველური ენების დაშლამდე უნდა გვქონოდა, არამედ იმას რაც ამ ენათა დიფერენციაციის შემდგომ იჩინეს თავს. ამის ახსნა კი მხოლოდ შემდეგნაირად შეიძლება: ეს ტერმინები კავკასიიდან შევიდნენ ეგეიდაში და არა პირიქით. ამჟამად გამოვლენილია 200ზე მეტი ამგვარი ლექსიკური შესაბამისობა. მაგრამ გარდა ლექსიკური იდენტურობისა, საინტერესოა ქართველური ტიპის ძველი გეოგრაფიული სახელწოდებების დადასტურება ეგეიდაში. მაგ. კორინთოსი და ქართ. კორინთა, კარალია და ქართ. კარალეთი და ა.შ. უკვე დიდი ხანია მკვლევართა ყურადღებას იწვევს კრეტის დასახლების “კვიტაონ“ის მსგავსება ქუთაისის ბერძნულ წყაროებში დადასტურებულ სახელწოდებასთან “კვიტაია“..

ახლა კი დაუბრუნდეთ პროტოიბერიულ კრეტას. ეგეოსის ზღვის აუზის ამ ულამაზეს კუნძულს ბერძნული ლეგენდები არაერთ იდუმალებით მოცულ ამბავს უკავშირებდნენ. უკვე ჰომეროსი იცნობს “ასქალაქა“ კრეტას, რომელზეც მრავალი ტომი ბინადრობს. ლეგენდარული მინოსის სახელი, რომელსაც დიდხანს ჰყოლია ბერძნები მორჩილებაში, თვით კლასიკური ეპოქის ელინთაგანაც კრძალვით წარმოითქმოდა. შორს იყო განთქმული მისი ოსტატის დედალოსის დიდება. მას მიეწერებოდა ლაბირინთის, ბერძენთათვის ბოლომდე გამოცანად დარჩენილი ნაგებობის აშენება, სადაც კრეტელთაგან დამორჩილებული ათენელები საშინელ ურჩხულს ხარკაცა მინოტავრს შესაჭმელად უგზავნიდნენ ნარჩევ ვაჟებსა და ქალებს მანამდე, ვიდრე მინოსის ასულის არიადნეს სიყვარულის შემწეობით თესევსმა არ მოჰკლა ურჩხული და არ დაიხსნა სამშობლო სამარცხვინო ხარკისაგან. დედალოსსავე მიეწერებოდა ადამიანის დიდი ხნის ოცნების ცაში აფრენის პირველად განხორციელება.

პირველი რაც თვალში ხვდება ადამიანს მინოსური კულტურის შესწავლისას, არის ცივილიზაციის თანაბრად მაღალი დონე კუნძულის თითქმის ყოველ ნაწილში, სტილის ერთიანობა, ქვისაგან ნაგები მშვენიერი გზების ფართო ქსელი მთელ კუნძულზე და რაც მთავარია, დღემდე აუხსნელი მინოსური ცივილიზაციის მშვიდობიანი ხასიათი. ცნება “აც ინოიცა” “მინოსური მშვიდობა“ დამკვიდრდა მეცნიერებაში იმ სრულიად განსაკუთრებული ვითარების აღსანიშნავად, რომელიც კუნძულზე სუფევდა დაახლოებით 500 წლის განმავლობაში. აქ არ ყოფილა არც ერთი ციხე, არავითარი ნიშანი იმისა, რომ კრეტის მოსახლეობას მინოსურ პერიოდში ვინმესთან ომი ეწარმოებინოს, არსად ხელოვნებაში გარკვეულ პერიოდამდე არ ჩანს არამცთუ ომის თემა, არამედ უბრალოდ საომარი იარაღიც კი. კრეტაზე საკმაოდ მაღალ დონეზე იყო განვითარებული რელიგია. უმთავრეს ღვთაებას თუ ერთადერთს არა, წარმოადგენდა დედაღმერთი, რაც საერთოდ დამახასიათებელია მთლიანად პროტოიბერიული სამყაროსათვის. როგორც გვახსოვს კოლხეთში, ფასისის შესვლელთან ნაპირზე აღმართული იყო უზარმაზარი დედაღმერთის ქანდაკება. ქალს კრეტულ კულტურაში, ისევე როგორც პროტოიბერიული სამყაროს სხვა ნაწილებში, ძალზედ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.



მაგრამ დაახლოებით ძვ.წ. 16 საუკუნის მეორე ნახევარში პროტოიბერიული მოდგმისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. კრეტას მახლობლად მდებარე პატარა კუნძულ ტირაზე ვულკან სანტორინის ამოფრქვევა მოხდა, რომელიც მეცნიერთა მიერ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ძლიერი ამოფრქვევად ითვლება. სანტორინის კატასტროფა, რომლის მასშტაბები ძნელად წარმოსადგენია, გამანადგურებელი აღმოჩნდა პროტოიბერიული კულტურის მთავარი კერისათვის. მართალია, ამ კატასტროფას მინოსური კრეტა მთლიანად არ წაულეკავს, მაგრამ კატასტროფის შედეგად განადგურდა კრეტელთა ძლიერებისა და კეთილდღეობის საყრდენი მათი ცნობილი ფლოტი, მოისრა მრავალი დასახლებული პუნქტი, დაქვეითდა ფერფლით მოფენილი ვრცელი ტერიტორიების ნაყოფიერება. ყველაფერმა ამან ბოლოს და ბოლოს კრეტელებს გამოულია ის ენერგია, რომელმაც მათ თითქმის 15 საუკუნის განმავლობაში, ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის პერიოდში, ძველი სამყაროს ყველაზე უფრო რაფინირებული და თვითმყოფადი ცივილიზაცია შეაქმნევინა. სწორედ ამ ენერგიის წყალობით შეძლეს მათ სანტორინის კატასტროფამდე 200 წლით ადრე, ძვ.წ. 1700 წლის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ არა მხოლოდ ნანგრევებიდან აღედგინათ ქალაქები, არამედ კიდევ უფრო მაღალ დონეზე აეყვანათ თავიანთი კულტურა. კიდევ უფრო მეტი ძალა და გავლენა მოეპოვებინათ. მაგრამ სანტორინის კატასტროფამ საბოლოო წერტილი დასვა. სწორედ ეს კატასტროფა აისახა ბერძნულ მითებში დევკალიონის წარღვნის სახით, რომლის დროს პრომეთეს მიერ შექმნილი მოდგმა (პროტოიბერიელები) ნადგურდება და მის ნაცვლად ასპარეზზე გამოდის ჰელენოსი და მისი ვაჟები ბერძნული ცივილიზაციის მამამთავრები.

ახლა კი დაუბრუნდეთ “ბერძნული“ მითების სამყაროს. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, მათ საფუძვლად ედო პროტოიბერიული, კერძოდ კი პელაზგური მითოსი. ძვ.წ. მე15 საუკუნეში მინოსური კრეტას განადგურებამ დასაბამი მისცა ბერძნულ ცივილიზაციას, რომელმაც თავის მხრივ ეზიარა პელაზგურ სიბრძნეს და თავისებურად დაამუშავა იგი. მაგრამ მიუხედავად ელინისტური “დამუშავებისა“ მითებში მაინც შეიმჩნევა პროტოიბერიული კულტურის ზეგავლენა. უდიდესი ბერძნული გმირები, თეზევსი, ჰერაკლე და იასონი იმ ქვეყნებში ლაშქრობენ სულიერი სიბრძნის მოსაპოვებლად, რომლებიც წარმოშობით პროტოქართული პროტოიბერიულია (აქილევსიც უდიდესი გმირია, მაგრამ იგი დაბადებით პელაზგია, ამიტომაც მას არ ჭირდება არსად “სიარული“). ასეთი არის მინოსური კრეტა თეზევსის ჩასვლა მინოსთან, ლაბირინთში შესვლა, მინოტავრის მოკვლა და ლაბირინთიდან გამოსვლა არის სწორედ იმ სულიერ სიბრძნესთან ზიარება, რომელიც ბევრად უფრო ძველი და ამაღლებულია ბერძნულზე. ასეთივეა კოლხური კულტურაც, რომელიც არგონავტების ჟამს უფრო მაღლა დგას ბერძნულზე, რაც აიძულებს 50 საუკეთესო ბერძენ ვაჟკაცს აიეტთან წავიდეს სიბრძნის ოქროს საწმისის სათხოვნელად. ჰერაკლეც ხომ დაკავშირებულია პროტოიბერულ მოდგმასთან. მისი უკანასკნელი ლაშქრობა არის ჰესპერიდების ბაღში ჩასვლა და იქიდან ოქროს ვაშლების წამოღება. დაუკვირდით, იმ გარემოებას რომ ჰესპერიდების ბაღი ძველად იბერიად წოდებულ ესპანეთშია, ხოლო ვაშლებს დამცველის როლს იაფეტის შვილი, ატლასი ასრულებს, პირველი, ვინც მეცნიერულად შეისწავლა ციური მნათობები. ასე რომ, იაფეტის შვილები, პრომეთეც და ატლასიც ფლობენ წინასწარ მეტყველების უნარს. როგორც ვხედავთ, თვით ჰერაკლეც, ბერძენთა შორის უდიდესი გმირი მიდის პროტოიბერიულ სამყაროში, რათა იქიდან მისტერიული სიბრძნე წამოიღოს. პრომეთეს მხსნელი ჰერაკლე ამავე დროს მისი საქმის გამგრძელებელიც არის. ჰერაკლე არის მისტერიათა სინკრეტული კულტურის ახალ საფეხურზე ამყვანი გმირი და ისიც ეკუთვნის წინარებერძნულ, პელაზგურიბერიულ სამყაროს, ძველ იბერიულ მისტერიებს. ჰერაკლე, ძველ იბერთა უძველესი მზიური ღვთაება გმირი, ძველ იბერთა ბელადი, მჭიდროდ არის დაკავშირებული იბერების ერთერთ უძველეს სამშობლოსთან, პირენეებთან. მითი ჰერაკლესა და მისი სატრფოს პირენეს შესახებ, რომელიც დაიღუპა პირენეებზე (აქედან მომდინარეობს ამ ნახევარკუნძულის სახელწოდებაც) ასახავს კავშირს ჰერაკლესა და ამ არეალს შორის, ისევე როგორც ამას მოწმობს გმირის მეათე და მეთერთმეტე გმირობის ისტორია. შემთხვევით როდი ეწოდება გიბრალტარს ჰერაკლეს კარიბჭეს. გარდა ამისა ჰერაკლე პელაზგური არგოსიდან არის გამოსული. ჰერაკლე პერსევსის ძეა, რომელმაც დააფუძნა ნათელმხილველური პელაზგური კულტურა და შემდეგ გადაიყვანა ათენელთა ჰელენურ კულტურაზე. ჰერაკლე ცხებულია ჰერასი, უძველესი პელაზგურიბერიული ქალღმერთისა, რომელიც წინასახეა იზიდასი, სოფიისა, ხოლო ქრისტიანული გაგებით ღვთისმშობლისა. ამავე დროს ჰერაკლე ზევსის ძეა, ვინაიდან მან აგრეთვე აითვისა და შეისისხლხორცა ზევსური, ანუ ინდოევროპული კულტურაც.

აღსანიშნავია, რომ პროტოქართული (იაფეტური) მოდგმა ჯერ კიდევ ანტიკური მითოლოგიური წარმოდგენების მიხედვით აღიარებულია მიღმა სამყაროში გარდასული კაცობრიობის მსაჯულად. ამას ნათელყოფენ მითები იაპეტოსის, რადამანტისისა და მინოსის შესახებ. იაფეტიდი პირველმეფე მინოსი (მინოსი “აზრის მატარებელს“ ნიშნავს) რომელსაც კოლხთა მეფის აიეტის და პაციფაე ჰყავდა ცოლად, ჰომეროსის “ოდისეაში“ ფიგურირებს, როგორც ჰადესში გარდაცვლილთა მსაჯული, რაც შუასაუკუნებროვ ტრადიციაშიც გადავიდა (დანტეს “ღვთაებრივი კომედია“). მინოსის ძმა, რადამანთისი ელისეს ნეტართა ველის მსაჯულია კრონოსთან და იაპეტოსთან ერთად (რადამანთისი მითოსის მიხედვით სისხლის აღების წესის დამკანონებელია).

* * *

*“სამუდამოდ უკუგდებული უნდა იქნას აზრი ქართული ანბანის მეხუთე საუკუნეში გამოგონების შესახებ და განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში უნდა ვეძიოთ.“*

ივანე ჯავახიშვილი,

“ქართული პალეოგრაფია“

აქვე გვინდა შევეხოთ, პროტოიბერიული სამყაროს უდიდეს მიღწევას დამწერლობას. როგორც ცნობილია დამწერლობა და ანბანი წარმოადგენს რომელიმე მოცემული კულტურის განვითარების მწვერვალს. მსოფლიოში დაახლოებით 5000 ერი არსებობს, მაგრამ ამავე დროს მხოლოდ 14 ანბანია. ხომ წარმოგიდგენიათ თუ რას ნიშნავს ნებისმიერი კულტურისათვის თავისი საკუთარი ანბანის შემუშავება და მისი ფლობა. ფინიკიელები აღარ არსებობენ, მაგრამ მათი ანბანი დღემდე არსებობს ბერძნულის, ლათინურის და მათგან წარმოქმნილ ანბანების სახით, რომლებიც კაცობრიობის უდიდეს მონაპოვრად არიან აღიარებული.

ისტორიულად ითვლება, რომ პირველი ანბანის შემქმნელები შუმერები არიან, რომლებმაც ძვ.წ. 3 ათასწლეულში საკუთარი დამწერლობა შექმნეს. სამწუხაროდ დღემდე დაუდგენელია ამ საოცარი ერის ნათესაური კავშირები, საიდან გაჩნდნენ ან სად გაქრნენ ისინი, თუმცა არსებობს მეტად საყურადღებო ვერსიები, რომლებსაც ჩვენ მეტ ნაკლებად შევეხეთ.

ახლა კი ქართული ანბანის ზოგიერთ საკითხს შევეხოთ. როგორც ცნობილია, ქართული უძველესი წარწერა მხოლოდ ჩვ.წ. 4 საუკუნითაა დათარიღებული, თუმცა ანბანის შექმნა მიეწერება საქართველოს პირველ მეფეს ფარნავაზს, რომელიც ძვ.წ. 43 საუკუნეში მოღვაწეობდა.

მაგრამ ჩემი აზრით, უკვე დროა ხმამაღლად განვაცხადოთ, რომ ქართული ანბანი არც ჩვ.წ. 4 საუკენეშია შექმნილი და არც ძვ.წ. 4სი. იგი უფრო ძველია, ვიდრე რომელიმე სხვა ანბანი მსოფლიოში და უშუალოდ ენათესავება შუმერულს. ქართული ანბანი მემკვიდრეა შუმერულისა, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენდა პროტოიბერიული ანბანის სახესხვაობას.

ანბანსა თუ დამწერლობაზე საუბრის დაწყებისთანავე პირველი რაც წარმოგვიდგება თვალწინ წიგნია, რომელიც ნებისმიერი ცივილიზაციის უმაღლესი განვითარების სიმბოლოა. ქართულ ანბანის შესახებ საუბრის დაწყებამდე, გვინდა მცირე ხნით ყურადღება შევაჩეროთ ქართული სიტყვა “წიგნის“ ეტიმოლოგიაზე.

მთელ რიგ მეცნიერს მიაჩნია, რომ “წიგნი“ ქართული სიტყვა არაა და იგი ბერძნულლათინური “შიგნუმ“ისგან მომდინარეობს, რასაც ქართულ ზეპირსა და ლიტერატურულ მეტყველებაში მიუღია ფონეტიკურვარიაციული სახე “წიგნი“. სიტყვა “წიგნი პირველად მოხსენიებულია ერთერთ

ყველაზე ადრინდელ ქართულ წერილობით ძეგლში სევერიან გაბალოვნელის 'ექვსთა დღეთაში'', რომელიც მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში უთარგმნიათ და პირველ ქართულ ორიგინალურ თხზულებაში ''შუშანიკის წამებაშია'' მოხსენიებული ''თანა წარიტანა ევანგელე და წმინდანი იგი წიგნი მოწამეთა''

ჩვენი აზრით ფრიად საყურადღებოა აკადემიკოს რისმარგ გორდეზიანის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც მჭიდრო კავშირშია პროტოიბერიული ცივილიზაციის თეორიასთან. ბატონი რისმარგ გორდეზიანი, ემყარება რა ვ. ივანოვის დაკვირვებას, აცხადებს ''ქართული ''წიგნის'' წარმომავლობა ახლოსაა ეტრუსკულ ფუძესთან ძიხ (წიგნი) და ჩრდილოდასავლეთ კავკასიის ''წერ'' ძირთან. თუ გავითვალისწინებთ ცნობილ გარემოებას, რომ ეტრუსკები იმ 30მდე დასახელების წინარე ქართველური ანუ კოლხურპელაზგური მოდგმის წარმომადგენლები არიან, რომელთაც ეჭირათ კავკასიის, მცირე აზიის, ბალკანეთის და აპენინების ნახევარკუნძულები ბერძნების გამოჩენამდე, ადვილია ვივარაუდოთ, რომ ''წიხ'' წინაბერძნული ანუ პროტოიბერიული მოსახლეობის სიტყვაა. ფილოლოგების მიერ დამტკიცებულია, რომ ''ზ'' ფონემა ეტრუსკული ტრანსლიტერაციით იკითხება, როგორც ქართული ''ც'', ხოლო ''ხ'' კი შეესატყვისება ''გ'' და ''კ'' ბგერებს. აქედან გამომდინარე, ''ძიხ' წარმოითქვის როგორც ''ციგ'', მაშასადამე, სახეზეა ეტრუსკული ''ციგ''ის და ქართული ''წიგ'' ფუძების ეტიმოლოგიური ნათესაობა. ქართულეტრუსკული სიტყვაცნებების ფონეტიკური შინაარსობრივი იდენტურობა არ უნდა იწვევდეს გაოცებას, რადგან დღეს მეცნიერებს მოეპოვებათ სარწმუნო წყაროები, მიგნებები და მოსაზრებანი იმის თაობაზე, რომ ქართველთა წინაპრები იდგნენ ბერძნებამდელი ცივილიზაციის ანუ კავკასიურხმელთაშუაზღვისეული (მედიტერანული) კულტურის აკვანთან. დადგენილია 5000 სიტყვის ძირი და 300-მდე სიტყვაცნება, რომლებსაც ხმარობდნენ მესამე ათასწლეულში შუამდინარეთის, მცირე აზიის, კონტინენტური საბერძნეთის ტერიტორიებზე განსახლებული ტომები. ეს სიტყვები იმავე მნიშვნელობითა და ფონეტიკური ჟღერადობით აღინუსხებიან დღევანდელ ქართველურ ლექსიკაში ქართულში, მეგრულში, ლაზურჭანურსა და განსაკუთრებით სვანურში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, როდესაც წიგნზე იწყება საუბარი, ჩვეულებრივ ნაგულისხმევია დამწერლობა.

პალეოგრაფიულ მეცნიერებაში გამოიყოფა ანბანის შექმნამდე არსებული, დამწერლობის წინარე ორი საფეხური პიქტოგრაფიული (ნახატებით) და იდეოგრაფიული (ცნებასქემებით) წერა, რომელთა ნიმუშები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია აღმოჩენილი და შესწავლილი. ეს ძეგლები III ათასწლეულითაა დათარიღებული, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ადრეულ ქართულ დამწერლობას ანუ მწიგნობრულ კულტურას დიდი ტრადიციები აქვს. ამასთან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერებაში თანდათან ფეხს იკიდებს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ კაცობრიობის პირველი დამწერლობა შუმერული ანბანი გენეტიკურად ქართულ ასომთავრულს უკავშირდება.

შორეულ წარსულში, არსებობდა ერთი ფრიად საინტერესო დაუწერელი კანონი ერი, რომელსაც შესწევდა ძალა შეექმნა დამწერლობა, აუცილებლად ძლევამოსილი და დამოუკიდებელი იქნებოდა.

საინტერესოა, როგორ გამოიყურებდნენ ამ მხრივ ჩვენი წინაპრები? ქართველთა შესახებ ყველაზე არქაული ცნობები შემონახული აქვს მითოლოგიურ თქმულებას არგონავტების შესახებ, რომელიც ჰომეროსამდელი ეპოქის ძეგლად, კერძოდ XIVXIII საუკუნეების კუთვნილებად ითვლება.

თქმულება გვაუწყებს, რომ დასავლეთში დიდი ბრძანებელი ყოფილა კრეტის მეფე მინოს, ხოლო აღმოსავლეთში კოლხეთის მეფე აიეტი. ფეაკების მეფე ალკინოე არწმუნებს დედოფალს, რომ ''მეფე აიეტის მოურიდებლობა არ ივარგებს. მასზე უძლიერესი მეფე არვინაა. მართალია შორსაა, მაგრამ თუ მოისურვებს ელადას ომს გამოუცხადებსო''. აქედან გამომდინარე, აიეტი იმდროინდელი მსოფლიოს ორ უძლიერეს მეფეთაგან ერთერთია, არავისზე დამოკიდებული და ძლევამოსილი. ამიტომ, ბუნებრივია, თუ ვფიქრებთ, რომ ასეთ ძლიერ მეფეს შეეფერება ჰქონდეს საკუთარი დამწერლობა ძლიერებისა და მისტერიული ცოდნის სიმბოლო. მართლაც, იმდროინდელ სამყაროში, დამწერლობა ღვთაებრივ მოვლენად იყო მიჩნეული. ეგვიპტეში მას საკუთარი ღმერთი ჰყავდა სიბრძნის ღვთაება ტოტი, რომელსაც ეგვიპტელთა უზენაესი ღმერთის რას სიტყვების ჩასაწერად ეგვიპტური იეროგლიფები შეუქმნია თურმე. შემთხვევითი როდია, რომ ბერძნები იეროგლიფებს ''ღვთიურ ამონაკვეთებს'' უწოდებდნენ, ხოლო ერთერთი უძველესი ებრაული მითი გვამცნობს, რომ ''ღმერთმა შექმნა ასოები. უზენაესს სიამოვნებდა ასოებზე ფიქრი და შეჰხაროდა მათ, თითოეულ ასონიშანს თავადვე მიუჩინა რიგმიმდევრობა.''

დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ აიეტს გააჩნდა თავისი დამწერლობა! გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილი თავის წიგნში ''ქართული პალეოგრაფია'' წერდა ''სამუდამოდ უკუგდებული უნდა იქნას აზრი ქართული ანბანის მეხუთე საუკუნეში გამოგონების შესახებ და განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შორეულ წარსულში და მცირე აზიაში უნდა ვეძიოთ. ქართული ანბანის მოხაზულობა ისეთია, რომ ის არ შეიძლება წარმართობის ხანის არ იყოს... და არამცთუ წარმართული ხანას, უძველეს ხანას ეკუთვნის''.

დიდი მეცნიერის ეს აზრი ნიშანდობლივი გამოხმაურებაა იმისა, რასაც ქართული დამწერლობის შესახებ ადასტურებს რამდენიმე ანტიკური წერილობით ინფორმაცია, შემონახული მითოლოგიურ თქმულებაში არგონავტების შესახებ, რომელიც ეპიურ თხზულებად ''არგონავტიკად'' აქცია ძვ.წ. III საუკუნის სწავლულმა აპოლონიოს როდოსელმა. პოემა ''არგონავტიკა'' თავისი უმდიდრესი და უძველესი ცნობების მომცველი სქოლიოებით, უძვირფასესი დოკუმენტია ქართული (კოლხური) არქაული კულტურის წარმოსაჩენად. დამწერლობის თვალსაზრისით აქ ყურადღებას იქცევს სამი მოვლენა ''კოლხური კვირბები'', ''აიეტის სამისნო სამფეხი'' და ''ოქროს საწმისი''.

განვიხილოთ თითოეული მათგანი. არგონავტიკაში ვკითხულობთ: ''კოლხებს შემონახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები, რომლებზეც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი''.

ბერძნულად ''კვირბი'' ნიშნავს მაგარ საწერ მასალას დაფას, ფირფიტას, სტელას რომელზეც გარდა საზღვაო და სახმელეთო მინიშნებებისა იწერებოდა საკანონმდებლო, საკრალური და საღვთისმსახურო ტექსტები. კვირბებზე ჰომეროსის პოემებიც აღინუსხებოდა თურმე. მეცნიერთა დიდი ცდების მიუხედავად, სიტყვა ''კვირბის'' ახსნა ინდოევროპული ენების მეშვეობით ვერ მოხერხდა. ამასთან სტრაბონი ამ სიტყვას ქართულ მოვლენად მიიჩნევდა. სტრაბონი წერდა, რომ ''კორიბანტები, რომელთაც დამწერლობის კვირბების შექმნა მიეწერებათ, კოლხთაგან არიანო''

ისტორიკოსმა ვლ. სიჭინავამ ''კვირბი'' დააკავშირა ქართულ (მეგრულ) სიტყვასთან ''კირიბი'', რაც ნიშნავს კრავს, ბატკანს.

გიზო ჭელიძემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა ''ამ დაკვირვებას ''მახვილგონიერი'' უწოდა აკ. ურუშაძემ, თუმცა არ გაიზიარა იგი, რამეთუ ''კვირბი'' მაგარ საწერ მასალას ნიშნავდა და არა ტყავსო. ვფიქრობთ, ეს გარემოება არ უნდა ქმნიდეს დაბრკოლებას. ''კვირბკირიბი'' მართლაც მახვილგონიერი და სარწმუნო ეტიმოლოგიური შეწყვილებაა. ხომ დასაშვებია, რომ კრავის ტყავზე შესრულებული ნებისმიერი ტექსტი გამოიკვრებოდეს სტელაზე ან დაფაზე?''

სიტყვები ''კოლხებს შემონახული აქვთ მამათაგან ნაწერი კვირბები'' ეკუთვნის აიეტის შვილიშვილს, ქალკიოპეს ვაჟს არგოსს, იგივე აიეტის თანამედროვეს. გამოდის, რომ ლაპარაკია აიეტის წინაპრებზე, ე.ი. კოლხებს აიეტის ეპოქამდე ჰქონიათ დამწერლობა ''ნაწერი კვირბები''.

მეფე აიეტის კარზე რომ დამწერლობა პატივში ყოფილა, ამის მაუწყებელია სხვა ორი მნიშვნელოვანი მოვლენაც ''წარწერიანი სამისნო სამფეხი'' და საყოველთაოდ ცნობილი ''ოქროს საწმისი''. რომაელი სწავლული დიოდორე სიცილიელი (ძვ.წ. I ს.) მიუთითებს, რომ კოლხეთიდან წასულმა, ქარიშხლისგან გარიყულმა არგონავტებმა, ზღვის ღმერთს ტრიტონს ''საჩუქრად უბოძეს ძველი ასოებით ამოტვიფრული სპილენძის სამფეხი'', რომელიც, თამარ კობახიძის გამოკვლევით, წარმოადგენდა აიეტის საკუთრებას, მედეამ მამის სხვა ნივთებთან ერთად (სამეფო გვირგვინი, მოსასხამი) სასახლიდან რომ გაიტაცა. სამფეხზე შესრულებულ წარწერას მისნური ძალა ჰქონდა. იმაზეც მიანიშნებენ, რომ სამფეხის შეწირვის რიტუალი თავად მედეამ შეასრულაო. ჩვენთვის ამჟერად მნიშვნელოვანი ის არის, რომ ''სამფეხი'' წარმოადგენს ეპიგრაფიულ ძეგლს ''ზედწერილს'', რაც ''ნაწერ კვირბებთან'' ერთად განამტკიცებს აზრს კოლხური დამწერლობის არსებობის შესახებ.

აქვე გვინდა კიდევ დავსვათ ერთი შეკითხვა რას წარმოადგენს ''ოქროს საწმისი''?

''ოქროს საწმისი'' ზეციურღვთაებრივი სიმბოლოა! ოქრო მზის ღვთაების განუყრელი ატრიბუტი და მისი გამოხატულებაა, ხოლო ცხვარი უშუალოდ ღვთის ატრიბუტია. აქედან გამომდინარე, ''ოქროს საწმისის'' მოპოვებისათვის ბრძოლა ღვთაებასთან მიახლოების იდუმალ გზად უნდა იქნას გააზრებული. ''არგონავტიკის'' მთავარი მითოსურმხატვრული ღერძი ოქროს საწმისია, რომლის გასატაცებლად შესდგა საუკეთესო ბერძენ გმირთა ექსპედიციალაშქრობა. თქმულება მითოსური მოთხრობაა, რაც გულისხმობს რეალურისა და არარეალურის ჰარმონიულ მთლიანობაში წარმოსახვას. როგორც ტროას გათხრებმა დაადასტურა, ძალზედ ხშირად მითი ისტორიულ ფაქტებსაც ასახავს. არგონავტების თქმულებაც ამ მხრივ მეტისმეტად საგულისხმოა ქართული დამწერლობის სათავეების საძიებლად.

IVIII საუკუნის ბერძენმა სწავლულმა პალიფატემ დაწერა მითოგრაფიული ტრაქტატი, რომელიც დაკარგულია, მაგრამ გადარჩენილია ამ ტრაქტატზე დაყრდნობით შექმნილი უცნობი ავტორის ნაშრომი ''დაუჯერებელთათვის'', რომელშიც ხაზგასმით არის ჩაწერილი პალიფატეს სიტყვები:''კოლხეთში დაცული ტყავი, ნამდვილად ოქროს საწმისი კი არ იყო, ეს პოეტების მონაჭორია, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, თუ როგორ შეიძლება მივიღოთ ოქრო ქიმიის საშუალებით, თანამედროვეებმა შესაბამისად უწოდეს მას ოქროსი, მისგან გამომდინარე მოქმედების გამო''

დაახლოებით ამასვე გვაუწყებს ჩვ.წ. II საუკუნის ისტორიკოსფილოსოფოსი სარაქს პერგამონელიც, რომლის ცნობა დაუცავს ჩვ. წ. XII საუკუნის კომპილატორინტერპრეტატორ ევსტათი თესალონიკელს, და რომელიც წერს: ''სარაქსი ამბობდა, რომ ოქროს საწმისი იყო ეტრატზე აღნუსხული ხერხი ოქროს დამწერლობისა, რომლის გამოც არგოს ლაშქრობა მოეწყო''.

თესალონიკელზე სამი საუკუნით ადრე ''მსოფლიო ქრონიკის'' ავტორს იოანე ანტიოქელს თავის თხზულებაში პირდაპირ გადმოუტანია პალიფატეს ნათქვამი: ''ოქროს საწმისი წიგნი იყო ტყავზე ნაწერიო''. იგივე ცნობა დაცულია აგრეთვე ლექსიკოგრაფ სვიდას (ჩვ.წ. X ს.) ნაშრომშიც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველი საუკუნის XIVXIII საუკუნეებში, კოლხებს ჰქონდათ ეპიგრაფიკული დამწერლობა (სპილენძის სამისნო სამფეხი ''ძველისძველი ასოებით ამოტვიფრული'') და კრავის ტყავზე კვირბზე შესრულებული ''მამათაგან ნაწერი'' ტექსტები, და ასევე ''ეტრატზე აღნუსხული'' ანუ ''ტყავზე დაწერილი'' ოქროს საწმისი.

ამ საკითხის განხილვისას უნდა წამოიწიოს კოლხურპელაზგურ ტომთა გენეტიკურკულტურულტერიტორიული ერთიანობის საკითხი, რაც ქმნის ქართველთა წინაპრების მემკვიდრეობით ცნობიერებას. ეს კი საშუალებას გვაძლევს დამწერლობის საკითხს განსხვავებული სიბრტყიდან შევხედოთ.

ფრიც შახერმეიერი ამტკიცებს, რომ კრეტის (პელაზგთა) უძველესი ნაწარმოები ენა, იგივე ეგეოსური ენა, განეკუთვნება კავკასიურ ენათა ჯგუფს. რ. გორდეზიანი კი პელაზგურს ქართველური ენის სტრუქტურულ ენად თვლის. ისეთი დიდი ქართველი მკვლევარების, როგორც აკ. ურუშაძე, ნ. კეჭაღმაძე, თ. კობახიძე და სხვები, დაკვირვებით, დიოდორე სიცილიელი, თავის ''ისტორიულ ბიბლიოთეკაში'' ლაპარაკობს რა ჰომეროსის წინადროინდელ მწერლებზე, დასძენს, რომ ''ძველი პოეტების მასწავლებელი იყო ლინოსი, რომელმაც პელაზგური ასოებით აღწერა დიონისეს საქმენი და სხვა მითები''. ეს არის იგივე ე.წ. ''მინოსური დამწერლობა'' (კრეტის ლეგენდარული მეფის სახელიდან გამომდინარე). მიჩნეულია, რომ კოლხური და მინოსური დამწერლობანი ენობრივტომობრივად ნათესავი ხალხების შემოქმედებაა. ამიტომ მოსალოდნელია წერის ნიშნებად ორივე იდენტურ გრაფემებს გამოიყენებდნენ.

რა თქმა უნდა მინოსური დამწერლობის გაუშიფრაობა დიდად აძნელებს ამ კითხვებზე პასუხს, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ შეგვიძლია გავაგრძელოთ მსჯელობა.

რადგან ლინოსმა ''პელაზგური ასოებით აღწერა დიონისეს საქმენი'', ხოლო სამისნო სამფეხზე წარწერა ''ძველი ასოებით ყოფილა ამოტვიფრული'', ამიტომ პროტოიბერიულ მოდგმაში ფიქტოგრამებით წერა არაა მოსალოდნელი. იქნებ წერის ნიშნებად ასოსთან მიმსგავსებული გრაფემები იყო გამოყენებული. რადგან საქმე მეტისმეტად შორეულ დროს შეეხება, ანბანურ (ბგერობრივად დანაწევრებული) დამწერლობას ვერ ვიგულისხმებთ. სავარაუდოა, მხოლოდ ლოგოგრამული დამწერლობა, როცა ერთი წერის ნიშანი ერთ შესაბამის ''ლოგოსს'' სიტყვას ან ცნებას გამოხატავს.

ასეა თუ ისე, ქართული დამწერლობის ტრადიციები ივ. ჯავახიშვილის თქმის არ იყოს ''უძველეს ხანას ეკუთვნის''. ამ მხრივ საგულისხმო დაკვირვებები აქვს რამოდენიმე ქართველ მეცნიერს, მათ შორის ელ. მაჟავარიანს და ზ. ქაფიანიძეს.

ელ. მაჭავარიანი, ასომთავრული გრაფიკული სტრუქტურის განხილვის შედეგად, გამორიცხავს რომელიმე წინამორბედი (უცხო) დამწერლობიდან მის მომდინარეობას და ეროვნულ ანბანის გრაფიკულ საწყისებს (ასოთა კომპოზიციურ წყობას) უძველეს ქართულ არქიტექტურულ ძეგლებთან, კვადრატულ გეგმაზე დამყარებულ მათი აგების ტიპთან, ოთხკუთხოვანი კუთხური წყობით გადახურვის სისტემასთან აკავშირებს, რასაც თურმე ჰქონია გლეხურ არქიტექტურაში ჯერ კიდევ ათასწლეულების წინ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროტოქართული (იაფეტური) მოდგმა და მისი ენა თანდათან ''დამდაბლებული'' და ''დაწუნებული'' ხდება ძვ.წ. III ათასწლეულიდან, როდესაც ევრაზიაში იწყება ინდოევროპელთა ექსპანსია და გაბატონება, რაც ბერძნულ მითოლოგიაში სიმბოლიზებულია იაფეტის ძის ტიტან პრომეთეს მიჯაჭვით კავკასიონზე და დედამიწაზე ზევსისა და მისი პანთეონის დომინირებით. კიდევ ერთხელ მოვიშველიებთ აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრს, რომ აქ საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა კულტურის ბრძოლასთან და ურთიერთდაპირისპირებასთან, სახელდობრ, პრომეთე არ არის ბერძნული ღვთაება, იგი იმ ხალხის ღმერთია, რომელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და მაღალი კულტურის მატარებელი იყო. ხოლო ოლიმპიელი ზევსი წმინდა ბერძნული ღვთაებაა; ზევსი იმ ბერძნების ღვთაებაა, რომლებიც კულტურის საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენ, როდესაც მოვიდნენ და დასახლდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის არქიპელაგზე და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებზე. ახალმოსული ბერძნული მოსახლეობა მეტად მეომრული იყო და განუწყვეტლივ ებრძოდა გაცილებით უფრო მაღალი კულტურის მქონე პროტოქართულ მოსახლეობას. ეს მოდგმა ალავსებდა არა მარტო კავკასიას, არამედ ინდოეთს, ხმელთაშუა ზღვის აუზს, სამხრეთ ევროპას, პირინეებს, ეგეოსის არქიპელაგსა და მცირე აზიას. ამ მოდგმას ზოგი ევროპელი მეცნიერი უწოდებს ლიგურიბერიულ ან ეუსკაროალაროდიულ მოდგმას, ხოლო ჩვენი მეცნიერება იაფეტურ ანუ იბერიულკავკასიურს.

# ჩემი სისხლით და ოფლით

## გულახდილი საუბარი სალომე ზურაბიშვილთან

სსრკ-ს მაშინდელი პირველი მდივანი ხრუშჩოვი პარიზში ჩადიოდა. ეშინოდათ, ვინმეს ბომბი არ ესროლა. ერთ დილით, ლევან ზურაბიშვილი და რამდენიმე „საშიში" ქართველი პარიზს გაარიდეს და ცოტა ხნით, კორსიკაზე გადაასახლეს. შვილები, პატარა სალომე და ოთარი დაბღვერილები უყურებდნენ, როგორ მიჰყავდათ მამიკო. იმავე დილას დედამ ბავშვები სკოლაში წაიყვანა. სკოლა მოშორებით იყო და ავტობუსით უნდა ემგზავრათ. ავტობუსებზე საბჭოთა დროშები იყო დამაგრებული. ბავშვებმა ეს რომ დაინახეს, არ ავალთო - გამოაცხადეს. დედამ უთხრა, ხრუშჩოვის გულისთვის ტაქსში ფულს არ დავხარჯავ, თვალებზე ხელები ავიფაროთ და ისე ვიმგზავროთო...

დღეს ეს პატარა სალომე, პატარა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრია და იმ დროს ქართველ ემიგრანტთა შვილი ამ პოსტზე ვერც იოცნებებდა.

*- რას ნიშნავდა და როგორ აღნიშნავდნენ ემიგრანტთა პირველი და შემდგომი თაობები 26 მაისს?*

- შემიძლია მხოლოდ იმის შესახებ გითხრათ, რაც მახსოვს. ყოველ 26 მაისს ძალიან დიდი ზეიმი იმართებოდა, რომელზეც არა მხოლოდ მთელ ემიგრაციას ეპატიჟებოდნენ, არამედ ფრანგ პოლიტიკოსებს, სხვა ემიგრაციებს, საბჭოთა კავშირის ერების წარმომადგენლებს. ეს ერთდროულად პოლიტიკური შეხვედრაც იყო და ზეიმიც, სადაც ჯერ სიტყვით გამოდიოდნენ და შემდეგ ცეკვა-სიმღერა იმართებოდა.

*- თქვენს ძმას პატარა ჯგუფი ჰყავდა, ვისთან ერთადაც ქართულ სიმღერებს მღეროდა. თქვენ?*

- ამ ზეიმებზე ერთ დროს მეც ვცეკვავდი და ახლგაზრდების ჯგუფთან ერთად ვმღეროდი კიდეც ქართულ სიმღერებს.

მამაჩემი, დაახლოებით, 15 წლის განმავლობაში იდგა ქართული სათვისტომოს სათავეში და ყოველთვის სიტყვით გამოდიოდა. ამ გამოსვლების ძირითადი მესიჯი იმ დამოუკიდებლობის აღნიშვნა იყო, რომელიც 1918 წელს ყველა ქვეყნის მიერ იყო აღიარებული. ამ გამოსვლებში იმედს გამოთქვამდა, რომ დამოუკიდებლობის დრო ისევ დადგებოდა.

*- წელს როგორ ხვდებიან საფრანგეთში ამ დღეს?*

- დიდი ხნის მანძილზე ჯერ საელჩო არ იყო საფრანგეთში და მერე საელჩო და სათვისტომო გაყოფილი იყვნენ. ჩვენი საელჩოს ინიციატივით, წელს ერთად იზეიმეს.

*- კომუნისტები - როგორ წარმოგედგინათ ისინი ბავშვობიდან?*

- ზუსტად ისე, როგორც ჩემს მშობლებს. როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის წერითი ნაწილი გავიარე და ზეპირიც უნდა ჩამებარებინა, სწორედ ამ დროს საბჭოთა საელჩოს წარმომადგენელი მოვიდა და ჩემი სიაში ყოფნა მინისტრთან გააპროტესტა. მითხრეს - ამ პროტესტის გამო შეიძლება ვერ მიგიღოთო. საბჭოთა მხარის არგუმენტით წარმოვადგენდი ოჯახს, რომელსაც მძიმე ანტიბოლშევიკური წარსული ჰქონდა. მერე ამაში ჩაერია ჩვენი ოჯახის ახლობელი, წარმოშობით ქართველი ანდრონიკოვი, რომელიც იმ დროს დე გოლის თარჯიმანი იყო და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამის წყალობით მოვხვდი დიპლომატიურ სამსახურში.

*- როგორ ფიქრობთ, დღევანდელი ქართველები მთელი სულით და გულით გრძნობენ ამ დღის მნიშვნელობას? არის ეს მათთვის ნამდვილი დღესასწაული?*

- მე მგონი, რომ არის. ჩემთვის ეს არაჩვეულებრივი დღეა და არა მხოლოდ იმიტომ, რომ 26 მაისს საქართველოში ვესწრები და რომ აღლუმზე ქართული ჯარი გამოდის. ეს ჩემთვის სიზმარი, წარმოუდგენელი ოცნება იყო.

*- მეორედ დამოუკიდებლობა საქართველომ 9 აპრილს გამოაცხადა. ფიქრობთ, რომ ეს იყო ზემოდან, რუსეთიდან დაშვებული დამოუკიდებლობა და ამიტომ არ ზეიმობენ ამ დღეს?*

- 9 აპრილი გლოვასთან დაკავშირებული თარიღია და ამდენად, ჯობია, რომ დღესასწაული ორმაგი მნიშვნელობის მატარებელი არ იყოს.

ამ ორივე თარიღს მეტ-ნაკლებად ჰქონდა ის ნიშანი, რაც თქვენ თქვით - რუსეთისგან დათმობილი დამოუკიდებლობა. არც ერთი არ ყოფილა მოპოვებული. მაგრამ, პირველმა დამოუკიდებლობამ 3 წელი გაძლო და სწორედ ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაწყისი.

*- „რისთვის წამოვედით, თუ ისევ დაპყრობილ საქართველოში უნდა ჩავიდეო" - თქვა მამათქვენმა 1974 წელს, როდესაც აქ ჩამოსვლის საშუალება მიეცა. ისე გარდაიცვალა, რომ არ ჩამოსულა. პარადოქსია, მაგრამ დამოუკიდებლობის მიუხედავად, რუსის ჯარები ისევ აქ დგანან. ბაზების გაყვანის საკითხზე მოლაპარაკებების პროცესში რუსებს ეტყობოდათ გაღიზიანება იმ ცვლილებების გამო, რაც საქართველოში, უკრაინაში მოხდა და რასაც უკვე ველარაფერი შეაჩერებს?*

- მგონია, რომ რუსები ერთდროულად ორმხრივად გაღიზიანებულები არიან და არა იმდენად უკანასკნელი მოვლენების გამო, არამედ იმის გამო, რომ ამას საქართველოს დაკარგვად აფასებენ. თუმცა, შეხვედრების დროს ეს ნაკლებად იგრძნობა, რადგან მოლაპარაკებები პროფესიონალურ დონეზე მიმდინარეობს. მეტადრე ლავროვთან, რომელიც ტიპური პროფესიონალი დიპლომატია და თუ ის რამეს გამოხატავს, ეს კარგად არის აწონილ-დაწონილი და არ არის ემოციური, პირადი გაღიზიანება. ლავროვი კარგად ფლობს მოლაპარაკებების ინსტრუმენტებს და ამ ცოდნას იყენებს. გაღიზიანების ფონი, უდაოდ არსებობს და რუსებთან ნებისმიერ მოლაპარაკებაში ეს არის არსებითი პრობლემა. ისინი ვერ აღგვიქვამენ, როგორც მეზობელს, რომელთანაც შეიძლება საერთო ინტერესები გვქონდეს. ეს ყველაფერი ემოციურ, არარაციონალურ ფონზეა, რაც მოლაპარაკებებში სირთულეებს ქმნის.



- რუსეთის მხრიდან ამ ეტაპზე რა არის ვაჭრობის მთავარი თემა?

- მთავარი არგუმენტი ჯარების გაყვანის ტექნიკური სირთულეებია. რაც ამ მოლაპარაკებებში ჩავერთე, ჯარების არგაყვანის საკითხი არ დასმულა და ეს საკითხი სტამბულში მოიხსნა, როდესაც რუსებმა ბაზების გაყვანაზე თანხმობა განაცხადეს. თუ ზოგიერთი რუსი სამხედროს და დუმის წევრის განცხადებებს არ ჩავთვლით, ოფიციალური პირებისგან არასდროს არ არის დავა ბაზების გაყვანის პრინციპის შესახებ. პუტინის უკანასკნელი განცხადება, როდესაც მან თქვა, რომ თუ მოსახლეობას შენი იქ ყოფნა არ სურს, იქ არ უნდა იყოო, სწორედ ამაზე მეტყველებს. ამდენად, მთელი მათი არგუმენტაცია მხოლოდ ტექნიკური ხასიათის არის - რა ვუყოთ ჩვენს ჯარისკაცებს, მათ მოწყობას ბევრი ფული უნდა, სად გადავიყვანოთო და სხვა.

*- და, რა თქმა უნდა, ქართული მხარე გაყვანის პროცესში რუსეთს ყოველგვარ ტექნიკურ დახმარებას პირდება...*

- ეს მზადყოფნა ყოველთვის არსებობს, ოღონდ ზომიერების ფარგლებში. მათი მხრიდან 500 მილიონის მოთხოვნა იყო არგუმენტი, რათა არ წამოსულიყვნენ მოლაპარაკებაზე.

*- ერთ-ერთ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ რუსეთში „ძალიან გარკვევით უნდა იცოდნენ, სად არის ჩვენი წითელი ხაზი. უნდა იცოდნენ, რომ ამ წითელი ხაზის გადაკვეთის შემთხვევაში ჩვენგან მწვავე რეაქციას მიიღებენ". მოლაპარაკებების პროცესში ეს ზღვარი დააწესეთ?*

- ზღვარი მაშინ დადგება, როდესაც განვუცხადებთ, რომ მათთან მოლაპარაკებები აღარ გვაინტერესებს. მაგრამ, ეს მომენტი არათუ არ დამდგარა, არამედ პროგრესისკენაც მივდივართ. მოლაპარაკებებს ძალიან დიდი საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა და ყველა ჩვენმა პარტნიორმა ზუსტად იცის, რომელ ეტაპზე რაზე ვლაპარაკობთ და რაზე შევთანხმდით. ეს ყველაფერი სრული გამჭვირვალობით ჩატარდება. არ არსებობს, მათ რაიმე პუნქტი დაარღვიონ და ჩვენ ამაზე გავჩუმდეთ.

*- საერთაშორისო ურთიერთობების სხვა სკოლა გაიარეთ და სულ სხვა გამოცდილება გაქვთ. ქართულ საერთაშორისო ურთიერთობებს მხოლოდ 10 წლიანი ბიოგრაფია აქვს. პროფესიული თვალსაზრისით, რა ვერ დაძლიეს ქართველმა დიპლომატებმა?*

- აქაური დიპლომატებისა და სისტემის მიმართ არც პრეტენზია მაქვს და არც პრობლემები. რა თქმა უნდა, ხარვეზებიც არის და პრობლემებიც - ერთ დღეს კმაყოფილ ვარ, მეორე დღეს ვყვირი, მაგრამ ჯამში, ვერ ვიტყვი, რომ 10 წლიანი სისტემა არ მოქმედებს. რუსეთთან მოლაპარაკებებში ვერ ვიგრძენი, რომ ჩვენ რამენაირად სუსტები ვართ მათთან შედარებით. ზოგჯერ ვჯობდით კიდეც იმიტომ, რომ სხვა ფონი გვაქვს - ჩვენი სამხედროები მხარს გვიჭერენ და სხვა.

ასე რომ, ჩვენი პრობლემა დიპლომატები კი არა, არადიპლომატები არიან, რომლებიც გარედან ფიქრობენ, რომ დიპლომატები არიან. დიპლომატია იმდენად ადვილი საქმე ჰგონიათ, რომ ყველას აქვს იმის ამბიცია, რომ დიპლომატია იციან, რომ შეუძლიათ დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმართვა და ყველაფერში ერევიან. უფრო ეს არის პრობლემა, თორემ, შიგნიდან ნორმალური და მისაღები პროცესია. არც ისეთ დაბალ საფეხურზე ვართ და სულ უფრო წინ მივდივართ.

*- როგორ გგონიათ, წინაპრებს სანუკვარ ოცნებას აუსრულებთ და თქვენ გააცილებთ საქრთველოდან რუსის ჯარს?*

- ეს არის ერთ-ერთი ნაწილი იმ მისიისა, რომელიც ვიკისრე და მინდა, რომ შევასრულო. ეს რომ მხოლოდ ჩემზე იყოს დამოკიდებული, რა თქმა უნდა, შევასრულებდი. მაგრამ ეს მისიის ერთ-ერთი ნაწილია, კიდევ სხვაც არის - ნატო, ევროკავშირი, სტაბილურობა რეგიონში... ამიტომ, აქ დიდ ხანს დავრჩები - დაახლოებით, ერთი საუკუნით...

მაია ჭალაგანიძე



**მომავალ ნომერში:**
**საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიული აქტის ფოტორეპროდუქცია, რომლის ორიგინალი დაკარგულია!**

# ზიგმუნდ ფროიდი

*დღეს საქართველოში სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება სიტყვები „ფროიდიზმი“, „ფსიქოანალიზი“, თუმცა, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის ზიგმუნდ ფროიდის მოძღვრება აბსოლუტურად უცნობია. დღეს „ასავალ-დასავალი“ დგამს საეტაპო მნიშვნელობის ნაბიჯს და პირველად ქართული პრესის ისტორიაში მკითხველთა ფართო აუდიტორიის წინაშე გამოაქვს დიდი ავსტრიელი მეცნიერის ფუნდამენტური შრომა „ფსიქოანალიზის შესავალი“. მოკლე ისტორიულ-ბიოგრაფიულ ექსკურსთან ერთად გთავაზობთ პირველ ლექციას ზიგმუნდ ფროიდის წიგნიდან, რომელმაც გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში და მომავალშიც დარჩება ადამიანში მიძინებულ ზრახვათა უტყუარ სახელმძღვანელოდ.*



**როცა 1933 წელს ბერლინში ფაშისტებმა დაწვეს ფროიდის წიგნები, მან ირონიულად თქვა: „რა პროგრესია! შუა საუკუნეებში ისინი მე დამწვავდნენ, ახლა კი ჩემი წიგნების დაწვით დაკმაყოფილდნენ“.**

კაცობრიობის გენიალურ მოაზროვნეთა შორის ზიგმუნდ ფროიდს სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ალბათ, ცოტას თუ ჰყოლია ერთდროულად ამდენი მომხრე და მოწინააღმდეგე. ფროიდის ფსიქოანალიტიკურმა მოძღვრებამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაზე, მწერლობაზე, მხატვრობაზე, კინოხელოვნებასა და დასავლეთის თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაზე. იგი იყო და რჩება გადაუწყვეტელი დისკუსიის საგნად.

როგორც მსოფლიო პრაქტიკამ ცხადყო, ფროიდის ფსიქოანალიტიკური მოძღვრება ვერ ვითარდება ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში. უფრო მეტიც, ტოტალიტარიზმი დევნის მას. საბჭოთა კავშირში 20-იანი წლების ბოლოს დაიწყო ფროიდისა და მისი მიმდევრების შრომების გამოცემის აკრძალვა, ხოლო ფსიქოანალიზი იდეოლოგიზირებული მეცნიერების მიერ ვულგარულ ბიოლოგიზატორულ მოძღვრებად იქნა მიჩნეული. იგივე განმეორდა გერმანიაში, სადაც 1933 წელს გებელსმა საზეიმოდ გამოაცხადა, რომ ცეცხლს აძლევს ფროიდის შრომებს. **რა იყო ფროიდიზმის მიმართ ასეთი შეუწყნარებელი დამოკიდებულების მიზეზი?** საქმე იმაშია, რომ ფროიდი იყო მოაზროვნე, რომელმაც ღრმად ჩაიხედა ადამიანის ფსიქიკურ სამყაროში, აჩვენა, რომ ცალკეული ინდივიდის ცნობიერი ქცევა დეტერმინირებულია არაცნობიერი იმპულსებით, ხოლო იდეოლოგიზირებული ცნობიერება ჭეშმარიტებას და ხალხთა კეთილდღეობას კი არ ემსახურება, როგორც ამას ქადაგებს ბელადი ან ფიურერი, არამედ ისევ და ისევ არაცნობიერი იმპულსებისა და „კომპლექსების“ რეალიზაციას. ფსიქოანალიზი ბრმად კი არ მიჰყვება დადგენილ ნორმებსა და დოგმატებს, არამედ აანალიზებს იმ წყაროს, რომელიც განაგებს ლიდერისადმი და სოციუმის მიერ დადგენილი აკრძალვებისადმი ადამიანის ბრმა მორჩილებას. **ტოტალიტარული რეჟიმი ყოველთვის ელტვოდა ადამიანთა ქცევისა და ცნობიერების ზემოდან კონტროლს აკრძალვებისა და შეზღუდვების მეოხებით, ხოლო ფსიქოანალიზი ელტვის, გაათავისუფლოს ადამიანი როგორც არაცნობიერი იმპულსების დიქტატისაგან, ასევე ყალბი წარმოდგენების, ილუზიებისა და ცრურწმენისაგან.**

მოსახლეობის ფართო ფენებს საკმაოდ გამარტივებული წარმოდგენა აქვთ ფროიდის მოძღვრების შესახებ. კერძოდ, ფროიდი ბევრისათვის თავისუფალი სექსუალური ურთიერთობის სიმბოლოა, სინამდვილეში კი იგი პირად ცხოვრებაში ზედმიწევნით პურიტანული მორალის პიროვნება, მრავალშვილიანი ოჯახის მზრუნველი მამა და ერთგული მეუღლე იყო. მართალია, ფროიდმა მნიშვნელოვნად გაამდიდრა მეცნიერული ცოდნა სექსუალური ცხოვრების თავისებურებების შესახებ, მაგრამ მისი აღმოჩენები უფრო ფართო სფეროს ეხებოდა. მან შექმნა ჰუმანიტარული აზროვნების სრულიად ახალი დარგი — ფსიქოანალიზი.

ფროიდი დაიბადა 1856 წელს პატარა მორავიულ ქალაქ ფრეიბერგში. 4 წლის იყო, როცა მამამ ფინანსური კრახი განიცადა და მთელი ოჯახით ვენაში გადასახლდა. ამ ქალაქში გაატარა ზ. ფროიდმა ცხოვრების უმეტესი წლები.

რადგანაც იგი იყო ებრაელი, ხოლო ვენაში ანტისემიტური სული სუფევდა, მან თავის რამდენიმე ებრაელ მეგობართან ერთად შეიმუშავა ერთგვარი ქარაგმული და მეტაფორული საკომუნიკაციო ენა, რათა სხვებისათვის მათი საუბარი არ ყოფილიყო გასაგები. შემდგომში მეტაფორებისაკენ სწრაფვამ ჩამოაყალიბა აზროვნების გარკვეული სტილი, რაც გამოიხატება სიზმრისა და ცნობიერების სხვა მდგომარეობათა სიმბოლურ ანალიზში, ურთულესი ფსიქოლოგიური მოვლენების მეტაფორულ განმარტებაში.

ფროიდმა სწავლის გასაგრძელებლად ვენის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი აირჩია. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ერთხანს მუშაობდა ფიზიოლოგ ე. ბრიუკეს ლაბორატორიაში, სადაც გამომჟღავნდა მისი მაღალი საბუნებისმეტყველო ნიჭიერება. მან გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა ჰისტოლოგიაში, ანატომიასა და ნევროლოგიაში. მართალია, მისი ინტერესების წყარო იყო მეცნიერული კვლევა-ძიება, იგი მაინც იძულებული გახდა, დაეწყო კერძო სამედიცინო პრაქტიკა ჯერ ქირურგად, შემდეგ თერაპევტად და საოჯახო ექიმად. ვენის საავადმყოფოში მან პარალელურად გაიარა ფსიქიატრიის კურსები და დაინტერესდა ფსიქიკურ სიმპტომებსა და ფიზიკურ ავადმყოფობას შორის კავშირით.

ფროიდი ექიმ ბრეიერთან ერთად იკვლევს ისტერიული ნევროზის განკურნვის შესაძლებლობას ჰიპნოტურად გამოწვეული კათარზისის მეოხებით. ბრეიერთან ერთად გამოქვეყნებულ ნაშრომში ფროიდი აცხადებს: „ისტერიული ავადმყოფის სიმპტომებს განსაზღვრავს ცხოვრების ის სცენა (ტრავმა), რომელმაც ღრმა კვალი დატოვა, მაგრამ დავიწყებულ იქნა. თერაპიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აიძულო პაციენტი, გაიხსენოს და აღადგინოს ეს სცენა ჰიპნოზის მდგომარეობაში %კათარზისი)“. მაგრამ შემდგომში ფროიდი დარწმუნდა, რომ ჰიპნოზი არც ისე ეფექტურია, როგორც თავიდან ეჩვენა. ჰიპნოზი არის ერთგვარი გაქცევა სინამდვილიდან და იმის საშუალება, რომ პაციენტმა კიდევ უფრო ღრმად გადამალოს ნევროზის წარმომშობი არაცნობიერი იმპულსები.

საბოლოოდ ფროიდმა მთლიანად მიატოვა ჰიპნოზი და ხელი მიჰყო ე.წ. თავისუფალი ასოციაციებისა და სიზმრების ანალიზს, რითაც იგი ცდილობდა, ეპოვა ადამიანის ქვეცნობიერი იმპულსები, ლტოლვებისა და მოტივების ფარული აზრი. ფროიდი თვლიდა, რომ საკმარისია, ადამიანმა გააცნობიეროს, გონებაში ამოატივტივოს და გასაგები გახადოს მისი ქცევისა და სიმპტომების ქვეცნობიერი ძირები, რომ იგი მოიპოვებს შინაგან თავისუფლებას (კათარზისს) და სულიერ სიჯანსაღეს. ტერმინი ფსიქოანალიზი ფროიდმა შემოიტანა 1896 წელს, თვით ანალიზი დაიწყო 1897 წელს, 1900 წელს კი გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „სიზმრების განმარტება“.

ფროიდის რჩეული ნაწერები 24 ტომს მოიცავს. იგი ეწეოდა შრომატევად ფსიქოანალიტიკურ სამკურნალო პრაქტიკას, კითხულობდა ლექციებს, წერდა სპეციალურ მონოგრაფიებსა და სტატიებს რელიგიისა და კულტურის საკითხებზე.

როცა გერმანელებმა 1938 წელს დაიპყრეს ავსტრია, მსოფლიოში უკვე გამოჩენილი მეცნიერი ფაშისტებმა დააპატიმრეს. იგი გამოისყიდა ფრანგმა ფსიქოანალიტიკოსმა და მისმა ყოფილმა პაციენტმა მარი ბონაპარტმა საფრანგეთში ამერიკის ელჩის შუამდგომლობით.

*ფროიდი ემიგრაციაში გაემგზავრა ლონდონს. მას ჰქონდა ავთვისებიანი სიმსივნე და იტანჯებოდა ტკივილებისაგან. მისი თხოვნით, მკურნალმა ექიმმა გაუკეთა სასიკვდილო ნემსი და იგი გარდაიცვალა ლონდონში 1939 წლის 21 სექტემბერს.*

## პირველი ლექცია. შესავალი

პატივცემულო ბატონებო! ჩემთვის უცნობია, თითოეული თქვენგანი ლიტერატურიდან თუ ყურმოკვრით რამდენად იცნობს ფსიქოანალიზს. მაგრამ თავად ჩემი ლექციების სახელწოდება — „ფსიქოანალიზის ელემენტარული შესავალი“ — გულისხმობს, რომ თქვენ ამის შესახებ არაფერი იცით და მზად ხართ, ჩემგან პირველი ცნობები მიიღოთ. გავბედავ, ვივარაუდო, რომ თქვენთვის ცნობილია შემდეგი: ფსიქოანალიზი ნერვული ავადმყოფების მკურნალობის ერთ-ერთი მეთოდია; და აქვე შემიძლია მოგიყვანოთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, რომ ამ სფეროში რაღაცები სხვაგვარად და პირიქითაც კი კეთდება, ვიდრე მედიცინაშია მიღებული. ჩვეულებრივ, როდესაც ავადმყოფის მკურნალობას მისთვის ახალი მეთოდით იწყებენ, ცდილობენ, ჩააგონონ, რომ საშიშროება არცთუ დიდია და მკურნალობის წარმატებაში დაარწმუნონ. ვფიქრობ, ეს სავსებით გამართლებულია, რადგან ამით წარმატების შანსს ვზრდით. ხოლო **როდესაც ნევროტიკის მკურნალობას ფსიქოანალიზის მეთოდით ვიწყებთ, სხვაგვარად ვმოქმედებთ. ჩვენ ვესაუბრებით მას მკურნალობის სიძნელეზე, ხანგრძლივობაზე, მასთან დაკავშირებულ ძალისხმევასა და მსხვერპლზე. რაც შეეხება წარმატებას, ჩვენ ვეუბნებით, რომ ამის გარანტიას ვერ მივცემთ, რადგან წარმატება ავადმყოფის ქცევაზე, მის მიხვედრილობაზე, დამყოლობასა და ამტანობაზეა დამოკიდებული.** ბუნებრივია, ავადმყოფისადმი ასეთი, თითქოსდა არასწორი მიდგომისათვის მტკიცე საფუძველი გვაქვს, რაშიც, ალბათ, მოგვიანებით თვითონაც დარწმუნდებით.

ნუ გეწყინებათ, თუ პირველ ხანებში ისევე მოგეპყრობით, როგორც ამ ნერვულ ავადმყოფებს. სიმართლე ითქვას, აქ მეორედ მოსვლის იდეაზე უარის თქმას გირჩევთ. ამისათვის ახლავე მინდა გაჩვენოთ, რა უცილობელი არასრულყოფილება ახასიათებს ფსიქოანალიზის სწავლებას და რა სიძნელეები წარმოიშობა მასზე საკუთარი თვალსაზრისის გამომუშავების პროცესში. მე გაჩვენებთ, რომ თქვენი წინამავალი განათლების მთელი მიმართულება და მთელი თქვენი ჩვეული აზროვნება გარდაუვალად გადაგაქცევთ ფსიქოანალიზის მოწინააღმდეგედ, გაჩვენებთ, რამდენი რამ უნდა გადალახოთ, რომ ეს ინსტინქტური წინააღმდეგობა დაძლიოთ. ბუნებრივია, წინასწარ ძნელი სათქმელია, რას გაიგებთ ჩემი ლექციებიდან ფსიქოანალიზისას, მაგრამ შემიძლია მტკიცედ აღგითქვათ, რომ მათი მოსმენის შემდეგ ფსიქოანალიტიკური გამოკვლევის და მკურნალობის ჩატარებას ვერ

## ისტორიული კადრი

კარგად დააკვირდით ამ სურათს...

ამ ხატზე სამთხვევად მომართულ ყმაწვილსაც...

და იმ ხატსაც, რომელსაც იგი ემთხვევა...

მინდა ამ სურათის მიღმა ქართველი მრევლის უდიდესი რწმენაც დაინახოთ, რომ ცდილობენ არ მოსწყდნენ თავიანთ დედა-ეკლესიას და ზოგჯერ ერთადერთ გამოსასვლელ დღეს ნიუ-იორკში მიიჩქარიან, წმიდა ნინოს ქართულ ეკლესიაში სალოცავად.

იქ მრევლს საოცრად თბილი, ქართული „აურა“ ელოდება, სათნო და კეთილი მოძღვარიც, დეკანოზი ალექსანდრე თანდილაშვილი, და უკვე ერთადერთი ხატის რეპროდუქციაც, რომელმაც წმიდა ნინოს სახე შემოგვინახა.

იმავე საქართველოვ! შენი სისხლი და ხორცი ნიუ-იორკში „მამულში“ დაბეჭდილ წმიდა ნინოს ხატზე ლოცულობს.



# ფსიქოანალიზის შესავალი

## პირველი ნაწილი
## მცდარი ქმედებები

ისწავლით. ხოლო თუკი თქვენ შორის მოიძებნება ვინმე, ვინც არ დაკმაყოფილდება ფსიქოანალიზთან ზედაპირული ნაცნობობით და მასთან მჭიდროდ დაკავშირებას მოინდომებს, მე არა მარტო არ ვურჩევ ამის გაკეთებას, არამედ ყველანაირად გადავათქმევინებ ამ ნაბიჯის გადადგმას. გარემოებები ისეთია, რომ პროფესიის მსგავსი არჩევანი მისთვის უნივერსიტეტში წინსვლის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს. ხოლო თუ ასეთი ექიმი პრაქტიკას მოჰკიდებს ხელს, აღმოჩნდება საზოგადოებაში, რომელსაც არ ესმის მისი მისწრაფებები, უნდობლად და მტრულად ეკიდება და მთელი დაფარული ბნელი ძალები მის წინააღმდეგ აამხედრა.

თუმცა, ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომელთაც შემეცნებაში სიახლე ხიბლავთ, მიუხედავად ამასთან დაკავშირებული ყველა უხერხულობისა. და თუ რომელიმე თქვენგანი მათი რიცხვიდანაა და ჩემი გაფრთხილების მიუხედავად აქ ისევ მოვა, მე სიხარულით მივესალმები. მაგრამ ყველას გაქვთ უფლება, იცოდეთ, რა სიძნელეებია დაკავშირებული ფსიქოანალიზთან.

ჯერ ერთი, უნდა მივუთითო ფსიქოანალიზის სწავლებისა და სწავლის სირთულეზე. მედიცინაში მეცადინეობისას თქვენ თვალსაჩინოებას მიეჩვიეთ. ხედავთ ანატომიურ პრეპარატს, ქიმიური რეაქციის დროს დანალექს, ნერვების გაღიზიანების დროს კუნთების შეკუმშვას. მოგვიანებით გაჩვენებენ ავადმყოფს, მისი სნეულების სიმპტომებს, ავადმყოფური პროცესის შედეგებს, ზოგჯერ კი დაავადების გამომწვევებსაც. ქირურგიის სწავლისას თქვენ შეგიძლიათ ავადმყოფის დასახმარებლად ჩატარებულ ქირურგიულ ჩარევას დაესწროთ და თავადაც გააკეთოთ ოპერაცია. იმავე ფსიქიატრიაში ავადმყოფის გასინჯვა უამრავ ფაქტს მოგცემთ, რომლებიც მიმიკის, მეტყველების და ქცევის ცვლილებებს მოწმობს. ამგვარად, მედიცინაში პედაგოგი ექსკურსიამძღოლის როლს ასრულებს, რომელიც მუზეუმში დაგატარებთ, ხოლო ობიექტებთან უშუალო კონტაქტში თქვენ თვითონ შედიხართ და საკუთარი აღქმის წყალობით რწმუნდებით ჩვენთვის ახალი მოვლენების არსებობაში.

ფსიქოანალიზში, სამწუხაროდ, ყველაფერი სხვაგვარადაა. **ანალიტიკური მკურნალობის დროს პაციენტსა და ექიმს შორის სიტყვების გაცვლის გარდა არაფერი ხდება. პაციენტი ლაპარაკობს, ჰყვება წარსულ განცდებსა და ახლანდელ შთაბეჭდილებებზე, ჩივის, თავის სურვილებსა და გრძნობებს უმხელს. ექიმი კი უსმენს, ავადმყოფის აზრთა მიმართულების მართვას ცდილობს, რაღაცას ახსენებს, მის ყურადღებას გარკვეული მიმართულებით აქცევს, უხსნის და აკვირდება მიღება-არმიღების რეაქციებს, რომლებსაც ამ გზით ავადმყოფში იწვევს.** ჩვენი ავადმყოფების გაუნათლებელი ნათესავები, რომლებსაც მხოლოდ აშკარა და ხელშესახები მოსწონთ, შემთხვევას არ გაუშვებენ ხელიდან, რომ არ დაეჭვდნენ: „როგორ შეიძლება მხოლოდ ლაპარაკით დაავადების განკურნება?“ ეს ისევე არაშორსმჭვრეტელურია, როგორც არათანამიმდევრული. ოდესღაც სიტყვები ჯადოქრობა იყო, სიტყვამ ბევრ რამეში დღემდე შეინარჩუნა თავისი სასწაულებრივი ძალა. სიტყვებით შეიძლება ადამიანი გააბედნიერო ან სასოწარკვეთაში ჩააგდო, მასწავლებელი სიტყვებით გადასცემს თავის ცოდნას მოწაფეებს, ორატორი სიტყვებით იტაცებს მსმენელს. სიტყვები აფექტებს იწვევს და ადამიანების ერთმანეთზე ზემოქმედების აღიარებულ საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ სათანადოდ შევაფასოთ ფსიქოთერაპიაში სიტყვების გამოყენება და დავკმაყოფილდეთ, თუკი იმ სიტყვების მოსმენას შევძლებთ, რომლებსაც ანალიტიკოსი და მისი პაციენტი ერთმანეთს ეუბნებიან.

მაგრამ ჩვენთვის ესეც კი მიუწვდომელია. საუბარი, რომლისგანაც შედგება სწორედ ფსიქოანალიტიკური მკურნალობა, უცხოთა დასწრებას გამორიცხავს; მისი დემონსტრირება არ შეიძლება. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ფსიქიატრიის ლექციებზე მსმენელებისთვის ნევრასტენიკის ან ისტერიკის ჩვენება. ის, ალბათ, თავის ჩივილებსა და სიმპტომებზე მოუყვება, და სულ ეს არის. ფსიქოანალიტიკოსისათვის საჭირო ცნობების მიცემა მას მხოლოდ ექიმისადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობის პირობებში შეუძლია; თუმცა მყისვე გაჩუმდება, როგორც კი თუნდაც ერთ მისდამი ინდიფერენტულ მოწმეს შენიშნავს. ეს ინფორმაცია ხომ მისი სულიერი ცხოვრების ყველაზე ინტიმურ ნაწილს ეხება, იმას, რასაც ის, როგორც სოციალურად დამოუკიდებელი პირი, სხვებისაგან იძულებით მალავს, აგრეთვე, იმას, რაშიც ის, როგორც მთლიანი პიროვნება, საკუთარ თავსაც არ უტყდება.

ამგვარად, ფსიქოანალიზის მეთოდით მკურნალი ექიმის საუბრის უშუალოდ მოსმენა შეუძლებელია. მის შესახებ შეტყობა და ფსიქოანალიზის გაცნობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ყურმოკვრით შეგიძლიათ. ფსიქოანალიზის შესახებ საკუთარ თვალსაზრისამდე მისვლა უჩვეულო პირობებში მოგიწევთ, რადგან მის შესახებ ცნობებს, ასე ვთქვათ, მეორე ხელიდან მიიღებთ. ეს ბევრად არის დამოკიდებული იმ ნდობაზე, რომლითაც შუამავალს ეკიდებით.

ახლა კი წარმოიდგინეთ, რომ არა ფსიქიატრიის, არამედ ისტორიის ლექციას ესწრებით და ლექტორი ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრებასა და საბრძოლო გმირობებზე გიყვებათ. რა საფუძველზე გჯერათ მისი ცნობების უტყუარობა? თავდაპირველად მოგეჩვენებათ, რომ აქ მეტი სირთულეა, ვიდრე ფსიქოანალიზში. ისტორიის პროფესორი ხომ ალექსანდრეს ლაშქრობების მონაწილე არ ყოფილა, ისევე, როგორც თქვენ. რაც უნდა იყოს, ფსიქოანალიტიკოსი იმას მაინც გაუწყებთ, რაშიც თვითონ თამაშობდა გარკვეულ როლს. მაგრამ აქ იმისი რიგი დგება, რაც გვაიძულებს, ისტორიკოსს დავუჯეროთ. მან შეიძლება ძველი მწერლები დაიმოწმოს, რომლებიც ან ალექსანდრეს თანამედროვენი იყვნენ, ან ამ მოვლენებთან დაახლოებულ დროში ცხოვრობდნენ; ის გაჩვენებთ მეფის დღემდე მოღწეული მონეტებისა და ქანდაკებების გამოსახულებებს, პომპეის მოზაიკის ფოტოებს. მაგრამ, სიმართლე ითქვას, ყველა ეს დოკუმენტი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ადრეულ თაობებს უკვე სწამდათ ალექსანდრეს არსებობა და მისი გმირობების რეალურობა. სწორედ აქედან შეიძლებოდა დაწყებულიყო თქვენი კრიტიკა. თქვენ აღმოაჩენთ, რომ ალექსანდრეს შესახებ ყველა ცნობა უტყუარი არ არის და ყველა დეტალის შემოწმება არ შეიძლება. მაგრამ ვერ წარმომიდგენია, რომ ალექსანდრე მაკედონელის პიროვნების რეალურობაში ეჭვი შეგეპარებათ და სალექციო დარბაზს დატოვებთ. თქვენს პოზიციას, უმთავრესად, ორი მოსაზრება განსაზღვრავს: ჯერ ერთი, საეჭვოა, ლექტორს რაიმე დასაშვები მოტივი ჰქონდეს, რეალურად გაასაღოს ის, რასაც ასეთად არ თვლის. მეორეც, ყველა ხელმისაწვდომი ისტორიული წიგნი მოვლენებს დაახლოებით ერთნაირად აღწერს. თუ ამის შემდეგ ძველი წყაროების შესწავლას დაიწყებთ, ამავე გარემოებებს მიაქცევთ ყურადღებას - შუამავალთა შესაძლო მოტივებს და სხვადასხვა მოწმობის მსგავსებას. თქვენი გამოკვლევის შედეგები ალექსანდრესთან დაკავშირებით უდავოდ დაგამშვიდებთ, მაგრამ თუ საქმე ისეთ პიროვნებებს შეეხება, როგორიც მოსე ან ნიმროდია, შედეგები, ალბათ, სხვაგვარი იქნება. იმის შესახებ, თუ რა ეჭვი შეიძლება გაგიჩნდეთ ლექტორი-ფსიქოანალიტიკოსისადმი ნდობასთან დაკავშირებით, მოგვიანებით შეიტყობთ.

ახლა უფლება გაქვთ, იკითხოთ: თუკი ფსიქოანალიზს არავითარი ობიექტური დადასტურება არ გააჩნია და მისი დემონსტრირება შეუძლებელია, როგორღა შეიძლება საერთოდ მისი შესწავლა და მისი დებულებების სისწორეში დარწმუნება? მართლაც, ფსიქოანალიზის სწავლა ძნელია და მას სათანადოდ ცოტა თუ ეუფლება. მაგრამ მისაღები გზა, ბუნებრივია, არსებობს. ფსიქოანალიზს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავზე, საკუთარი პიროვნების შესწავლისას ეუფლებიან. ეს მთლად ის არ არის, რასაც თვითდაკვირვებას უწოდებენ, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში ფსიქოანალიზი შეიძლება მის ერთ-ერთ სახეობად განვიხილოთ. არსებობს მთელი რიგი გავრცელებული და საყოველთაოდ ცნობილი მოვლენებისა, რომლებიც საკუთარი თავის შესწავლის ტექნიკის გარკვეულწილად დაუფლებისას შეიძლება ანალიზის საგანი გახდეს. ეს შესაძლებლობას მოგცემთ, ფსიქოანალიზში აღწერილი პროცესების რეალურობაში და მათი გაგების სისწორეში დარწმუნდეთ. თუმცა, ამ გზაზე წარმატებით სვლას თავისი საზღვარი აქვს. ბევრად მეტის მიღწევა შეიძლება, როდესაც გამოცდილი ფსიქოანალიტიკოსი გამოგიკვლევთ, თუკი ანალიზის მოქმედებას საკუთარ „მე“-ზე გამოცდით და თუკი ამ მეთოდის უფაქიზესი ტექნიკის სხვისაგან გადმოღება შეგიძლიათ. რა თქმა უნდა, ეს შესანიშნავი გზა ყველასთვის ერთად კი არა, თითოეულისთვის ცალცალკეა მისაწვდომი.

ფსიქოანალიზის გაგების კიდევ ერთი სიძნელე მასში კი არა, თავად თქვენშია. თქვენი წინამავალი განათლებით ჩამოყალიბებული აზროვნების სტილი ფსიქოანალიტიკურისაგან შორს დგას. ფსიქოლოგიური მიდგომა თქვენთვის უცხოა, მას უნდობლად ეკიდებით, მის მეცნიერულობას უარყოფთ და არაპროფესიონალებს — მწერლებს, ნატურფილოსოფოსებსა და მისტიკოსებს უთმობთ.

ჩემთვის გასაგებია, რით არის გამართლებული თქვენი განათლების ეს ხარვეზი. თქვენ ფილოსოფიური ცოდნა არ გყოფნით. ვერც სპეკულაციური ფილოსოფია, ვერც აღწერითი ფსიქოლოგია, ვერც ეგრეთ წოდებული ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, რომელიც გრძნობათა ფიზიოლოგიის მომიჯნავეა - ისე, როგორც მათ სასწავლო დაწესებულებებში გაწვდიან - სხეულსა და სულს შორის ურთიერთობის შესახებ რაიმე გონივრულს ვერ გეტყვიან, ფსიქიკური ფუნქციების შესაძლო დარღვევის გაგებისათვის გასაღებს ვერ მოგცემენ.

შემდეგ სიძნელეში არც თქვენი დადანაშაულება მინდა, არც თქვენი განათლებისა და განწყობის. თავისი ორი დებულებით ფსიქოანალიზი მთელ სამყაროს შეურაცხყოფს და მის მტრულ დამოკიდებულებას იწვევს; ერთი მათგანი ინტელექტუალურ ცრურწმენებს აწყდება, მეორე კი - მორალურ-ესთეტიკურს.

არ ღირს ამ ცრურწმენების სათანადოდ არშეფასება; ეს არის ძლიერი ძალა, კაცობრიობის განვითარების პროცესში მომხდარი სასარგებლო და აუცილებელი ცვლილებების თანამდევი პროდუქტი. ისინი ჩვენს ეფექტიან ძალებს ეყრდნობა და მათთან ბრძოლა ძნელია.

**ფსიქოანალიზის პირველი საჩოთირო მტკიცების თანახმად, ფსიქიკური პროცესები თავისთავად არაცნობიერია, ცნობიერია მხოლოდ სულიერი ცხოვრების ცალკეული აქტები და მხარეები.** ჩვენ კი, პირიქით, ფსიქიკურისა და ცნობიერის იდენტიფიცირებას მივეჩვიეთ. ჩვენთან სწორედ ცნობიერება ითვლება ფსიქიკურის ძირითად დამახასიათებელ თვისებად, ხოლო ფსიქოლოგია — მეცნიერებად ცნობიერების შინაარსის შესახებ. დიახ, ეს იგივეობა იმდენად თავისთავად ცხადად გვეჩვენება, რომ მასთან შეკამათება აშკარა უაზრობად წარმოგვიდგება. და მაინც, ფსიქოანალიზს არ შეუძლია, არ შეეკამათოს, მას არ შეუძლია ცნობიერისა და ფსიქიკურის იდენტურობის აღიარება. მისი განსაზღვრების თანახმად, ფსიქიკური წარმოადგენს გრძნობის, აზროვნების, სურვილის პროცესებს, და ეს განსაზღვრება არაცნობიერი აზროვნებისა და არაცნობიერი სურვილის არსებობას უშვებს. მაგრამ მოცემული მტკიცება მყისვე უტეხს სახელს ფსიქოანალიზს სალი მეცნიერულობის ყველა მიმდევრის თვალში და აფიქრებინებს, რომ ის ფანტასტიკური საიდუმლო მოძღვრებაა, რომელიც სიბნელეში დაეხეტება და ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერას ცდილობს. თქვენთვის ჯერ კიდევ გაუგებარია, რა უფლებით ვთვლი ცრურწმენად ისეთ აბსტრაქტულ დებულებას, როგორიცაა „ფსიქიკური არის ცნობიერი“. ალბათ, ვერც იმას ხვდებით, რამ გამოიწვია არაცნობიერის უარყოფა, თუკი ის არსებობს, და რა უპირატესობა ჰქონდა ასეთ უარყოფას. კითხვა — ფსიქიკური ცნობიერს შეესატყვისება თუ მასზე გაცილებით ფართოა, შეიძლება სიტყვების ფუჭ თამაშად მოგეჩვენოთ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების არსებობის აღიარებას სამყაროსა და მეცნიერებაში სრულიად ახალ ორიენტაციამდე მივყავართ.

ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენად მჭიდრო კავშირი არსებობს ფსიქოანალიზის ამ პირველ გაბედულ მტკიცებასა და მეორეს შორის, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. მეორე დებულება, რომელსაც ფსიქოანალიზი თავის ერთ-ერთ მიღწევად მიიჩნევს, ამტკიცებს, რომ **ლტოლვა, რომელსაც შეიძლება ამ სიტყვის ვიწრო და ფართო გაგებით სექსუალური ეწოდოს, ნერვული და ფსიქიკური დაავადებების წარმოშობაში უზომოდ დიდ და დღემდე არაღიარებულ როლს თამაშობს.** მეტიც, ეს სექსუალური ლტოლვა მონაწილეობს ადამიანის სულის უმაღლესი კულტურული, მხატვრული სოციალური ფასეულობების შექმნაში და მისი წვლილი სათანადოდ უნდა შეფასდეს.

საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ ფსიქოანალიტიკური გამოკვლევის ამ შედეგის არმიღება იმ წინააღმდეგობის მთავარი მიზეზია, რომელსაც ის აწყდება. გინდათ, იცოდეთ, როგორ ვხსნით ამას? ჩვენ ვთვლით, რომ კულტურა ცხოვრებისეული აუცილებლობის ზეგავლენით შეიქმნა ლტოლვის დაკმაყოფილების ხარჯზე და ის, უმეტესწილად, გამუდმებით აღდგება იმის წყალობით, რომ ცალკეული პიროვნება კვლავაც სწირავს მსხვერპლად თავისი ლტოლვის დაკმაყოფილებას საზოგადოების სასარგებლოდ. ამ ლტოლვებს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს სექსუალური ლტოლვა; ამასთან, ის სუბლიმირდება, ანუ სექსუალურ მიზნებს გადაუხვევს და სოციალურად უფრო მაღალ, უკვე არასექსუალურ მიზნებზე მიემართება. თუმცა, ეს კონსტრუქცია ფრიად არამყარია, სექსუალური ლტოლვა ძალიან ძნელად ითრგუნება და ყველას, ვინც კულტურული ფასეულობების შექმნაში ჩაერთვება, საშიშროება ემუქრება, რომ მისი სექსუალური ლტოლვა თავის ასეთ გამოყენებას არ დაუშვებს. საზოგადოების კულტურისათვის არ არსებობს უფრო დიდი საფრთხე, ვიდრე სექსუალური ლტოლვის გამოთავისუფლება და საწყის მიზნებთან მისი დაბრუნებაა. მაშ ასე, საზოგადოებას არ უყვარს მის შექმნაში არსებული ამ სუსტი ადგილის შეხსენება, ის არ არის დაინტერესებული სექსუალური ლტოლვის ძალის აღიარებასა და თითოეულისათვის სექსუალური ცხოვრების მნიშვნელობის გარკვევაში. მეტიც, აღმზრდელობითი მოსაზრებებით ის მთელი ამ სფეროდან ადამიანთა ყურადღების გადატანას ცდილობს. ამიტომ არის ის შეუწყნარებელი ფსიქოანალიზის გამოკვლევათა ზემოთ ხსენებული შედეგის მიმართ და სიამოვნებით წარმოაჩენს მას, როგორც ესთეტიკური თვალსაზრისით საზიზღარს და მორალური თვალსაზრისით უხამსს. მაგრამ ასეთი გამოხტომებით სამეცნიერო მუშაობის ობიექტური შედეგების უარყოფა შეუძლებელია. **საპირისპირო აზრი ინტელექტუალურად დასაბუთებული უნდა იყოს. ადამიანს ხომ სჩვევია, არასწორად ჩათვალოს ის, რაც არ მოსწონს,** და საწინააღმდეგო არგუმენტები მაშინ ადვილად იძებნება. მაშ ასე, **საზოგადოება არასასურველს არასწორად რაცხს,** ფსიქოანალიზის ჭეშმარიტებას აფექტებით ნაკარნახევი ლოგიკური და ფაქტობრივი არგუმენტებით აყენებს ეჭვქვეშ და მიუხედავად მათი უარყოფის ყველა მცდელობისა, ამ ცრურწმე-ნებს ებღაუჭება.

გარწმუნებთ, რომ ამ საკამათო დებულების წამოყენებისას ტენდენციურობისაკენ სულაც არ მივისწრაფოდით. მხოლოდ საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის ჩვენება გვსურდა, რომელიც, იმედი მაქვს, შეუპოვარი შრომის პროცესში შევიცანით. ახლაც ვთვლით, რომ უფლება გვაქვს, უარვყოთ მეცნიერულ მუშაობაში მსგავსი პრაქტიკული მოსაზრებების ყოველგვარი ჩარევა, თუმცა, ჯერ არ დავრწმუნებულვართ იმ შიშების საფუძვლიანობაში, რომლებმაც ეს მოსაზრებები გამოიწვია.

აი, ზოგიერთი იმ სიძნელეთაგან, რომლებსაც ფსიქოანალიზის შესწავლის პროცესში წააწყდებით.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

თარგმნა **მარინე კიკნაძემ**



ლონდა ჯიქია

# რასპუტინის ქუთაისელი სასიძო

1992 წელს პრესაში გამოქვეყნდა მოგონება რუსეთის სამეფო კართან, კერძოდ, ნიკოლოზ II-ის ოჯახთან დაახლოებულ ცნობილ პიროვნებაზე, რასპუტინის სიძედ თუ სასიძოდ მონათლულ ქუთაისელ სიმონიკა ფხაკაძეზე. მოგონების ავტორი- სიმონიკას ბიძაშვილის შვილი (დედის მხრიდან), აწ გარდაცვლილი ვერა გვანცელაძე-ჯიქია, ადამიანი, რომელიც სიმონიკას დედ-მამის ოჯახში შინაური იყო და ცხადია, აჩ-ლობლობდა თავად სიმონიკასთან.

მეწაღის შვილზე, გააზნაურებულ ოფიცერ, არისტოკრატული მანერების მქონე სიმონიკა ფხაკაძეზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მისი აზროვნება რამდენადმე ნეგატიურად წარმოჩნდა და ფაქტების გაზვიადებისა და დამახინჯების ტენდენციამ იჩინა თავი. ჟურნალისტები, მწერლებიც კი, ამ კაცის პიროვნულ თვისებებში და ბიოგრაფიულ მონაცემებში ეძებდნენ სენსაციურს და შორდებოდნენ ჭეშმარიტებას. ჩემი „გახსენებაც" არ იქნება ამომწურავი, მაგრამ იქნება მართალი, ობიექტური. სიმონიკა ფხაკაძეზე კი კიდევ დაიწერება და უფრო ნათლად წარმოჩნდება ამ კოლორიტული პიროვნების ავან-ჩავანი.

მე მთლიანად ვეყრდნობი ჩემი დედის- ვერა გვანცელაძე-ჯიქიას მოგონებებს (სიმონიკა ფხაკაძეს პირადად არ მოვსწრებივარ, მაგრამ კარგად მახსოვს სიმონიკას დედა და სამი და-ძმა, საკმაოდ ახლოსაც ვიყავი მათთან, მაგრამ იყო პერიოდი, როცა ასეთ პიროვნებაზე წერა არ შეიძლებოდა, ამიტომ ბევრი საინტერესო ფაქტი, რომელიც შეიძლებოდა მიმეღო მისი აწ უკვე გარდაცვლილი და-ძმებისგან, დაიკარგა, დაიკარგა ფოტოსურათებიც, რომლებზეც, ჩემი დედის გადმოცემით, აღბეჭდილი იყო სიმონიკა ნიკოლოზ II-ის ოჯახთან ერთად, ნიკოლოზ II-ის ერთ-ერთ ქალიშვილს, სახელდობრ ტატიანას, სიმონიკას ოფიცრის ქუდი ეხურა).

ვერა გვანცელაძე-ჯიქიას მოგონებებში გადმოცემულ ფაქტებში ჩვენ შევეცადეთ დაგვენახა სიმონიკა ფხაკაძის ჭეშმარიტი ბუნება, როგორც უცხოურ ნიადაგზე გადანერგილი ქართული ჯიშის ტრანსფორმაციის შედეგი, რაშიც მშობლიურმა გენებმა მაინც იმძლავრა და მისი პიროვნული თვისებები უფრო ნათლად წარმოაჩინა: რუსეთში ხანგრძლივი ცხოვრების მიუხედავად სიმონიკა ფხაკაძე ჭეშმარიტ ქართველ კაცად წარმოგვიდგება, მას სავსებით შენარჩუნებული ჰქონდა ქართული ხასიათი და ადათ-წესებისადმი სიყვარული. იგი ამითაც გამოირჩეოდა იმ დროს პეტერბურგში დროსმატარებელ მოქეიფე ოფიცრებს შორის. ცნობილია გამოთქმა-ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართო და სიმონიკა ფხაკაძის ხასიათის ჩამოყალიბებაში უპირველესი როლი, ალბათ, იმ ოჯახურ გარემოს უნდა მიეკუთვნოს, სადაც ტრადიციული ქართული წესები იყო გაბატონებული.

სიმონიკას მამა ივანე ფხაკაძე სახარაზოს მეპატრონე იყო და საკმაოდ შეძ-ლებულიც. დედა-ელუკი მუხიანელი ბაბუნაშვილის ქალი გახლდათ. წარმოსადეგი, დარბაისელი, კეთილი, ნიადაგ ქართულ კაბასა და ჩიხტი-კოპს ატარებდა. მას განსაკუთრებული განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ჭკუა-გონებით, აღზრდითა და შინაგანი კულტურით დიაღაც რომ საყოველთაო მოწონებასა და პატივისცემას იმსახურებდა. ფხაკაძეების ოჯახში, რომელიც მერმინდელ წულუკიძის, ახლანდელ ასათიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში ცხოვრობდა, თავს იყრიდა იმდროინდელი ქუთაისის წარჩინებული საზოგადოება. ოჯახს ხუთი შვილი ჰყავდა: ორი ულამაზესი ქალიშვილი და სამი ვაჟი, მათ შორის სიმონიკა რიგით მეორე იყო. ტრადიციულ ქართულ ოჯახში აღზრდილი სიმონიკა და მისი და-ძმები, გიმნაზიის წყალობით, იმთავითვე ევროპულ კულტურასაც იყვნენ ნაზიარები. ამ ოჯახის უფროსი ვაჟიშვილი ალექსანდრე სოციალ-დემოკრატი გახდა, რითაც მშობლები დიდად უკმაყოფილონი დარჩნენ. იგი რუსეთში წავიდა და მას შემდეგ არავინ იცოდა მისი ბედი, მის სახელს ტაბუ დაედო ოჯახშიც და სანათესაოშიც. ბავშვობაში სიმონიკა ძალიან ცელქი ყოფილა. იმთავითვე მჟღავნდებოდა მისი დამოუკიდებული და გაბედული ხასიათი. იქვე ახლოს ცხოვრობ-და მაიაკოვსკის ოჯახი. სიმონიკა და ვალოდია ბავშვობაში მეგობ-რობდნენ. ერთხელ რაიონზე საბანაოდ გაპარულან. შეშფოთებულ მშობლებს ყველგან უძებნიათ, მაგრამ ვერ წარმოედგინათ, თუ რიონზე საბანაოდ გაბე-დავდნენ წასვლას. მშობლები უკვე სასოწარკვეთილებამდე იყვნენ მისული, რომ გამოჩენილან. სიმონიკას მამას ჯერ ორივენი გაუშოლტია, შემდეგ კი საქათმეში დაუმწყვდევია.

ოჯახში ბავშვების აღზრდას ძირითადად დედა ხელმძღვანელობდა. საღამოს, ჩაის შემდეგ, ბავშვებს ადრე აძინებდნენ ხოლმე, შემდეგ კი ცოლ-ქმარი ვახშამს შეექცეოდა. აზიურად, ტილოგადაფარებულ ტახტზე შლიდნენ სუფრას. იქვე აუცილებლად პატარა დოქით ღვინო ედგათ. აქ, ამ სუფრასთან, უზიარებდა ცოლ-ქმარი ერთმანეთს გასული დღის ამბებს და სამომავლო გეგმებს სახავდა ურთიერთთანხმობით. მეტად შეხმატ-კბილებული ცოლ-ქმარი იყო. ზოგჯერ ელუკი მის განუყრელ დაირასაც შემოჰკრავდა დაბალ ხმაზე, რომ მეზობელ ოთახში ბავშვებს არ გაეღვიძათ. ამ დროს ბავშვები, ღამის პერანგში, საწოლიდან წამოშლილები, კარის ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდნენ მშობლების "ნადიმს". მშობლები თვალს რომ შეასწრებდნენ, დატუქსავდნენ ხოლმე და შეაბრუნებდნენ საწოლებში.

ოჯახის დიასახლისი ელუკი ბაზარში არასოდეს დადიოდა. მასთან შეჩვეული იყო ერთი კაცი, სახელად არონა, რომელიც ყოველ დილით მიიღებდა მისგან დაკვეთას და ფულს. მოუტანდა ბაზრიდან და მაღაზიიდან უმაღლესი ხარისხის პროდუქტებს: თართის ნაჭერს, ხიზილალას, შავ მსუქან დედალს, რამდენიმე სახეობის ყველს, ბოსტნეულს, მწვანილს, ხილს. არონა სხვა შეძლებულ ოჯახებსაც ემსახურებოდა. ელუკი ბებიაჩემის მამიდა იყო, მაგრამ მას მამიდას ეძახდა ჩვენი სანათესაოს ყველა წარმომადგენელი (მათ შორის დედაჩემი და მეც), იგი მთელ სანათესაოში უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. მახსოვს, როდესაც რომელიმე ნათესავს რაიმე გასაჭირი დაადგებოდა, იმწამს ელუკი მამიდას უხმობდნენ ხოლმე; მისი დინჯი, აუჩქარებელი ნაბიჯით შემოსვლა, იმედიანი სიტყვა და საკითხის ბრძნული განსჯა უდიდესი შვების მომგვრელი იყო.

პეტერბურგში მუდმივად მცხოვრები სიმონიკა არასდროს ივიწყებდა მშობლიურ კერას. იგი დროდადრო ჩამოდიოდა ქუთაისში და აუცილებლად მოინახუ-ლებდა ნათესავებსაც. თან ჩამოჰქონდა საჩუქრები და ბევრ საინტერესო ამბავსაც ყვებოდა სასახლის კარის ცხოვრებაზე. ეს ულამაზესი ვაჟკაცი ნიკოლოზ II-ის ოჯახში ხშირად ხვდებოდა რასპუტინის ქალიშვილს მატრონას, რომელსაც ძლიერ შეჰყვარებია სიმონიკა. იმპერატორის ოჯახს ხელი შეუწყვია და სიმონიკა მისი ოფიციალური საქმრო გახდა, მაგრამ რასპუტინის მკვლელობამ ხელი შეუშალა ამ ქორწინებას. სიმონიკა მეგობრებმა გააფრთხილეს, რომ მზადდებოდა რასპუტინის მკვლელობა. სიმონიკას აუდიენცია უთხოვია იმპერატორთან და მოუხსენებია მისთვის, რომ კავკასიაში მიღებული წესის თანახმად, მან ქორწინების წინ მშობლების ლოცვა-კურთხევა უნდა მიიღოს, რისთვისაც ითხოვდა სამშობლოში გამგზავრების ნებართვას. იმპერატორს ნება დაურთავს. ეს იყო 1916 წელი. ქუთაისში ჩამოსული სიმონიკა სახლში ჩაიკეტა და არსად ჩნდებოდა. თან ჩამოიტანა რასპუტინის ქალიშვილის ფოტოსურათი და რასპუტინის უზარმაზარი ჩითის პერანგი, როგორც იშვიათობა, საჩვენებლად. აღნიშნული ნივთები სხვენზე შეინახეს. შემდეგ სიმონიკა დაქორწინდა ქუთაისელი ტატიშვილის ულამაზეს ქალზე. ეს თვალწარმტაცი წყვილი ხშირად დასეირნობდა ქუთაისის ქუჩებში. სიმონიკა შავ ცხენზე იჯდა, მეუღლე კი, "ამაზონკაში" გამოწყობილი, თეთრ ცხენზე. ლალა ტატიშვილი ბოლოს თბილისში ცხოვრობდა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მუშაობდა რეკვიზიტის გამგედ.




სიმონიკას ცხოვრება პეტერბურგში აღსავსეა თავგადასავლებით. ერთ-ერთი მათგანი ბურთიკაშვილსაც აქვს აღწერილი თავის მოგონებებში. ერთხელ ცხენზე ამხედრებული სიმონიკა პეტერბურგის ცენტრალურ ქუჩაზე მიდიოდა. ამ დროს აქ გუბერნატორს უნდა ჩამოევლო და "გოროდოვოი" ქუჩას ათავისუფლებდა ეკიპაჟებისაგან. სიმონიკამ ყური არ ათხოვა "გოროდოვოის" მოთხოვნას, ამაყად განაგრძო გზა შუა ქუჩაში და წინ შეეფეთა გუბერნატორის ამალას. ამ თავხედობის გამო მას სასჯელად სამი დღით "კარცერში" ყოფნა მიესაჯა.

იმ დროს, როდესაც ქართული არისტოკრატიის გაევროპელებული ნაწილი უკადრისობდა ყველაფერ აზიურს, სიმონიკას მონაწილეობით ქუთაისში ჩატარებული ყველა მეჯლისი ბოლოს ქართული ქეიფით-დოლითა და დუდუკებით მთავრდებოდა. ასე იყო სიმონიკას დის, ქუთაისში სილამაზით განთქმული მარიამის ქორწილის დროსაც. მარიამი ქუთაისში ბრწყინვალე არისტოკრატული ოჯახის-გაიდამაშჩუკების რძალი გახდა. ქორწილი გადაიხადეს ამჟამინდელი ტიციან ტაბიძის ქუჩაზე მდებარე გაიდამაშჩუკების სახლში, რომელსაც შესანიშნავი ბაღი ჰქონდა (ამ სახლში შემდეგ სამხედროები დაბინავდნენ), ჯვარი კი მთავარანგელოზის ეკლესიაში დაიწერეს. გაიდამაშჩუკების დიდ ეზოში ზათქითა და ხმაურით გაიხსნა შამპანურები და დაილია ნეფე-დედოფლის სადღეგრძელო. ბაღში იდგა პატარა მაგიდები სასმელებითა და ტკბილეულით, რომლებსაც სტუმრები ფეხზე მდგომნი შეექცეოდნენ ("ა ლა ფურშეტ", როგორც ფრანგულად უწოდებენ), შემდეგ კი დარბაზში გადაინაცვლეს, სადაც გაშლილი იყო შესანიშნავი სუფრა. კერძებს შორის სუფრას ამშვენებდა ლანგრებზე დაწყობილი ცოცხალივით შებუმბლული ხოხბები. სტუმრები მოხერხებულად გადახსნიდნენ აპკს, რომელშიც სურნელოვან ჩახოხბილს მადისმომგვრელი ოხშივარი ასდიოდა. ქორწილი ევროპული წესით, სამეჯლისო ცეკვებითა და სიმღერებით გადაიხადეს. გათენებისას, რგორც იგონებს ამ ქორწილის დამსწრე ვერა გვანცელაძე-ჯიქია (იგი მაშინ გოგონა იყო და დედოფლის კაბის "შლეიფი" ეჭირა), ბაღიდან მოისმა დუდუკების ხმა-დილის საარი. მარიამის ძმას სიმონიკას, რომელიც პეტერბურგიდან საგანგებოდ იყო ჩამოსული, მოეყვანა მედუდუკეები. ეს გაევროპელებული არისტოკრატი გულში ნამდვილად ქართველად რჩებოდა და ქართული სუფრის ლაზათიც კარგად იცოდა. მან დარბაზში შემოიყვანა დამკვრელები. აზიური საკრავების-დოლისა და დუდუკის ხმამ სტუმრებში შეცბუნება გამოიწვია. დაუკრეს "ლეკური" (ასე უწოდებდნენ მაშინ ცეკვა "ქართულს"). პირველი წრე თვით სიმონიკამ ჩამოუარა და გაიწვია თავისი უმცროსი და ნინო. გახურდა ცეკვა, ქართველ მამაკაცებს თანდათან აენთოთ სახეები, ისინიც ჩაებნენ ცეკვაში, გაიწვიეს ქალები, გაცოცხლდა ქართული სული...

თებერვლის რევოლუციის შემდეგ სიმონიკა დაბრუნდა საქართველოში. თბილისში მან დააარსა იპოდრომი და ცხენთსაშენი ("კონოზავოდი", როგორც მაშინ უწოდებდნენ), სადაც წმინდა ჯიშის ცხენები გამოჰყავდათ დოღისათვის. სიმონიკა ფხაკაძე რესპრესირებული იყო ორჯერ, 1936 წელს იგი გადასახლებაში გარდაიცვალა. დარჩა ერთადერთი ქალიშვილი (რომელსაც საყვარელი უმცროსი დის სახელი-ნინო დაარქვა) და შვილიშვილები. ფხაკაძეების გვარის გამგრძელებელია სიმონიკას ძმისშვილი ოთარ ფხაკაძე, რომელშიც ხელახლა განსახიერდა სიმონიკა ფხაკაძის ვაჟკაცური ფიზიკური სილამაზე. თბილისში ცხოვრობს სიმონიკას უფროსი დის მარიამის ვაჟი ვახტანგ გაიდამაშვილი ოჯახით.

სიმონიკა ფხაკაძის, ამ უბადლო ქართველი ვაჟკაცის სახელი და მისი გასაოცარი თავგადასავლები ლეგენდად გადაეცემა შთამომავლობას, როგორც ქართული გენის კიდევ ერთი იშვიათი გამოვლინება.

ქუთაისში დაკრძალულია სიმონიკას მამა-ივანე ფხაკაძე, რომლის საფლავი თვით სიმონიკას გაუკეთებია 1912 წელს, ხოლო დედა და დები, მოხდა ისე, რომ თბილისში, ვაკის სასაფლაოზე განისვენებენ.

ძველი ფოტოგრაფი ჯიუტად იცავს წინაპართა ჩვევას: ლარივით გამართული ქართულით მეტყველებს და ლარივით წელში გამართული დადის. აი, მისი პროფესია კი შესაძლოა მთლად ვერ ყოფილიყო მისი წინაპრების მოსაწონი. ისინი ფოტოგრაფობას მხოლოდ ალღოიან ხელოსანთა საქმედ თვლიდნენ. ალბათ იმიტომაც, რომ მათ თავის გამოჩენის სხვა ასპარეზიც ჰქონდათ. ოთარ კაკაბაძემ კი სწორედ ასე შეძლო სამშობლოს სამსახური - მან მე-20 საუკუნის საქართველო თავის ფოტოებზე "შეინახა" და უცხოეთში გაფანტული დიდი ქართველების სურათებიც მოაგროვა. ასე შეიქმნა ერის ფოტომატიანის მნიშვნელოვანი ნაწილი. სხვათა შორის, ოთარ კაკაბაძის ფოტომონტაჟებზე ბევრი ჩვენგანი აღიზარდა - სკოლებში გამოფენილი ქართველ მოღვაწეთა სურათები დღესაც მის სახელოსნოში მზადდება. თუმცა ახლა ეს სიმდიდრე ერთ ნესტიან და მოუწყობელ სარდაფში ინახება ოპერასთან ახლოს. ოსტატი არქივს ყოველდღე ალაგებს და იმედიანადაც გახლავთ: ფიქრობს, რომ დადგება ჟამი, მოვა შთამომავლობა, რომელიც დააფასებს წინაპართა დანატოვარს.

ძველი ფოტოგრაფი ტრაგიკული ქართველების ცხოვრების ისტორიებსაც აგროვებდა... ამ ისტორიათა მცირე ნაწილი ასეთი გახლავთ:

**ამბავი ჩამომიტანე...**

- საქართველოს საუკეთესო შვილები უცხოეთში დრომ გააქცია. გიფიქრიათ რა მოგვივიდოდა, რომ არ გვყოლოდა ექვთიმე თაყაიშვილი, რა დაემართებოდა იმ სიმდიდრეს, რომელიც ქართველებმა ძლივძლივობით დავაგროვეთ? - აღარ გვექნებოდა! შიმშილით კვდებოდა, მაგრამ ამ ქონებიდან გრამიც არ გაუყიდია. წერილს წერილზე აგზავნიდა ბოლშევიკებთან (რომლებსაც არასოდეს წყალობდა): ცუდად ვარ, დააჩქარეთ და ეს სიმდიდრე გამოისყიდეთო. აქ ჩამოიყვანეს და მერე მიატოვეს. მახსოვს, რას წერდნენ მასზე ჩვენი გაზეთები: ამისთანა სწავლულმა კაცმა მენშევიკებს ხელი შეუწყო და ყველაფერი გაატანინაო. მაგრამ ვის რას მოატყუებდნენ, - მაშინდელ ახალგაზრდობას ფარულად მოსდიოდა სიგნალები, ვინ რისი გამკეთებელი იყო უცხოეთში. იცით, როგორ მოჰქონდათ უცხოეთიდან წერილები? - დააკუპიურებდნენ, შემოაგდებდნენ და გაქრებოდნენ. ჩემი მეგობრის მამამ, კოლია სადარაძემ, დაკარგული შვილი ლევანი ასე იპოვა: ერთხელაც ჩუმად მითხრა, დღეს ჩვენი ოჯახისთვის ახალი წელი გათენდა, იმიტომ რომ ლევიკოს წერილი მივიღეთო... ერთ დღეს ლევანი ქუთაისიდან ბათუმში წავიდა და გაქრა. ეძებეს, მაგრამ ვერც მკვდარი ნახეს და ვერც ცოცხალი. ცოცხალი აღარც ეგონა, მაგრამ კოლია ბიძიას, ცნობილმა თბილისელმა ფოტოგრაფმა ევტიხი ჟვანიამ ფოტო მისცა - უცნობმა ქალმა მთხოვა, გამიმრავლეო. მე არ მცალია, შენც ხომ იცი ეს საქმე, დამეხმარეო... ფოტოზე მაგიდას ოთხი კაცი ეჯდა თურმე... იმ ოთხიდან ერთში შვილი იცნო და კინაღამ გული გაუსკდა. ფოტოების პატრონმა დააკავშირა ლევანთან... ჩვენი კალათბურთელები რომ სირიაში წავიდნენ, კოლია ბიძიამ ნოდარ ჯორჯიკიას დაავალა, შვილის ამბავი გამიგეო. ლევანს უკვე ფაბრიკა ჰქონდა იქ გახსნილი. ბიჭები რესტორანში დაპატიჟეს თურმე. ნოდარი ამბობდა, - კიბეზე რომ ავდიოდით, ორკესტრმა „სამშობლო" დაუკრა, კუთხეში კი მაგიდას ლევანი მარტო მისჯდომოდა და ტიროდაო...

შემდგომ ლევანი და მისი ქალიშვილები არაერთხელ ესტუმრნენ საქართველოს, მიხარია, მათი შთამომავალი დღეს რომ თბილისში ცხოვრობს.

**უნიკალური ფოტოები მაქვს სტალინის...**

- მას ბევრი არ სცემს პატივს, მაგრამ მე ვაფასებ... როგორ არ დავაფასო? განა ბევრი გვყავს ისეთი ქართველი, ვინაც მსოფლიო თავის ჭკუაზე ატარა? სამშობლო გაწირაო. თავი არ გაწირა? - უცხოობაში მუხანათურად დაასრულა სიცოცხლე - სიკვდილის შემდეგ იმ ხალხმა, ვისაც ემსახურებოდა, მტრად აქცია... ჩვენი მიწის შვილია და ჩვენვე უნდა შეგვეცოდოს. არც ისე გულქვა იყო, როგორც ამბობენ. 1936-ში ჩემს დას მოსკოვში, ფიზკულტურის ოლიმპიადაზე გავყევი. ტრიბუნის მოპირდაპირე მხარეს ვიდექი და კარგად მახსოვს, რა გააკეთა სტალინმა, როცა დიქტორმა გამოაცხადა, ქართველები გამოდიანო. მუჯლუგუნებით მისწი-მოსწია წინ მდგომი ეჟოვი და ვოროშილოვი და მოაჯირს მოაწყდა. მე მას ვუყურებდი, ის კიდევ ჩვენს სპორტსმენებს...

ერთი უნიკალური ფოტო მაქვს: სტალინი ქუთაისშია - აქეთ ის ზის, იქით ბერია და შუაში - ქალაქკომის მდივანი. რამდენიმე წლის შემდეგ ქალაქკომის მდივნის ნათესავმა იმდღევანდელი ამბავი მომიყვა: სტალინმა იკითხა თურმე, ქუთაისში მეეტლე რომ იყო, გვარად მელია, სად არისო... მოძებნეს და მოუყვანეს. თუ გახსოვვარო, ჰკითხა. - არაო. მე ის ბიჭი ვარ, რომ მოსდევდნენ, შენ კი წყალტუბომდე ჩაიყვანე. ფული არ ჰქონდა და უთხარი, მშვიდობით იარე, როცა გექნება, მაშინ გადამიხადეო... მეეტლემ ვერ გაიხსენა - ამას ახალი ეტლი უყიდეთო, - სტალინმა და, თან ყველა გადასახადი მოუხსენითო...

მახინჯაურელი პოლკოვნიკი ჰყვებოდა სტალინზე, - სიკეთეს არ კარგავდაო. ეს კაცი მეფის პოლიციელი ყოფილა. იჯდა თურმე და თავის აივანზე, ჩაის სვამდა ოჯახის წევრებთან ერთად. მიტინგიდან შემოვარდნილა ეზოში ყმაწვილი... მივხვდი, მოსდევდნენ და სარდაფისკენ ვუჩვენე, მანდ დაიმალე-მეთქი. ჩავიდა თუ არა, ჟანდარმები შემოცვივდნენ. ვუთხარი, აქ არავინ შემოსულა-მეთქი. უკან რომ გაბრუნდნენ, ის ბიჭი ამოვიყვანე და ფული მივეციო... მოხდა რევოლუცია, გავიდა წლები. ერთ დღესაც დამიძახეს და მითხრეს, სტალინი პოლკოვნიკობით გაჯილდოებსო. სტალინის შვილსაც ვიცნობდი, იაკობს. თბილისში სტუმრად ჩამოდიოდა თენგიზ ჟღენტის შვილთან, კოკისთან. ძალზე უბრალო კაცი იყო. ეს თენგიზ ჟღენტი კიდევ ფილიპე მახარაძესთან მუშაობდა. კომუნისტები კი ვართ, მაგრამ მაინც ქართველები ვართო, ამბობდა და ამისათვის 37-ში შინაპატიმრობა მიუსაჯეს... თავი მოიკლა. ეს ამბავი კოკის ცოლისდამ მიამბო: ხმაური მომესმა და ჭუჭრუტანაში შევიხედე. დავინახე რევოლვერი ეჭირა ხელში, იმ წუთში ვიკივლე, რას შვრები-მეთქი, მაგრამ გაისროლა და იატაკზე უკვე სისხლიანი დავარდაო. აი ასეთი კაცის შვილთან მეგობრობდა იაკობი. სხვათა შორის, იაკობს ეკუთვნის სიტყვები: - შვილები მამების გამო პასუხს არ აგებენო...

**მიხაკის ორდენის რაინდები**

- ძველმოდური კაცი ხარო, მეუბნებიან, მაგრამ მე მაინც ვამბობ, რომ ჩემი დროის ადამიანებმა საქმით დაამტკიცეს თავიანთი კეთილშობილება.

...მახსოვს, ომის დროს 14-15 წლის ბიჭები ჩემს დედულეთში წავედით სოხუმში. წვალებით ნაშოვნი ფული გვქონდა. ერთმა აიჩემა, რესტორანში უნდა შევიდეთო. რა გვერესტორნებოდა - სოხუმიდან 12 კილომეტრში გერმანელების ტყვიების ზუზუნი ისმოდა. შევედით... უეცრად შემოდის კონსტანტინე გამსახურდია. კიტელი და გალიფე აცვია და თანაც ჰალსტუხი უკეთია. ჩვენთან დაბრძანდითო, ვთხოვეთ. აბა, ყაენი კი არ ვარ, მარტო რომ დავჯდეო. ბევრი გველაპარაკა. სულ დაგვავიწყდა ტყვიები და გერმანელები....

რომ წამოვიზარდე, გალაკტიონს დავუახლოვდი. ერთხელ ზემელთან შემხვდა, ბელინსკის ქუჩაზე წავედით, სარდაფში. იქ ჩვენი ფეხბურთელები ქეიფობდნენ, მატჩი ჰქონდათ მოგებული და... უკითხა გალაკტიონმა ლექსები... ამაზე დიდი ჯილდო რა იქნებოდა, - მოდიოდა და მოდიოდა სადღეგრძელოები, მერე მხრებში ამოვუდექით და ბარბაცით მივიყვანეთ სახლამდე. სულ ჩემთან დადიოდა სურათების გადასაღებად... ერთი მისი ფოტო მაქვს, ჯერ არსად დაბეჭდილა. რომ დაკარგა, ის ლენინის ორდენი უკეთია და ხელში "პაპიროზი" უჭირავს. ასეთი იყო სინამდვილეში...

რუსთაველზე ხშირად ვხვდებოდით პაოლოსა და ტიციანს. ძალიან მომწონდა ტიციანის ჯიბეში წითელი მიხაკი... აი, ასეთი ხალხი იყო ძველად.

**საქართველოს ლამაზები**

- ბევრი ლამაზი ქალი დადიოდა თბილისში. ახლანდელი გოგონებიც ძალიან ლამაზები არიან, მაგრამ იმათ მაინც ვერ შევადარებ. ისინი ბევრად უფრო სათნოები იყვნენ. იმიტომ, რომ თავის მოვლის დრო ჰქონდათ და სიმშვიდეში ცხოვრობდნენ. ეს სახეზეც ეწერათ. აი, ჩვენი კულტურის მინისტრის ბებია, ზეინაბი იყო უმშვენიერესი ქალბატონი. მთელი თბილისი შესტრფოდა ნათელა ცხომელიძეს, მზია ჯავახიშვილს, ბაბულია თვალავაძეს... აი ასეთ სილამაზეს ვიღებდი ფოტოებზე.

**როგორი იქნება უჩვენოდ საქართველო?**

- მეგობარი მყავს, ექიმი ლევან ჭაჭიაშვილი, თბილისის კოლორიტი. ერთხელ მკითხა: ნეტა, ჩვენ რომ აღარ ვიქნებით, საქართველო როგორი იქნებაო?.. მას შემდეგ ამაზე ვფიქრობ. არ მომწონს, ყველაფერი ფულზე რომ იყიდება. სიკეთე ყოველთვის უნდა იყოს, ისე არც ადამიანი დარჩება... ერთხელ ლევანს ვთხოვე, კაცს ფული არა აქვს და ოპერაცია გაუკეთე-მეთქი. მოიყვანე, რას მეხვეწებიო. ასე ეხმარებოდა ერთმანეთს ხალხი. ახლა ეჭვი მეპარება, ასეთი რამ მოხდეს... იცით, რა არ უნდა დაგვავიწყდეს? - საქართველოთი სიამაყე. ადრე წყალწაღებული კაცისთვისაც რომ შეეგინებინა ვინმეს სამშობლო, თავს შეაკლავდა. შალვა ბერუაშვილი სწავლობდა ჩემს კლასში... მერე კანონიერი ქურდი გახდა. 22 წლისა მაგადანში გადაასახლეს, მალე მისი ძმა და რძალიც მაგადანში გაამწესეს - ოღონდ ხელმძღვანელ მუშაკებად. რძალი ექიმი იყო, ქვა გახვრიტა და კოლონიაში მაზლი პირველად ნახა... ამ ქალმა მიამბო, ისეთი ლამაზი ვაჟკაცი დავინახე, თავი ზღაპარში მეგონა. ვუთხარი, ხალხი დაგიხოცავს და შენამდე ძლივს მომიშვეს... ასეთი კარგი ოჯახის შვილი ტყუილუბრალოდ კაცისმკვლელი როგორ გახდებოდი, არ დამიმალო, რა მოხდა-მეთქი... მაგათ საქართველო შემიგინეს, ეს ვერ ავიტანეო... ასე უპასუხია...

**თქვენთვის შემინახავს...**

- ამ ხნის კაცი პარტიაშიც კი შევედი ვახტანგ ბოჭორიშვილთან... მეგობარი იყო ჩემი. მითხრა, ახალგაზრდობას სჭირდებიო... მინდოდა, საქართველოსთვის რაიმე კიდევ გამეკეთებინა. ვერ მოვინელე ძმათამკვლელი ომი. ყოველდღე მოვდიოდი ჩემს სარდაფში (არადა, ზუსტად აქ ისროდნენ ტყვიებს). ერთი ქართველი ქალი, ელზა ბენაშვილი მეხმარებოდა - ნათელში იყოს მისი სული. ვერაფრით დავატოვებინე აქაურობა. ეს ფოტოები ერის სიმდიდრეა და არავის გავანადგურებინებო... ერთხელაც, რომ მოვედი, ჟურნალისტი დავით მჭედლიშვილი დამხვდა თავშეფარებული... თვალები გაუდიდდა: - ბატონო ოთარ, ამ ტყვიებში როგორ დადიხართო? ჩემი სიცოცხლე ახალგაზრდობის სიცოცხლესთან რა მოსატანი იყო. თანაც, აქაურობას როგორ დავტოვებდი. მე ხომ მთელი სიცოცხლე საქართველოსთვის ვიშრომე... ჩემ გარდა უამრავი ადამიანის შრომაა ჩადებული ამ ფოტოებში. აი, ახლაც მეხმარება ერთი ქალბატონი, თალიკო გაბედავა... მე კი შრომის საფასურად ვერაფერს ვუხდი და ამას ძალიან განვიცდი. მაგრამ იცით, რა მითხრა: - ბატონო ოთარ, ნუ დარდობთ, ჩემი ჯილდო ის არის, რომ ეროვნულ საქმეს ვაკეთებთო... ერთი პატიოსანი კაცი სასკოლო სურათების ჩარჩოებს მიკეთებს ჩალის ფასად, ისიც იმას ამბობს, - ბავშვებს სჭირდებათ და თუ ფული არ გაქვთ, მოვითმენო... აი, ასეა საქმე... კი არ ვწუწუნებ, უბრალოდ მიკვირს, რატომ ვიგებთ ქართველები გვიან, ფასი ნამდვილად რას აქვს... ხომ მოხუცი ვარ და მაინც არ ვაპირებ დანებებას, ჯერ ერთი, 9 შვილიშვილი მყავს და მინდა ყველა ამ საქმეში ჩავრთო... მოუარონ ამ სიმდიდრეს, ყოველთვის ასეთი დრო ხომ არ იქნება? გოკა გაბაშვილთანაც ვაპირებ მისვლას. მე მის ბებია-ბაბუას ვიცნობდი, ისინი უვლიდნენ საქართველოს და ახალგაზრდა მინისტრსაც ვეტყვი, რომ ასეთ საქმეებს უპატრონოს, ეროვნულ საქმეებს... რაც აკაკის, ილიას, ვაჟას, გალაკტიონს და ჩვენს სულნათელ წინაპრებს ეხება, ის დაჩოქილმა უნდა აგროვოს და გაუფრთხილდეს... თორემ ამ ხალხის ხსოვნა თუ გაქრა, საქართველოც გაქრება და რა თავში იხლიან მერე თანამდებობებს?..

**ეთერ ერაძე**



ოთარ კაკაბაძე

## ეს ფოტო იბეჭდება პირველად



რომ წამოვიზარდე, გალაკტიონს დავუახლოვდი. ერთხელ ზემელთან შემხვდა, ბელინსკის ქუჩაზე წავედით, სარდაფში. იქ ჩვენი ფეხბურთელები ქეიფობდნენ, მატჩი ჰქონდათ მოგებული და... უკითხა გალაკტიონმა ლექსები... ამაზე დიდი ჯილდო რა იქნებოდა, - მოდიოდა და მოდიოდა სადღეგრძელოები, მერე მხრებში ამოვუდექით და ბარბაცით მივიყვანეთ სახლამდე. სულ ჩემთან დადიოდა სურათების გადასაღებად... ერთი მისი ფოტო მაქვს, ჯერ არსად დაბეჭდილა. რომ დაკარგა, ის ლენინის ორდენი უკეთია და ხელში "პაპიროზი" უჭირავს. ასეთი იყო სინამდვილეში...

# ფაშიზმისაგან ჩერჩილს დავუხსნივართ!

## ასე სწამს ჩერჩილის შვილიშვილს

- ჩერჩილი რომ არ ყოფილიყო, დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ 1940 წლის ზაფხულში დანებდებოდა ფაშისტებს. და მაშინ ჰიტლერი მთელ ძალებს სსრ კავშირის წინააღმდეგ დაძრავდა, და, შესაძლოა, წითელ არმიას ვერც კი გაეწია მედგარი წინააღმდეგობა. ჩემი აზრით, ჩერჩილის პირადი ვაჟკაცობა და გამბედაობა რომ არა, დასავლეთი ევროპის ყველა ქვეყნის და საბჭოთა კავშირის თავზეც სვასტიკიანი დროშა იფრიალებდა.



უინსტონ ლეონარდ სპენსერ ჩერჩილი გახლავთ პაპა. მის ვაჟს რენდოლფ სპენსერი ჰქვია, შვილიშვილს (სწორედ ვაჟის მხრიდან) – რენდოლფ სპენსერ უინსტონი. ჩვენი ჟურნალისტი შვილიშვილს ესაუბრება.

*- პაპა კარგად გახსოვთ?*

- რასაკვირველია. ჯერ კიდევ სამხედრო ხანიდან, თუმცა მე ცოტა დროს მითმობდა. მიზეზი არასოდეს მიკითხავს არც მისთვის, არც მშობლებისთვის. დარწმუნებული ვიყავი: პაპა იმიტომ არის მოუცლელი, რომ მსოფლიო უნდა გადაარჩინოს. თითქმის 60 წელი გავიდა, მაგრამ ახლაც ვფიქრობ, რომ მან ფაშიზმისაგან იხსნა თუ მთელი მსოფლიო არა, თავისი ერი ნამდვილად. პაპამ შეძლო ქვეყნის ცხოვრების ენერგიული გარდაქმნა გერმანიასა და ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოებთან ომისათვის.

***- ზოგიერთი რუსეთელი ისტორიკოსი ფიქრობს, რომ ბრიტანეთთან მოკავშირეობამ სსრ კავშირს დაპირება მეტი მოუტანა, ვიდრე სარგებლობა...***

- ვიცი, რომ დასავლელი და რუსი ისტორიკოსები სხვადასხვანაირად ხედავენ პაპაჩემის ფიგურას. რუსეთში იმ შეხედულებას ადგანან, თითქოს სსრ კავშირის თანამშრომლობა ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან არცთუ ძალიან სასარგებლო იყო იმის გამო, რომ 1942 წლის ზაფხულისათვის, რუზველტისა და ჩერჩილის მიერ აღთქმული მეორე ფრონტი არ გახსნილა, რამაც ჰიტლერს აღმოსავლეთის ფრონტზე ძალისხმევების გაზრდა შეაძლებინა.

მე მგონია, ეს სულაც არ იყო ასე. სსრ კავშირზე გერმანიის თავდასხმის მეორე დღესვე პაპაჩემი სიტყვით გამოვიდა და განაცხადა საბჭოთა ხალხის მხარდაჭერის თაობაზე, იმაზე, რომ ფაშიზმთან მებრძოლ ნებისმიერ ადამიანსა და ნებისმიერ სახელმწიფოს ბრიტანეთი დაუყოვნებლივ გაუწევს თანადგომას.

უკვე 1941-ის ივლისში ხელი მოეწერა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმებას გერმანიის წინააღმდეგ ერთობლივ ქმედებათა შესახებ. არადა, ადრე ხომ ჩვენი ქვეყნები ვერ დაიკვეხნიდნენ მეგობრულ დამოკიდებულებას. ჩერჩილს ბოლშევიზმის ყველაზე მოურჯულებელი მოწინააღმდეგის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

აბა ერთი ბრიტანეთს კაპიტულაცია მოეხდინა გერმანიის წინაშე, საფრანგეთის განადგურების შემდეგ! სსრ კავშირი ვერ მიიღებდა დახმარების სახით ვერც სტრატეგიულ მომარაგებებს, ვერც სადაზვერვო მონაცემებს, რაც ძირფესვიანად მოახდენდა გავლენას ომის შედეგზე. ერთი სიტყვით, ბრიტანეთი რომ სხვა ქვეყნებთან, მათ რიცხვში საბჭოთა კავშირთანაც, არ გაერთიანებულიყო ნაციზმის წინააღმდეგ, სვასტიკიანი ალმები დღესაც იფრიალებდნენ ევროპული დედაქალაქების თავზე.

***- ბრიტანეთისა და აშშ-ის სამხედრო კავშირზე აქამდე ამბობენ, რომ ჩერჩილმა მისასალმებლად გაიწოდა ხელი, მაგრამ ვერა და ვერ ეღირსა პასუხს!***

- ამერიკის შეერთებულ შტატებთან კავშირი პაპაჩემის მორიგი სტრატეგიული გამარჯვება გახლდათ. მას ესმოდა, რომ საჭიროა ერებისა და მათი ლიდერების ერთიანობის მიღწევა. ჩერჩილმა შეძლო აშშ-ის მთავრობის დარწმუნება ნეიტრალიტეტის გადახედვაში. ამასთან,ვფიქრობ,მისმა დიპლომატიურმა უნარმა მცირე როლი როდი შეასრულა. ბევრი ისტორიკოსის აზრის საპირისპიროდ, მე მგონია, რომ პაპამ მოახერხა ფრანკლინ რუზველტთან საერთო ენის გამონახვა და მათი ურთიერთობები ახლოს იყო მეგობრულთან.

**- როგორ ხვდებით პაპათქვენის სახელთან დაკავშირებულ მითქმა-მოთქმას?**

- სამიოდ წლის წინათ ძალიან აღმაშფოთა სკანდალმა, რომელიც გერმანელი ისტორიკოსის იორგ ფრიდრიჰის წიგნის ,,ცეცხლი. გერმანია ბომბებს ქვეშ 1940-1945 წლებში'' პუბლიკაციის შემდეგ ატყდა. იქ გამოქვეყნებულია მონაცემები იმაზე, თუ როგორ მოექცა 1945 წლის იანვრიდან აპრილამდე გერმანია ისეთ დაბომბვებში, რომლებსაც 300 ათასზე მეტი ადამიანის მსხვერპლი მოჰყვა და ავტორის აზრით, არ ჰქონდათ სამხედრო მნიშვნელობა.

ფრიდრიჰის ეს განცხადება ინგლისელმა ჟურნალისტებმა მარჯვედ გადააქციეს მორიგ ,,სენსაციად'', მოირგეს ისტორიკოსის როლი და დაასკვნეს, რომ ჩერჩილი სამხედრო დამნაშავეა. თანახმა ვარ, მართლაც აურაცხელია იმ პერიოდში დაღუპულთა რაოდენობა, მაგრამ დაბომბვათა მიზანი სამხედრო საწარმოების მოსპობისაკენ სწრაფვა იყო, რაც გაკეთდა კიდევაც. გარდა ამისა, რატომ არავინ არ გაიხსენა, რომ დაბომბვები სწორედ გერმანიამ დაიწყო, როცა პოლონეთში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთში შეიჭრა. სისულელეა პაპაჩემის დადანაშაულება ზედმეტად მკაცრ მოქმედებებში. მას, უბრალოდ, ომის პირველიდან ბოლო დღემდე გამარჯვების კურსი ჰქონდა აღებული და მიაღწია კიდევაც დასახულ მიზანს.

- მახსოვს თუ არა ჩემი პაპა. რა თქმა უნდა. მან ხომ ძალზე დიდი წვლილი შეიტანა ჩემს აღზრდაში, - ასე დაიწყო ჩემთან საუბარი ლეგენდარული პრემიერ-მინისტრის სერ უინსტონ ჩერჩილის შვილიშვილმა, რომელიც, სხვათა შორის, თავისი სახელოვანი პაპის სეხნია გახლავთ.

ახალგაზრდობაში უინსტონ ჩერჩილი, ისევე როგორც მისი პაპა, მუშაობდა სამხედრო კორესპონდენტად, მოუწია ემსახურა აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის 10 ქვეყანაში. 1970 წელს კონსერვატორი-ჩერჩილი აირჩიეს პარლამენტში, სადაც იგი მოღვაწეობდა მთელი 27 წლის მანძილზე, სანამ 1997 წელს არ მოხდა მისი საარჩევნო ოლქის რეფორმირება. მაშინ, უინსტონ ჩერჩილმა, პაპის მაგალითისამებრ, მემუარების წერას მიჰყო ხელი, და ახლაც აქტიურად კითხულობს ლექციათა კურსს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

*- ჩერჩილმა შეძლო დიდი ბრიტანეთი დაეცვა ნაცისტების შეჭრისგან. თუ ახსოვს ქვეყანას თავისი გმირი?*

- ჩერჩილი რომ არ ყოფილიყო, დიდი ბრიტანეთი ჯერ კიდევ 1940 წლის ზაფხულში დანებდებოდა ფაშისტებს. და მაშინ ჰიტლერი მთელ ძალებს სსრ კავშირის წინააღმდეგ დაძრავდა, და, შესაძლოა, წითელ არმიას ვერც კი გაეწია მედგარი წინააღმდეგობა. ჩემი აზრით, ჩერჩილის პირადი ვაჟკაცობა და გამბედაობა რომ არა, დასავლეთი ევროპის ყველა ქვეყნის და საბჭოთა კავშირის თავზეც სვასტიკიანი დროშა იფრიალებდა.

*- გამოდის, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებას მთელი მსოფლიო უნდა უმადლოდეს ნაცისტებით ალყაშემორტყმულ დიდ ბრიტანეთს?*

- რუსეთში არ უყვართ იმის გახსენება, რომ მეორე მსოფლიო ომის პირველ წლებში სტალინი და ჰიტლერი მოკავშირეები იყვნენ, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ დაიყვეს პოლონეთი, დაიწყო ყველაზე სისხლისმღვრელი ომი კაცობრიობის ისტორიაში. 1940 წელს, საფრანგეთის ოკუპაციის შემდეგ, დიდი ბრიტანეთი მტერთან პირისპირ დარჩა. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩაიფუშა დიდი ბრიტანეთის დაპყრობის გეგმა, ჰიტლერი დაიძრა აღმოსავლეთისკენ და დასავლეთ ფრონტზე დატოვა მხოლოდ პატარა დაჯგუფება. დიახ, ისტორიას არ უყვარს სიტყვა ,,თუ'', მაგრამ ჩემი აზრით, ამ ურთულეს პერიოდში ჩერჩილმა ბევრი რამ გააკეთა მთელი კაცობრიობისთვის.

*- სინამდვილეში რას ფიქრობდა ჩერჩილი სტალინის შესახებ?*

- მათ ძალზე უცნაური ურთიერთობა ჰქონდათ. როცა ნაცისტები შეიჭრნენ სსრ კავშირში, პაპაჩემმა თქვა, რომ აუცილებელი იყო სტალინის დახმარება: ,,მე ყოველთვის მსურდა, ჯერ კიდევ აკვანში მომეგუდა ,,ბოლშევიზმის'' სახელით ცნობილი ჩვილი, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰიტლერი ჯოჯოხეთში შეიჭრებოდა, მე ვთხოვდი თემთა პალატას, რომ გადაესინჯა თავისი დამოკიდებულება ეშმაკის მიმართ'', - თქვა მაშინ მან. ერთის მხრივ, იგი აღტაცებული იყო სტალინით, როგორც ძლიერი მხედართმთავრით, თუმცა, მიაჩნდა, რომ სტალინი ძალიან სასტიკი იყო საკუთარი ხალხის მიმართ.

*- სერ უინსტონ ჩერჩილს ყველაზე მეტად უყვარდა ვისკი და სიგარეტი. მართალია, რომ იგი ასევე სიამოვნებით მიირთმევდა სტალინის მიერ ნაჩუქარ კონიაკს?*

- იალტის კონფერენციის დროს სტალინმა შეიტყო, რომ ჩერჩილი უკმაყოფილო ყოფილა იმის გამო, რომ იგი რუზველტთან იოლად ამყარებდა ურთიერთობას არაფორმალურ ვითარებაშიც კი, მაშინ როცა ბრიტანეთის ლიდერი გარიყული იყო. ჰოდა, ერთ საღამოს, სტალინმა მიიწვია ჩერჩილი ,,სასაუბროდ''. დილით ჩერჩილმა გაიღვიძა საშინელი თავის ტკივილით. მას არაფერი არ ახსოვდა. მაშინ მან მისწერა სტალინს ბარათი: ''ძვირფასო ამხანაგო სტალინ! ვშიშობ, რომ წუხელ ძალზე ბევრი დავლიე თქვენი ,,ქართული ბრენდი''. იმედი მაქვს, რომ სერიოზულად არ აღიქვამთ ყოველივე იმას, რაც გუშინ ვილაპარაკე''. ამის პასუხად სტალინმა ასეთი წერილი გამოუგზავნა: ,,ბატონო პრემიერ-მინისტრო. ვშიშობ, რომ ორივემ ზედმეტი დავლიეთ. ნუ გეშინიათ - ჩვენი საუბრის ერთადერთი მოწმე - თარჯიმანი - უკვე დახვრიტეს''. 1991 წელს, როცა გორბაჩოვი ლონდონში ჩამოვიდა, მე ვიყავი ერთი იმ დეპუტატთაგანი, რომლებიც მას თემთა პალატაში დახვდნენ. შემთხვევით მე აღმოვჩნდი თარჯიმნის გვერდით და ვუამბე გორბაჩოვს ეს ამბავი. თარჯიმანი ოდნავ შეცბა: ,,ძალზე სასაცილოა, მისტერ ჩერჩილ, - თქვა მან. - სტალინის თარჯიმანი მამაჩემი იყო და მან ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია''.

ესაუბრა **ალექსეი ანიშჩუკი**








# ქვირფასო თანამემამულენო!

თვისტომი
TVISTOMI
ASSOCIATION

გაიხსნა ახალი **ქართული სამედიცინო ოფისი ბრუკლინში,** სადაც ხორციელდება სრული სამედიცინო გამოკვლევა უახლესი აპარატურით!

გამოკვლევები ხორციელდება უახლესი დიაგნოსტიკური აპარატურითა და მეთოდებით, მაგნიტორეზონანსული, რადიოიზოტოპური და ულტრაბგერითი აპარატურის გამოყენებით, ამასთანავე ჩაგიტარებთ სისხლისა და შარდის სრულ ლაბორატორიულ ანალიზებს, კომპუტერულ ტომოგრაფიას, უფასო მამოგრაფიას (მკერდის გამოკვლევა) ძვლების სიმყიფის განსაზღვრას.

სამედიცინო ჯგუფში გაერთიანებული არიან სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებული ქართველი და ამერიკელი ექიმები რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობენ აშშ-ს სხვადასხვა კლინიკებში და დღეს თქვენს სამსახურში არიან!

ჩვენი თანამემამულეთათვის ფასები მაქსიმალურად დაბალია. მათთვის, ვისაც სამედიცინო დაზღვევა არა აქვს, გამოკვლევები ჩაუტარდებათ **60-70 %** -იანი ფასდაკლებით!!!

**ჩვენი ფასები ყველაზე დაბალია!!!**

**718-263-5323** მიიღება წინასწარი ჩაწერით

2 ვესტ ენდ ავენიუ, ბრუკლინი, მანჰეტენ ბიჩი (არხთან და ბრაიტონთან ახლოს), აპარტმენტი №3




გაზეთის ის მკითხველი, ვისაც გაზეთი გამოწერილი აქვს, დღეს ამ ნომერთთან ერთად მიიღებს წმიდა ნინოს უძველეს და ერთადერთ ხატს - მანდილიონს.

ამ ხატის თქვენამდე მორთმევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ჩვენი გაზეთისა და „ასავალ–დასავალის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში.

დაასვენეთ ეს ხატი თქვენს სამლოცველო კუთხეში და კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილი ყოფილ მიტროპოლიტ გაიოზის მეცნიერული ნაშრომი წმიდა ნინოს სახების შესახებ.

## განცხადება

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. ცნობებისათვის დარეკეთ: **718-784-6627** ლელა

გაზეთ „მამულის" რედაქცია აცხადებს მოძიებას ამერიკაში მოღვაწე ქართველ ადვოკატებზე. დარეკეთ რედაქციაში, **347-724-0770**

## სამძიმარი

მეგი შურღაია, ლალი ლომიძე და შორენა დოლიძე თანაუგრძნობენ ქეთევან საზანდრიშვილ-თვაურს შვილის **გიორგის** გარდაცვალების გამო.

მეგობრები თანაუგრძნობენ მაკა დადიანს შვილის **მიშიკოს** გარდაცვალების გამო.




- სატელეფონო ბარათები;
- ფაქსის მიღება და გაგზავნა;
- საქსეროქსო მომსახურეობა;
- დოკუმენტების თარგმნა და ნოტარიზება;
- ყველა სახის ჩეკების განაღდება;
- კინოფილმების გაქირავება: - ახალი მხატვრული ფილმები, დეტექტივის, კომედიური და მელოდრამული ფილმების და რაც მთავარია, ყველა ძველი და ახალი ქართული ფილმების ფართო არჩევანი;
- მობილური ტელეფონები სერვისით: - ფართო არჩევანით: უფასოდ ღამე და გამოსასვლელ დღეებში, მობილურიდან მობილურზე ლიმიტის გარეშე, უფასო როუმინგითა და „გრძელი მანძილით“.

**Inside Grant Plaza**
1619 Grant Ave, Store 16,
Philadelphia, PA 19105

(215) 673-0778



# ექსკურსია ვაშინგტონში

– გთავაზობთ სატრანსპორტო და საექსკურსიო მომსახურეობას შეერთებული შტატების დედაქალაქში 4-კაციანი ჯგუფებისათვის;

– მგზავრთა გადაყვანა ხდება ჯიპის მარკის ავტომანქანებით;

– მგზავრებს მოემსახურებათ თარჯიმანი და ფოტო-კორესპონდენტი;

– ექსკურსია ერთდღიანია და ამ პერიოდში თქვენ შეგეძლებათ ისეირნოთ ვაშინგტონის ქუჩებში, დაათვალიეროთ ლინკოლნის მემორიალი, ვაშინგტონის მონუმენტი, მეორე მსოფლიო ომის ახალგახსნილი მემორიალი, ჯეფერსონის მემორიალი, გარედან ნახოთ თეთრი სახლი, კაპიტოლიუმის შენობა (11 სექტემბრის შემდეგ თეთრ სახლში ტურისტების შესვლა აკრძალულია).

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: 347-724-0770












## გამოიწერეთ მამული

სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:

- ☐ 12 ნომერი საერთო ღირებულებით 20 დოლარი
- ☐ 12 ნომერი ევროპაში 40 დოლარი

________________________________
(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

________________________________
(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

________________________________
(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **M. KATCHAKHIDZE Co** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303

მისამართის შეცვლის შემთხვევაში საჭიროა უზრალოდ დაგვიკავშირდეთ რედაქციის ტელეფონზე 1-347-724-0770 და გვაცნობოთ, რათა შევძლოთ თქვენი გაზეთის შეყოვნება ან გადამისამართება.

14


MAMULI **მამული** МАМУЛИ

რედაქტორ-გამომცემელი **მანუჩარ კაჭახიძე**
Editor & Publisher **Manuchar KATCHAKHIDZE**

**ეკა მაისურაძე, ნინო ხაბელაშვილი** (რედ. გერმანიაში), **ქეთი ყარალაშვილი, გიორგი ბაქრაძე** (რედ. კანადაში).
**EKA MAISURADZE, NINO KHABELASHVILI** (Editor in Germany), **KATE KARALASHVILI, GEORGE BAKRADZE** (Editor in Canada).

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07109
Phone: 347-724-0770
mamuli@comcast.net

მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ. რედაქციას უფლება აქვს უარი განაცხადოს მასალის დაბეჭდვაზე ყოველგვარი კომენტარის გარეშე.

ჩვენი პარტნიორი: ასავალ დასავალი

www.open.ge/mamuli